ევროკავშირის დაფინანსებით ორი პროექტი განხორციელდება

A4

როიალი ჩიკ კორეასთვის

A8

ნატურალური საკვები პროდუქტების გიგანტი

B3

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ოთხშაბათი, 20 სექტემბერი, 2006 წელი. №207 (1359) ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

თიბისი Tbc Bank

თიბისი-ფოსტა

გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?

გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?

გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.

პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.

მისამართი: თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.

ყურადღება!

კონკურსი 2006 წლის საუკეთესო მეცნიერის წოდებაზე მედლისა და პრემიის გადაცემით; მასმედიის წარმომადგენელიც დაჯილოვდება.

A4

ამინდი

	20/09	21/09
თბილისი	26	28
ბათუმი	29	26
სოხუმი	29	27
ქუთაისი	30	28
გორი	23	23
თელავი	26	28
ონი	21	21
ზუგდიდი	32	29
ახმეტა	26	27
სამტრედია	30	29

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7400
ევრო	2.2058
ბირვანქა სტერლ.	3.2700
რუბლი	0.0650

ამბები	A 2
პოლიტიკა	A 3
სამართალი	A 4
ტენდერი	A 5
სპორტი	A 6
ტენდერი	A 7
რევიუ	A 8

„უცნაური" არჩევნები

"დისტანციაზე ბრძოლის" სტრატეგია და ტაქტიკა

გიორგი ასანიშვილი

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებამდე ორი კვირაღა დარჩა. თუმცა, ამ მოვლენის თანმხლები ტრადიციული დაძაბულობა ჯერაც არ იგრძნობა. წინასაარჩევნო კამპანია უჩვეულოდ მშვიდად და მონოტონურად მიმდინარეობს.

ასეთი წინასაარჩევნო სტილი, მნიშვნელოვანწილად, ხელისუფლების მიერ არჩეულმა ტაქტიკამ განაპირობა. როგორც ჩანს, სახელმწიფო კანცელარიაში იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უკეთესი იქნება, თუ პოლიტიკურ ოპონენტებთან "ხელჩართულ ბრძოლაში" არ ჩაებმებიან და მოწინააღმდეგე დისტანციაზე ეყოლებათ. ოპოზიციასთან პოლიტიკურ დებატებში ხშირი მარცხი ხელისუფლებისთვის, ეტყობა, კარგი გაკვეთილი გამოდგა და მან ამ საყოველთაოდ მიღებულ წინასაარჩევნო ფორმაზე უარი თქვა.

თითქოს ალოგიკურია, მაგრამ ფაქტია: ხელისუფლებამ ნებაყოფლობით დათმო სატელევიზიო დისკუსიის არენა და ის ოპოზიციას გადაუღოცა. დღეს ყველა არხზე პოლიტიკურ ტოკ-შოუებში მხოლოდ ოპოზიციაა წარმოდგენილი, რომელიც ასეთ უჩვეულო გარემოში ცოტა უხერხულადაც კი გრძნობს თავს და არ იცის, როგორ შეებრძოლოს უხილავ მოწინააღმდეგეს.

თუმცა, ხელისუფლებას ტელეეკრანის მთლიანად მიტოვება არც უფიქრია. პირიქით, მეტ-ნაკლებად მისი გავლენის ქვეშ მყოფი ტელეარხების საინფორმაციო გამოშვებები გადატვირთულია სახელისუფლებო გუნდის აღმშენებლობითი საქმიანობის ამსახველი სიუჟეტებით. გარდა ამისა, მმართველმა პარტიამ აქცენტი სარეკლამო რგოლების მაქსიმალურად გამოყენებაზეც გადაიტანა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ამ სეგმენტში ის უპირობო მონოპოლისტი არ გახლავთ. სამაგიეროდ, იგივეს ვერ ვიტყვით გარე რეკლამაზე: უზარმაზარი ბილბორდებიდან მხოლოდ მმართველი პარტიის მომღიმარი ფავორიტები იმზირებიან.

გაგრძელება A3 გვერდზე

თანამშრომლობიდან კონკურენციამდე

წიგნის ბაზარზე აგრესიული მარკეტინგი სახელმძღვანელოების სეზონზე შეიმჩნევა

B

წიგნი საქართველოში იაფია, მისი გამოცემა კი ძვირი - ქვეყანაში არსებული 100-ზე მეტი გამომცემლობის ხელმძღვანელის აზრი ამ საკითხში ერთმანეთს ემთხვევა. წიგნის საგამომცემლო ბაზარი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ვითარდება. თუმცა არც იმდენად, რომ გამომცემლებმა ერთმანეთი კონკურენტებად მოიაზრონ. დღეს მათი უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ შორის არსებული ურთიერთობა თანამშრომლობა უფროა, ვიდრე კონკურენცია. ეს მანამ, სანამ ეს სფერო ნამდვილ ბიზნესად არ იქცევა.

აფრინდა, აფრინდა, ბურთი აფრინდა...

ჰაერნაოსნობის პირველი ჩემპიონატი საქართველოში

გიგა ბურასაშვილი

რამდენიმე დღეში საქართველოს ისტორიაში ჰაერნაოსნობის ახალი ფურცელი გადაიშლება. პირველად ჩვენი ქვეყნა ჰაერნაოსნობის ღია ჩემპიონატს უმასპინძლებს. თუ ადრე მსოფლიოში საჰაერო ბურთებით ფრენა ერთისთვის გატაცება იყო, მეორისთვის - ახირება, დღეს მან სპორტული დატვირთვა შეიძინა და აგერ, საქართველოშიც ჩამოაღწია. მანამდე ცნობისმოყვარეობას ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ფოტოებითა და სატელევიზიო სიუჟეტებით თუ ვიკმაყოფილებდით. 4-8 ოქტომბერს საჰაერო ბურთებით ფრენა წმინდა სპორტულ დატვირთვას შეიძენს.

ჯერ ფრენა ვისწავლეთ, მერე ფედერაცია ჩამოვაყალიბეთ, დღეს კი პირველ ღია ჩემპიონატს ვმასპინძლობთ. მაგრამ ვიდრე სითბური აეროსტატით ფრენა საქართველოში ნამდვილად შემოაღწევს, ჯობს ჰაერნაოსნობის ისტორიას გადავავლოთ თვალი.

ბელკასა და სტრელკას კოსმოსში გაფრენამდე საჰაერო ბურთებით ფრენის ისტორიაში, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, საკუთარი ადგილი უკავიათ ვირებს.

გაგრძელება A6 გვერდზე

ქართველთა საჰაერო ბურთი, სახელად "ლომი".

წვრთნა ამერიკულად, აღჭურვა ქართულად

ქართულ-ამერიკული სამხედრო პროგრამის ახალი ეტაპი იწყება

ერთობლივი ქართულ-ამერიკული სამხედრო პროგრამის – "სტაბილურობის შენარჩუნების" მეორე ეტაპი იწყება.

წინა პროგრამები ქართული არმიის ერთდროულად წვრთნასაც და აღჭურვასაც ითვალისწინებდა. ამჯერად ამერიკელები მხოლოდ და მხოლოდ გაწვრთნიან, ხოლო აღჭურვა ქართული მხარის პრეროგატივა ხდება.

გუშინ პროგრამას ოფიციალურად მოაწერეს ხელი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა ლევან ნიკოლეიშვილმა და საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფმა აშშ-ს ევროპული სარდლობის მეთაურმა უილიამ უარდმა. ამ პროცესს წინ უძღოდა გენერალ უარდის შეხვედრები თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობასთან.

"პროგრამის ახალი ეტაპი გულისხმობს მომზადების პროცესს. ქართულ მხარეს აქვს იმის შესაძლებლობა, თავად აღჭურვოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები", - განაცხადა პრესასთან კომენტარისას გენშტაბის უფრომა ლევან ნიკოლეიშვილმა.

"სტაბილურობის შენარჩუნების" მეორე ეტაპი ითვალისწინებს მეორე და მესამე ბრიგადების ბატალიონების მომზადებას. ამერიკულმა მხარემ პროგრამის დასაფინანსებლად 40 მილიონი დოლარი გამოყო.

ამერიკის ევროპული სარდლობის მეთაურის მოადგილე უილიამ უარდი ქართულ ჯარში მიმდინარე პროცესებს დადებითად აფასებს. **"თვალყურს ვადევნებთ ქართულ არმიაში მიმდინარე პროცესებს. შემიძლია ვთქვა, რომ კარგი ცვლილებები მიმდინარეობს. ორივე ქვეყნის ინტერესები გათვალისწინებულია. ამიტომ თანამშრომლობა გაგრძელდება",** - შენიშნავს უარდი.

24 საათი

ოცნება ხვალინდელ საფრანგეთზე

საპრეზიდენტო კამპანიის დასაწყისი

"ვიოცნებოთ ხვალინდელ საფრანგეთზე" - ასეთია პრეზიდენტობის რეალური კანდიდატის, მოქმედი შინაგან საქმეთა მინისტრის, ნიკოლა სარკოზის წინასაარჩევნო დევიზი. პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში მას მეტოქეობას, სავარაუდოდ, მისი თანაპარტიელი, პრემიერ-მინისტრი დომინიკ დე ვილპენი და სოციალისტების კანდიდატი სეგოლენ რუაიალი გაუწევენ.

გოგი თუშმალიშვილი

აგვისტოს მიწურულს და სექტემბრის დასაწყისში საფრანგეთის პოლიტიკური სცენის " მძიმეწონოსანთა" მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ 2007 წლის გაზაფხულისთვის დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების კამპანია, ფაქტობრივად, დაწყებულია. დღეისთვის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, გადამწყვეტი ბრძოლა თანაპარტიელებს, სარკოზისა და დე ვილპენს და, აგრეთვე, სოციალისტების ერთ-ერთ ლიდერს, ქალბატონ რუაიალს შორის გაიმართება. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ არჩევნების შედეგებზე გავლენა მოახდინონ ვეტერანმა პოლიტიკოსებმა, სოციალისტმა ლიონელ ჟოსპენმა და უკიდურესმა მემარჯვენემ ჟან-მარი ლე პენმა. რაც შეეხება პრეზიდენტ შირაკს, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ პრეზიდენტი გაიბრძოლებდა მესამე ვადისთვის, მაგრამ ბოლოდროინდელი ნარუმატებლობების ფონზე ძნელი წარმოსადგენია შირაკმა კვლავ წარადგინოს თავისი კანდიდატურა: ჯერ იყო და რეფერენდუმზე მის მიერ მხურვალედ მხარდაჭერილი ევროკონსტიტუციის პროექტი ჩავარდა, შემდეგ პრეზიდენტი ჯანმრთელობის გაუარესების შედეგად საავადმყოფოში მოხვდა (ამან კი ყველას შეახსენა მისი ასაკი) დაბოლოს, გასული წლის სექტემბერ-ოქტომბერში სოციალურ-ეთნიკურმა არეულობებმა დიდი ქალაქების შემოგარენებში საგრძნობლად დასცა პრეზიდენტის რეიტინგი.

რეფერენდუმზე ევროკონსტიტუციის ჩავარდნამ შიდაპარტიული დებატები გამოიწვია და კონკურენცია გაამძაფრა ოპოზიციური "სოციალისტური" პარტიის ლიდერებს შორისაც. თუმცა, დღესდღეობით საუკეთესო სასტარტო პოზიციები 52 წლის სეგოლენ რუაიალს უპყრია ხელთ.

გაგრძელება A2 გვერდზე

ყოფილი მაღალჩინოსანი პოლიციელი და მისი დანაშაულებრივი ჯგუფი

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს განსასჯელის სკამზე არა ერთი პოლიციელი აღმოჩნდა, კახეთის სამხარეო პროკურატურის მიერ გამოვლენილი დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის სათავეშიც კახეთის სამხარეო პოლიციის სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის უფროსი, მოგვიანებით, ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილე, კრიმინალური პოლიციის უფროსი გოჩა ნაზღაიძე იდგა, თვით სამართალდამცველებისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა.

გურჯაანის პროკურატურაში, ჯერ კიდევ 2003 წლის 4 დეკემბერს დაიწყო გამოძიება ომარ და ვენერა ნიბლაძეების განზრახ მკვლელობის ფაქტზე. მოგვიანებით, 2004 წლის 6 იანვარს, ამავე რაიონის პროკურატურაში ახალი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ნინო კალატოზიშვილისა და დარინა პაპუნაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით, 2005 წლის 21 აპრილს კი, გური შევარდნაძის განზრახ მკვლელობის ფაქტზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საქმეები წლების განმავლობაში გაუხსნელი იყო, გამოძიებით დადგინდა, რომ სამივე სისხლის სამართლის საქმე ერთი და იგივე დანაშაულებრივი ჯგუფის ჩადენილი უნდა ყოფილიყო. ამიტომ, 2005 წლის 26 აპრილს, სამივე საქმე გაერთიანდა და გამოძიება კახეთის საოლქო პროკურატურაში გაგრძელდა.

პროკურატურის მტკიცებით, 2005 წლის აპრილში, თბილისში მცხოვრები ტაქსის მძღოლი გური შევარდნაძე დაუდგენელმა პირებმა დააყაჩაღეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, თავდამსხმელებმა მანქანის წართმევის მიზნით, მძღოლი პოლიეთილენის პარკით დაახრჩვეს და მოპარული ავტომანქანით თავად განაგრძეს გზა. მომხდარი ფაქტი ცნობილი გახდა საპატრულო პოლიციისთვის, რომელმაც ბოროტმოქმედებს გზა გადაუკეტა.

გაგრძელება A4 გვერდზე

განათლების რეფორმა საქართველოში საერთაშორისო ინტერესს იწვევს

გუშინ თბილისში გაიხსნა შავი ზღის ქვეყნების კონფერენცია თემაზე: საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდები – სამართლიანობა, თანასწორობა, ხელმისაწვდომობა.

ნინო ბერელიძე

ასეთი მასშტაბური საერთაშორისო კონფერენცია პირველია, რომელიც ამ თემას მიეძღვნა. კონფერენციაში 26 ქვეყანა მონაწილეობს. მას ესწრებიან აშშ-ს, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, დიდი ბრიტანეთის, ნიდერლანდების, ისრაელის, საბერძნეთის და თითქმის ყველა პოსტსაბჭოური ქვეყნის განათლების სისტემის პირველი პირები – ძითადად მინისტრის მოადგილეები, განათლების სფეროს ექსპერტები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლები.

კონფერენციის მიზანია მონაწილეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების საქართველოს მოდელის დეტალურად გაცნობა. საქართველოში ჩამოსული სტუმრები ერთად გაანალიზებენ არსებულ გამოცდილებას და მის მნიშვნელობას საერთაშორისო გამოცდილების ფონზე. კონფერენციის მსვლელობისას მხარეები იმსჯელებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის აბიტურიენტთა შერჩევის ეფექტურ, სამართლიანი მოდელის და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე.

კონფერენცია განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა კახა ლომაიამ გახსნა. **“ დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისაღები გამოცდების ეს მოდელი ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა. მისი წარმატება კი არსებული გარემოს სათანადო შესწავლამ განაპირობა. მეორე მხარეა ისიც, რომ განთლების სამინისტრო მკაცრად და სისტემატურად აკონტროლებს რეფორმის მიმდინარეობას, მის გამჭვირვალობას. ევროპის ბევრ ქვეყანაში არსებობს გამოცდების ერთიანი მოდელი - მაგალითად გერმანიაში, თუმცა ისეთი დახვეწილი და ეფექტური არა, როგორიც ჩვენ მიერ შექმნილი საგამოცდო სისტემა. უცხოელი ექსპერტები ყოველთვის დიდ ინტერესს გამოხატავდნენ ამ მოდელის მიმართ და გამოცდილების გაზიარებას გვთხოვდნენ** – განაცხადა თავის სიტყვაში განთლებისა და მეცნიერების მინისტრმა.

საქართველოს გამოცდილებამ განსაკუთრებით მეზობელი სახელმწიფოები დააინტერესა. **“სომხეთი დღეს რეფორმირების პროცესშია, რომელმაც რადიკალურად უნდა შეცვალოს არსებული საგანმაოლებლო სისტემა,** – გვითხრა სომხეთის რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ლევონ მკრტჩიანმა - **ამ ეტაპზე კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქართველოს განათლების რეფორმაში მიღწეული წარმატების გაზიარებაა. ვფიქრობ კარგი იქნება, თუ ამ მოდელს მოვირგებთ და განვახორციელებთ ჩვენს ქვეყანაში”.**

შავი ზღვის კონფერენციის მონაწილეები ეთხმად აღიარებენ იმასაც, რომ მისაღები გამოცდების წარმატება მაღალი დონის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებამაც განაპირობა.

საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზატორები არიან განთლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

ოცნება ხვალინდელ საფრანგეთზე

პირველი გვერდიდან

სტივენ ჰედლისთან შეხვედრისას, ოთახში მოულოდნელად შემოვიდა პრეზიდენტი ბუში და ნახევარსაათიანი საუბარი გამართა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრთან.

ქალბატონი რუაიალი სამოქალაქო ქორწინებაშია “სოციალისტური” პარტიის თავმჯდომარე ფრანსუა ოლანდთან. მათ ოთხი შვილი ჰყავთ. აგვისტოში ზღვისპირა ქალაქ ლა როშელში გამართულ სოციალისტების ტრადიციულ თავყრილობაზე სწორედ სეგოლენ რუაიალი იყო საყოველთაო ყურადღების ცენტრში. თუმცა, აქვე საკმაოდ მოულოდნელად გამოჩენილმა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ლიონელ ჯოსპენმა (რაც მიმომხილველების აზრით შესაძლოა მისი პოლიტიკაში დაბრუნების საწინდარი იყოს) ქალბატონი რუაიალი ფარული მინიშნებებით გააკრიტიკა და განაცხადა, რომ “არ უნდა მოვტყუვდეთ გარეგნული ნიშნებით და მეტი ყურადღება შინაარსს უნდა დავუთმოთ”. ეს ჯოსპენისეული ინტერპრეტაციით მიანიშნებს სეგოლენ რუაიალის, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატის, “სიმსუბუქეზე”.

თუკი პრეზიდენტი შირაკი აღარ წარადგენს თავის კანდიდატურას მესამე ვადაზე, ის თავის მემკვიდრედ პრემიერ-მინისტრს, დომინიკ დე ვილპენს განიხილავს. დე ვილპენის აღზევების ხანა თეთრი სახლის მიერ წარმართულ ანტიერაყულ კამპანიაზე მოდის. იგი საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში აქტიურად ეწინააღმდეგებოდა ვაშინგტონის ზრახვას სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყების თაობაზე. მაშინ შირაკმა დე ვილპენს სამსახური დაუფასა და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე გადაიყვანა. ეს საფრანგეთის სამთავრობო იერარქიაში მეორე ნომრობას ავტომატურად გულისხმობს. მაღლევე, პრემიერ-მინისტრ ჟან-პიერ რაფარინის გადაყენების შემდეგ, შირაკი პრემიერად დე ვილპენს ნიშნავს. ამ სვლებით და მისი პირადი მტრის, ნიკოლა სარკოზის შინაგან საქმეთა მინისტრობიდან ფინანსთა მინისტრის პოსტზე გადასროლით, შირაკმა თითქოს პრეზიდენტობისკენ გაუკაფა გზა ვილპენს, მაგრამ 2005 წლის ოქტომბრის არეულობებმა და მეტადრე ამა წლის გაზაფხულის “სამუშაოზე აყვანის პირველი კონტრაქტის” პროექტის წარუმატებლობამ დიდი ზიანი მიაყენა დე ვილპენის, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატის შანსებს. “სამუშაოზე აყვანის პირველი კონტრაქტი” ითვალისწინებდა კანონმდებლობის ლიბერალიზაციას ახალგაზრდა ადამიანის სამსახურში აყვანისას, თუმცა ამავე დროს დამქირავებელს საჭიროების შემთხვევაში დაქირავებულის სამსახურიდან დათხოვნას უადვილებდა. ამ, შედარებით ანგლოსაქსურმა მოდელმა, საფრანგეთში დიდი ვნებათაღელვა გამოწვია და მთავრობას პოზიციების დათმობა მოუწია.

დე ვილპენის წარუმატებლობამ ამ მომენტისათვის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე დაბრუნებული სარკოზის რეიტინგი გაზარდა. მმართველი პარტიის “კავშირი სახალხო მოძრაობისთვის” (Union pour un mouvement populaire - UMP) წევრებმა, როგორც ჩანს, საბოლოოდ თავიანთი ლიდერის, სარკოზის სასარგებლოდ გააკეთეს არჩევანი (სარკოზი UMP-ს პრეზიდენტია 2004 წლის ნოემბრიდან. მაშინ ის ხმათა 85 პროცენტით აირჩიეს), შსს-ს მინისტრს უფრო პერსპექტიულ კანდიდატად განიხილავენ, ვიდრე პრემიერ დომინიკ დე ვილპენს.

წარმოშობით უნგრელი არისტოკრატი, ემიგრანტის შვილი, 51 წლის ნიკოლა სარკოზი თითქმის უკვე ორი ათეული წელია გავლენიან ფიგურად ითვლება საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში. 28 წლის ასაკში “სარკო” არჩეული იყო პარიზის ყველაზე მდიდარი გარეუბნის, ნეის მერად. შემდგომ მრავალგზის იყო საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის (პარლამენტის) დეპუტატი და მინისტრი სხვადასხვა კაბინეტებში. სარკოზის კარიერაში მნიშვნელოვანი მომენტი დადგა 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას, როდესაც გოლისტების რიგებში განხეთქილებისას მან იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის, ედუარდ ბალადურის კანდიდატურას პარიზის მერის, ჟაკ შირაკის საწინააღმდეგოდ დაუჭირა მხარი. ეს არასწორი სვლა, შესაძლოა, ერთადერთად მივიჩნიოთ სარკოზის ბიოგრაფიაში. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ შირაკმა სარკოზი მინისტრის პორტფელის გარეშე დატოვა და ამგვარად, პოლიტიკური სცენის პირიფერიაზე გადაისროლა. ამისდა მიუხედავად, პირადი ნიჭის, მტკიცე ნებისყოფისა და სწორი მანევრირების წყალობით სარკოზი თანაპარტიელთა ნდობის აღდგენას და სამთავრობო იერარქიაში დაბრუნებას ახერხებს. 2002 წელს გოლისტების საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში ხელახალი გამარჯვების შედეგად სარკოზი შინაგან საქმეთა მინისტრი ხდება და გავლენითა და პოპულარობით მეორე პირია სახელმწიფოში. გასული წლის ამბოხებები პარიზისა და სხვა მსხვილი ქალაქების შემოგარენებში, სერიოზულ გამოცდად იქცა შინაგან საქმეთა მინისტრის რეიტინგისთვის. სარკოზიმ სწრაფი, ზოგჯერ ძალისმიერი მეთოდებით დაამყარა წესრიგი ამბოხებულ რაიონებში და მიუხედავად მემარცხენე პარტიების კრიტიკისა (რომლებიც მის გადადგომას მოითხოვდნენ) და საჯარო საყვედურებისა ისეთი ცნობილი პიროვნებებისგან, როგორც ჩოგბურთელი იანიკ ნოაა (რომელმაც განაცხადა, რომ დატოვებს ქვეყანას თუ სარკოზი პრეზიდენტი გახდა), საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებმა (6 პროცენტი მისი ქმედებების მომხრე) ნათელყვეს ნდობა სარკოზის მიმართ.

დღეს “სარკოს” ძირითადი პრობლემაა ახალგაზრდა ელექტორატის გადმობირება, რომელიც თითქოს “სოციალისტებისკენ” იხრება. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ სარკოზის საჯარო დაუდასტურეს სიმპათიები მსახიობებმა ჟან რენომ და ალენ დელონმა, მომღერალმა ჯონი ჰოლიდეიმ და, რაც ყველაზე საინტერესოა, საფრანგეთის შავკანიანი და მეტისი მოსახლეობის კერპმა, რეპერმა დოკ ჟინეკომ.

სარკოზის საპრეზიდენტო ამბიციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იყო მისი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში გასულ კვირას. აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველთან უსაფრთხოების საკითხებში, სტივენ ჰედლისთან შეხვედრისას, სარკოზის გაასაოცრად, ოთახში შემოვიდა პრეზიდენტი ბუში და ნახევარსაათიანი საუბარი გამართა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრთან. ყოველივე ეს ადასტურებს არსებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სარკოზი უკვე საერთაშორისო მასშტაბის პოლიტიკოსია. როგორც ამასთან დაკავშირებით ცნობილმა ფრანგმა პოლიტიკოსმა პიერ ლელუშმა თქვა, "საერთაშორისო რეპუტაცია კანდიდატს არჩევნებს არ აგებინებს, მაგრამ მისმა არქონამ შეიძლება არჩევნებში დამარცხება გამოიწვიოს."

პენსიებზე დაზოგილი მილიონები

“დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის” ბლოკის წევრები პენსიის დანამატისათვის სტაჟის ყოველი წელიწადის გათვალისწინებას ითხოვენ. დღეს ბლოკის ლიდერებმა კობა დავითაშვილმა და თინა ხიდაშელმა პრესკონფერენცია გამართეს და საზოგადოებას პენსიების განაწილების თავისი ხედვა წარუდგინეს.

ნათია მსხილაძე

“დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის” ბლოკის განცხადებით, ხელისუფლების მიერ დღემდე შეუძლებლად გამოცხადებული პენსიების დარიგება სტაჟისა და ნამსახურების მიხედვით უკვე მიღწეულია და პირველი სექტემბრიდან, თბილისის პენსიონერები პენსიებს სწორედ ამ სქემით იღებენ. **“თუმცა ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი სქემა მანკიერებას შეიცავს და ამიტომ ეს უნდა გამოსწორდეს. მანკიერება არის ის, რომ 25 და 50 წლის სტაჟი გათანაბრებულია და დანამატი ორივე შემთხვევაში ათი ლარია ”**, - აღნიშნა კობა დავითაშვილმა.

გაერთიანების ლიდერების განმარტებით, სტაჟის ყოველ წელიწადზე მინიმუმ ერთი ლარი უნდა იყოს დანამატი. აღნიშნული სქემა, მათი აზრით, უფრო სამართლიანია და შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. ანუ, 50 წლის სტაჟის მქონე ადამიანმა დანამატი 50 ლარი უნდა მიიღოს და არა ათი ლარი.

წარმოდგენილი სქემით საპენსიო დანამატის გაცემას წელიწადში 32 მილიონი ლარი დასჭირდება. **“თბილისის ხელისუფლება მხოლოდ საზეიმო ღონისძიებებისთვის წელიწადში 125 მილიონ ლარს ხარჯავს. აქედან გამომდინარე საჭიროა, ეს თანხა სოციალურ პროექტებზე წავიდეს. დაფინანსდეს პენსიების დანამატები და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტები”**, - აცხადებს თინა ხიდაშელი.

როგორც პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, ხელისუფლებამ წინასაარჩევნოდ, 2006 წლის 1 სექტემბრიდან პენსიებზე დანამატად მხოლოდ 4 მილიონი ლარი გაიმეტა.

მაგალითისთვის, გიგი უგულავას “სატელევიზიო ღიმილისთვის” 600 ათასი ლარი დაიხარჯა; “ჯოხი-ლიფტი” რიყეზე 900 ათასი ლარი დაჯდა; ყინულის მოედანი ხელისუფლებას 2 მილიონი ლარი დაუჯდა, ხოლო საზეიმო ღონისძიებები - 8 მილიონი ლარი.

FM ცნობა 98.0 თავისუფალი სიტყვა

მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ თენგიზ გოგოტიშვილს. სტუდიის სტუმარია ექსპერტი, სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე გია ვოლსკი და სამხედრო ექსპერტი, გაზეთ “კვირის პალიტრის” სამხედრო მიმომხილველი ირაკლი ალადაშვილი. გადაცემის თემაა ცხინვალში არსებული დაძაბული სიტუაცია.

თენგიზ გოგოტიშვილი: ქართულ-ოსური კონფლიქტზე საუბარი მინდა დავიწყო დნეპრისპირეთიდან. კვირას გამართულ რეფერენდუმზე ამომრჩეველთა 97-მა პროცენტმა ხმა მისცა დნეპრისპირეთის გამოყოფას მოლდოვასთან და შეერთებას რუსეთთან. მაშინ, როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი ღიად მისალმება დნეპრისპირეთის მოსახლეობის ამ არჩევანს, როგორ გგონიათ, ეს ტენდენცია არ იქონიებს გავლენას ცხინვალის რეგიონში არსებულ სიტუაციაზე?

გია ვოლსკი: რუსეთისთვის უფრო ძნელი იქნება ასეთივე რეფერენდუმს მიესალმოს. აფხაზეთში და თუნდაც ოსეთში მოსახლეობა არაერთგვაროვანია. თანაც ქართველი მოსახლეობა დევნილია, რომლებმაც ასევე უნდა გამოხატონ თავიანთი ნება. რეფერენდუმი დემოკრატიულობის გამოხატულებაა და არც აფხაზეთში და არც ცხინვალის რეგიონში ამისი ნიშნები არ შეინიშნება.

თენგიზ გოგოტიშვილი: მინდა შეგახსენოთ, რომ 1991 წელს ცხინვალის რეგიონში უკვე ჩატარდა მსგავსი რეფერენდუმი და ორ კითხვაზე, რომელიც იყო დასმული, მოსახლეობამ დადებითად უპასუხა. პირველი იყო: ემხრობიან თუ არა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და მეორე კითხვა იყო - ემხრობიან თუ არა სამხრეთ ოსეთის შეერთებას რუსეთთან. არის თუ არა მეორედ რეფერენდუმის გამართვა მიზანშეწონილი და თუ მაინც ჩატარდა 12 ნოემბერს, რას მოუტანს იგი ცხინვალის რეგიონს?

გია ვოლსკი: ამ რეფერენდუმს არავითარი კავშირი არ აქვს ამ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ნების გამოხატვასთან. ეს არის ერთ-ერთი სტრატეგიული ნაბიჯი, რომელიც დაგეგმილია არა ცხინვალში, არამედ მოსკოვში, რაც პროცესის გაგრძელებას გულისხმობს და იმ სტრატეგიის გაგრძელებას, რასაც ჰქვია პრობლემების შექმნა საქართველოსთვის. ისიც ნათელია ბევრი ოსისთვის, რომ რუსეთს აქვს თავისი პოლიტიკური ინტერესები და არ აინტერესებთ ოსი ხალხის ნების გამოხატვა და მისი შედეგები. ეს არის მექანიზმი, რითაც სურს გაიძლიეროს პოზიცია.

თენგიზ გოგოტიშვილი: კიდევ ერთი საგარეო პოლიტიკური თემა, რომელიც მინდა წამოვჭრა, არის საქართველოს დიალოგი ნატოსთან. ხუთშაბათს საქართველოს ხელისუფლება ელის ნატოს 26-ვე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმოწერას დოკუმენტზე, რომელმაც ასევე უნდა ჩაუყაროს ე.წ ინტენსიურ დიალოგს. ბნო ირაკლი როგორ გგონიათ, ეს იქონიებს გავლენას საქართველოს შიდა პრობლემების მოგვარებაზე?

ირაკლი ალადაშვილი: მოსახლეობის აზრი ნატოსთან დაკავშირებით ორად იყოფა. ზოგს გონია, რომ თუკი ნატოში გავერთიანდით, ის ტერიტორიები, რომელსაც ვერ ვაკონტროლებთ, შესაძლოა საბოლოოდ დავკარგოთ. მეორე მხარე პირიქით მიიჩნევს. ნატოში რომ გავერთიანდეთ ძნელი წარმოსადგენია, რომ ამან პრობლემა გადაგვიწყვიტოს. ჩვენს პრობლემას ჩვენვე უნდა მივხედოთ. ნატოში გაერთიანება ეს არის გარანტია საქართველოს უსაფრთხოების, როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. ის, რასაც დღეს ადგილი აქვს, რუსეთის მხრიდან აღარ მოხდება. საქართველოს ადვილად ვეღარ დაჩაგრავენ.

გაზეთ "24 საათის" რედაქციას

ც ვ ლ ი ლ ე ბ ა

ჩვენს მიერ მიმდინარე წლის 8 სექტემბრის N198-ში გამოქვეყნებულ განცხადებაში (შპს "საქართველოს ფოსტა" აცხადებს ღია აუქციონს თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის 48-ა-ში მდებარე 8 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის რეალიზების მიზნით) შეტანილია ცვლილება: კერძოდ, აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების და შესაბამისი დოკუმენტაციის მიღების ვადა გაგრძელდეს 2006 წლის 2 ოქტომბრის 18.00 სთ-მდე;

- ღია აუქციონი ჩატარება 2006 წლის 3 ოქტომბერს 17.00 საათზე შპს "საქართველოს ფოსტის" სათაო ოფისში, მისამართზე: თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, მესამე სართული, სააქტო დარბაზი.

შპს "საქართველოს ფოსტა"

მოკლედ

დასაქმებაზე ხელშეკრულება 18 235 ადამიანმა გააფორმა

დასაქმების ხელშემწყობი საპრეზიდენტო პროგრამა 30 სექტემბრამდე გაგრძელდება, ანუ მანამდე, ვიდრე 50 ათასი ადამიანი არ დასაქმდება, - აცხადებს დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი ლევან ფერაძე. როგორც მან "მედიანიუსთან" საუბრისას აღნიშნა, უკვე დასაქმებული ადამიანები მუშაობას 18 სექტემბრიდან შეუდგნენ. ეს ინფორმაცია დამახინჯებულად მივიდა მოსახლეობამდე - მათ 18 სექტემბერი დასაქმების პროგრამის ბოლო ვადად მიიჩნიეს, რამაც ამ დღეს "ექსპოჯორჯიის" მე-5 პავილიონში უმუშევართა მოზღვავება გამოიწვია.

ლევან ფერაძის თქმით, 2007 წელს მშენებლობის, გზების ინფრასტრუქტურის განვითრებისა და სამკურნალო დაწესებულებების რეაბილიტაციისათვის სახელმწიფო სექტორი 1 მილიონი ლარით ინვესტიციის განხორციელებას აპირებს. უცხოელ ინვესტორებს კი მშენებლობის განვითარებისათვის მილიარდნახევარი დოლარი ოდენობის კაპიტალდაბანდება აქვთ გადაწყვეტილი.

ფერაძის განმარტებით, დასაქმების პროგრამის უმთავრესი მიზანი სწორედ ამ დიდი ინვესტიციებისათვის საქართველოს მოსახლეობის მომზადება იყო. 2007 წლისათვის მშენებლის, კალატოზის, მებათქაშის, მლესავის, მღებავისა და ფილების დამგების სპეციალობები დეფიციტური გახდება, თუ ამ ხელობის ადამიანების რაოდენობა არ გაიზრდება. ფერაძის თქმით, დასაქმების პროგრამა დღეისათვის მსურველებს სამშენებლო სპეციალობის 22 000 ვაკანსიას სთავაზობს. თუმცა, აღნიშნულ სპეციალობებზე ძალიან დაბალი მოთხოვნაა.

ლევან ფერაძეს აღნიშნავს, რომ უმუშევართა უმრავლესობა ოფის-მენეჯერის, ადმინისტრატორის, ჟურნალისტის ან რედაქტორის თანაშემწის ვაკანსიებითაა დაინტერესებული. ასეთი ვაკანსიები კი ძალიან მცირე რაოდენობითაა და უმუშევართა პირველივე ნაკადის რამდენიმე ადამიანს თუ შეხვდება. მორიგი ნაკადით შემოსული უმუშევრები კი სასურველ ვაკანსიას რომ ვერ პოულობენ, უკმაყოფილებას გამოთქვამენ და აცხადებენ, რომ ყველაფერი ფორმალობაა და რეალურად არავინ არ საქმდება.

დასაქმების პროგრამის ადმინისტრატორის ბაკურ ჯანიაშვილის ინფორმაციით, დღეისათვის დასაქმებაზე ხელშეკრულება 18 235 ადამიანმა გააფორმა. თბილისში 17 228 თავისუფალი ვაკანსია დარჩა, საქართველოს მასშტაბით კი - 18 649. 32 201 ადამიანთან შეთანხმება უკვე მომზადებულია, თუმცა მათთან ხელშეკრულება ჯერ არ გაფორმებული. **მედიანიუსი**

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სოფლებში სასმელი წყლის მაგისტრალები შენდება

კონფლიქტის ზონის იმ სოფლებში, სადაც მოსახლეობას ათეული წლების განმავლობაში წყალი არ მიუღია, შენდება სასმელი წყლის მაგისტრალები. ამის შესახებ "ჯი-ეიჩ-ენს" შიდა ქართლის ადმინისტრაციიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, სოფელ ბერულაში მიმდინარეობს სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა. პარალელურად მიმდინარეობს ერედვის და სოფ.კეხვის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის აღდგენა. აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, სასმელ წყალს ხეობაში 1700 ოჯახი მიიღებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

თავდაცვის სამინისტროს ჰოსპიტალის ექიმთა შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპი გუშინ დაიწყო

300-მდე ვაკანსიის სხვადასხვა პროფილის ექიმები დაიკავებენ. საკონკურსო კომისიას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ფრუიძე ხელმძღვანელობდა. კომისიის თანათავმჯდომარე კი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი იყო.შერჩეულ ექიმთა კონტინგენტი გორში მდებარე სამხედრო ჰოსპიტალში დასაქმდება. როგორც "ინტერპრესნიუსს" თავდაცვის სამინისტროში განუცხადეს, სამხედრო ჰოსპიტალი თბილისშიც შენარჩუნდება, გორში კი ცენტრალური ჰოსპიტალი წლის ბოლომდე გაიხსნება.

ექიმთა შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპი 25 სექტემბრამდე გაგრძელდება. 26 სექტებრიდან კი გასაუბრება საშუალო სამედიცინო პერსონალთან დაიწყება. **ინტერპრესნიუსი**

თბილისის ქუჩებში განთავსებულ ურნებზე ნარჩენების გატანის გრაფიკები გაიკვრება

თბილისის მერიის დასუფთავების საქალაქო სამსახურმა საოჯახო ნარჩენების გატანის ზუსტი გრაფიკი შეიმუშავა.

როგორც აღნიშნული უწყების ხელმძღვანელმა ტარიელ ხიზანეიშვილმა "ჯი-ეიჩ-ენს" განუცხადა, დღეიდან თბილისის ქუჩებში განთავსებულ ურნებზე ნარჩენების გატანის გრაფიკები გაიკვრება.

"დარღვევის შემთხვევაში, თბილისელებს შეუძლიათ დასუფთავების სამსახურს მიმართონ", - განაცხადა ხიზანეიშვილმა . **ჯი-ეიჩ-ენი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

„უცნაური" არჩევნები

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ხელისუფლების მიერ წარმოებულ საარჩევნო "პიარ-კამპანიაში" სხვა სიახლეც შეიმჩნევა. საზოგადოების თვალთახედვიდან გაქრნენ (ალბათ, დროებით - არჩევნების დასრულებამდე) უმრავლესობის ის სახეები, რომლებსაც მაინცდამაინც მაღალი რეიტინგი არა აქვთ: მაია ნადირაძე, გიგა ბოკერია, დავით კირკიტაძე, ბიძინა ბრეგაძე... მათ ნაცვლად წინა პლანზეა წამოწეული თბილისის მერისა და პრეზიდენტის პერსონები (ეს უკანასკნელი საარჩევნო "ფორმატის" მქონე საჯარო ღონისძიებებში, როგორც წესი, ოჯახთან ერთად მონაწილეობს), აგრეთვე კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი.

ამასთან, ხელისუფლება ხაზგასმით ცდილობს იმის დემონსტრირებას, რომ ის მუდამ ხალხის გვერდით დგას: მიხეილ სააკაშვილი და გიგი უგულავა ახლად გარემონტებულ სკოლაში მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას ულოცავენ; ხელისუფლების წარმომადგენლები კახელ გლეხებს რთველში საჩუქრად ტრაქტორებს გადასცემენ; პრეზიდენტი ახლად გახსნილ საწარმოში უმუშევართა ლაშქარს თავად მიუძღვება...

ტელეეკრანის გარდა, ოპოზიციას ხელისუფლებასთან უშუალო დაპირისპირება საპარლამენტო ტრიბუნიდანაც შეეძლო. მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს გზა ოპოზიციამ, ბოიკოტის გამოცხადებით, თვითონვე მოიჭრა. მოგვიანებით, საპარლამენტო უმრავლესობამ შექმნილი მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და საკანონმდებლო მუშაობა არჩევნებამდე ერთი თვით ადრე იმ მოტივით შეაჩერა, ოპოზიცია პლენარულ სხდომებში მაინც არ მონაწილეობსო. ამით ოპოზიციას ხელისუფლებასთან პირისპირ ბრძოლის ბოლო შანსიც დაკარგა.

პრეზიდენტი და დედაქალაქის მერი წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი სახეები არიან.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა ოპოზიციის ბანაკს ძალიან ცუდ დროს მოუსწრო. ბოლო წლების განმავლობაში ოპოზიცია ასეთი დაქსასული და დასუსტებული არასდროს ყოფილა. მისი სხვადასხვა ფრთის ლიდერების რამდენიმეთვიანი კონსულტაციები, პრაქტიკულად, უშედეგოდ დასრულდა და ერთიანი საარჩევნო ბლოკის შექმნა ვერ მოხერხდა. თავად ოპოზიციის წარმომადგენლებიც კი საკუთარ შანსებს საკმაოდ მოკრძალებით აფასებენ და 5 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების ილუზიით თავს არ იტყუებენ.

შეიძლება ისიც ითქვას, რომ ხელისუფლების ახალ "პიარ-ტაქტიკას" ოპოზიციამ ალღო ვერ აუღო. დისტანციური ბრძოლისთვის ისინი მოუმზადებლები აღმოჩნდნენ. შესაბამისად, განსხვავებულია ცალკეული ჯგუფების ტაქტიკა და სტრატეგია.

დავით გამყრელიძისა და კოკო გამსახურდიას პარტიებმა ბრძოლის პასიური მეთოდი აირჩიეს და არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვეს. მათთან შედარებით, კონსერვატორ-რესპუბლიკელები და ლეიბორისტები აქტიურობით გამოირჩევიან და თითქმის ყოველდღე მცირერიცხოვან, მაგრამ ხმაურიან აქციებს მართავენ.

კობა დავითაშვილისა და შალვა ნათელაშვილის წინასაარჩევნო სტრატეგია თითქმის მთლიანად ხელისუფლებისთვის შავი "პიარის" შექმნაზეა დაფუძნებული: კონსერვატორ-რესპუბლიკელები და ლეიბორისტები მმართველ გუნდს ანტიდემოკრატიული საარჩევნო კანონის შემუშავებაში, ოპოზიციონერ დეპუტატებზე ზეწოლაში, ამომრჩევლების მოსყიდვაში ადანაშაულებენ...

დანარჩენი ორი ოპოზიციური ფრთის (სალომე ზურაბიშვილის და გოგი თოფაძის) პოზიცია უფრო ფრთხილი და მოზომილია, ხოლო წინასაარჩევნო კამპანია, - უხმაურო და ნაკლებად თვალშისაცემი. როგორც ჩანს, ასეთი ტაქტიკა შეგნებულად არის არჩეული.

რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს ხელისუფლებამ, რომ 5 ოქტომბრის არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება და მისი შედეგები არ გაყალბდება, ასეთი დაპირების ბევრს მაინც არ სჯერა და დარწმუნებულები არიან, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მაინც ისეთი პარტიული პარიტეტით დაკომპლექტდება, როგორიც ხელისუფლებას სურს. ისიც ცხადია, რომ დღევანდელი მმართველი ძალა საერთაშორისო იმიჯის შელახვას მოერიდება და ერთპარტიული ინფრასტრუქტურის შექმნას არ დაუშვებს. შესაბამისად, რომელიმე ოპოზიციური პარტია აუცილებლად გადალახავს საარჩევნო ბარიერს და საკრებულოებში თავისი წარმომადგენლობა ეყოლება. ნათელია ისიც, რომ ხელისუფლების სურვილია, მომავალი პარტნიორი მის მიმართ რაც შეიძლება ლოიალური და ნაკლებად კრიტიკული იყოს.

თუ 5 ოქტომბრის არჩევნებს ამ საზომით მივუდგებით, აღმოჩნდება, რომ წარმატების მიღწევის ყველაზე მეტი შანსი სწორედ სალომე ზურაბიშვილისა და გოგი თოფაძის გუნდებს აქვთ. ალბათ, ამით შეიძლება აიხსნას მათი ინერტულობაც, - ისინი, როგორც კონკურენტები, ერთმანეთს სწორედ ხელისუფლების მიმართ ლოიალობის გამოვლენაში ეჯიბრებიან.

ოპოზიციაში გადაჭგუფებები არჩევნების დასრულებისთანავე დაიწყება

თამარ ასათიანი

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოპოზიციურ სპექტრში სულ მალე მორიგი გადაჯგუფება დაიწყება – პარტიებს დატოვებენ მათი უკვე მეტ-ნაკლებად ცნობილი სახეები და სხვა ოპოზიციურ პარტიებში გადაბარგდებიან. მორიგი გადაჯგუფება ყველაზე თვალშისაცემი ხუთი ოქტომბრის არჩევნების დასრულებისთანავე გახდება. მანამდე ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა შორის ამტყდარ ვნებათაღელვის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ კულუარებში თუ ვრცელდება.

ბოლო დღეების ყველაზე გახმაურებული სკანდალი "კონსერვატორ" კახა კუკავასა და "მემარჯვენე" კოკა გუნცაძეს უკავშირდება. ასევე, საკმაოდ საინტერესოდ მიმდინარეობს პროცესები საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის სალომე ზურაბიშვილის პარტიაშიც. თუმცა იმის გამო, რომ მას ცნობილი სახეები პარტიაში თითებზე ჩამოსათვლელი ჰყავს (ალბათ, ჯერჯერობით), შიდა დუღილი თითქმის არ იგრძნობა (თუმცა, იმის შესახებ, რომ სალომე ზურაბიშვილს უკვე ათზე მეტმა აქტივისტმა აქცია ზურგი, მედია სულ ცოტა ხნის წინ წერდა). განსხვავებული მდგომარეობაა უკვე ნახსენები ორი პარტიის ირგვლივ, სადაც, როგორც გვითხრეს, უახლოეს მომავალში მოვლენები საკმაოდ დრამატულად წარიმართება. მათ მიმართ საზოგადოების ყურადღება საკმაოდ მაღალია.

მართალია, ცალკე "კონსერვატორები" და ცალკე "მემარჯვენეები" კატეგორიულად უარყოფენ მათ რიგებში დაპირისპირების არსებობას, მაგრამ "24 საათისთვის" დანამდვილებით გახდა ცნობილი, რომ ამ ორ საკმაოდ ხმაურიან ოპოზიციონერ პარლამენტარს საკუთარი პარტიული "ბოსები" უკვე აღარ სწყალობენ.

ორივე პარლამენტარი საკუთარი პარტიების დატოვების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას ადგილობრივი არჩევნების დასრულების შემდეგ მიიღებს. თუკი პროგნოზი გამართლდება და კუკავაც და გუნცაძეც საკუთარი პარტიების მიღმა დარჩებიან, მაშინ შეიძლება თამამად ითქვას, რომ არა მხოლოდ კუკავამ და გუნცაძემ აქციეს ზურგი პარტიებს, არამედ პარტიულმა "ბოსებმაც" აიცრუეს გული საკუთარ ფავორიტებზე.

როგორც კულუარებში ამბობენ, ორივე შემთხვევაში უთანხმოება ერთი და იმავე მიზეზით წარმოიქმნა - შიდაპარტიულმა ბრძოლამ და ინტრიგებმა, რომელმაც არჩევნების მოახლოებისთანავე იჩინა თავი, შედეგი გამოიღო: "კონსერვატორებში" კობა დავითაშვილის კეთილგანწყობა იმ ადამიანთა ჯგუფმა მოიპოვა, რომლებიც ამ პარტიაში კუკავაზე გვიან გადაბარგდნენ (როგორც ამბობენ, მათ სათავეში ბეჟან გუნავა უდგას). რამდენადაც კახა კუკავა მეტ-ნაკლებად ღია პოლიტიკური თამაშების მომხრეა, იმდენად მისი მოწინააღმდეგე ფრთა პარტნიორ თუ ოპონენტ პოლიტიკურ ძალებთან უფრო დახურულ, კულუარულ ურთიერთობებს ანიჭებს უპირატესობას, სადაც გარიგებებს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია.

ამ ბოლო დროს კულუარებში ერთი, საკმაოდ საინტერესო "ჭორი" გავრცელდა – როგორც ამბობენ, "კონსერვატორებმა" რამდენჯერმე სცადეს "ნაცმოძრაობასთან" საერთო ენის გამონახვა. წესით, მოლაპარაკების წარმატებით დასრულებას არჩევნების შედეგად რამდენიმე რაიონში "კონსერვატორების" მიერ ბარიერის გადალახვა უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ გარიგება არ შედგა და ამტომაც დავითაშვილის პარტიამ "რესპუბლიკელებთან" ერთად ცესკო-ში ბლოკი "დავითაშვილი – ხიდაშელი - ბერძენიშვილი" დაარეგისტრირა.

რაც შეეხება კუკავას - "ნაცმოძრაობასთან" მოლაპარაკებებისას იგი შუამავალი არ ყოფილა, იმის მიუხედავად, რომ მას ნორმალური ურთიერთობები აქვს რამდენიმე "ნაციონალთან". იგი ერთ თვეზე მეტია, რაც პარტიის შიგნით მიმდინარე პროცესებს ჩამოსცილდა. მეტიც, კუკავა ბოლო ხანებში პარტიის სახელითაც აღარ აკეთებს საჯარო განცხადებებს. ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ მან პოზიციები დათმო.

კუკავას პარტიიდან წამოსვლას კი ავტომატურად მოჰყვება მისი მომხრების მიერ პარტიის დატოვება. ვის მიადგებიან განაწყენებული "კონსერვატორები", ჯერ უცნობია.

დაახლოებით, იგივე მდგომარეობაშია კოკა გუნცაძე. მას შემდეგ, რაც მან საკუთარი პარტიის გადაწყვეტილება არჩევნების ბოიკოტირების შესახებ ღიად გააკრიტიკა, მის მიმართ დავით გამყრელიძის დამოკიდებულება შეიცვალა. გუნცაძეც, კუკავას მსგავსად, პარტიიდან მარტო არ წამოვა. როგორც ამბობენ, ეს ჯგუფი მრეწველებს "დაუმეგობრდება".

თუმცა, არჩევნების დასრულებამდე ასეთ მკვეთრ ნაბიჯს ეს პოლიტიკოსები არ გადადგამენ - ერთისა და მეორის ყოფილ თანაგუნდელებს არჩევნების წინ დამატებითი პრობლემები არ სჭირდებათ. როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ჩუმი და მშვიდობიანი გაყრა ორივე მხარის ინტერესებში შედის. თუმცა, ეს მოჩვენებითი სიჩუმე, ალბათ, დიდხანს არ გასტანს.

საბაჭო დავა

რუსული სიჭიუტითა და ქართული რეკომენდაციებით

ვერიკო თევზაძე

ქართველი მაღალჩინოსნები ჩრდილოელ მეზობლებს შეახსენებენ, რომ რუსული ბაზების გაყვანის თაობაზე შეთანხმება სასურსათო პროდუქტების განბაჟებას არ ითვალისწინებს და, იმავდროულად, ქართული პურის, კარაქის და ყურძნის შეძენას ურჩევენ.

ლარსის გამშვებ პუნქტთან ქართველი მებაჟეები რუსეთიდან მომავალ ტვირთს არ ატარებენ. რუსები საქართველოს ხელისუფლებას კანონის უგულებელყოფაში ადანაშაულებენ. სამხრეთ კავკასიაში რუსული სამხედრო დაჯგუფების სარდლის ანდრეი პოპოვის თქმით, ქართული მხარე შეთანხმების მე-15 პუნქტს არღვევს, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში, საწვავი და პროდუქტი მათ მარაგის შესავსებად, ანუ საბოლოო ჯამში, ბაზების გასაყვანად სჭირდებათ. თავდაცვის მინისტრის მოადგილე მამუკა კუდავა რუსული მხარის ბრალდებებს "სიცრუეს" უწოდებს. **"შეთანხმების მიხედვით, რუსულ მხარეს აქვს უფლება, არ განბაჟოს ისეთი ტვირთი, რომელიც გამოიყენება ბაზების ფუნქციონირების შეწყვეტისათვის,"** – აცხადებს კუდავა. მისი განმარტებით, რუსეთის მხარემ რამდენიმე დღის წინ მოითხოვა დიდი რაოდენობის პროდუქტისა და საწვავის განუბაჟებლად შემოტანა.

რუსებს შესაბამის კანონმდებლობაში ჩახედვას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი ლევან ნიკოლეიშვილიც ურჩევს: **"ხელშეკრულების მიხედვით, შეიძლება არ განბაჟდეს საწვავ-საპოხი მასალები და მარაგნაწილები, რომელიც აუცილებელია რუსული სამხედრო ტექნიკის გასაყვანად. რაც შეეხება საკვებ პროდუქტებს, იგი განბაჟებას ექვემდებარება."**

ლარსის გამშვებ პუნქტთან რუსი სამხედროების მანქანათა კოლონა დგას. რუსები ჯიუტად ითხოვენ ტვირთის განუბაჟებლად გატარებას. ქართველი მებაჟეები კანონის დაცვას ითხოვენ. გენშტაბის უფროსი ლევან ნიკოლეიშვილი რუსებს პრობლემის მოგვარების საინტერესო გზას სთავაზობს: **"მე ვურჩევდი რუსულ მხარეს, კეთილი ინებონ და ყველა პროდუქტი შეიძინონ საქართველოში. იქნება ეს პური, კარაქი, ყველი, ხორცი, მათ შორის - ყურძენიც".**

ჯორჯ ბუშისა და მაჰმუდ აჰმადინეჯადის შეხვედრა არ იგეგმება

აშშ-ისა და ირანის პრეზიდენტები ჯორჯ ბუში და მაჰმუდ აჰმადინეჯადი ნიუ-იორკში ერთმანეთს არ შეხვდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი გაერო-ს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიას დაესწრება. ასამბლეის სესიაზე ერთერთი მთავარი თემა ახლო და ჩრდილო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარებაა, მათ შორის ირანის ბირთვული პროგრამა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უკვე დააფიქსირა საკუთარი პოზიცია და განაცხადა, რომ მზად არის "ისაუბროს ამ საკითხზე ყველასთან ირანის ხელისუფლების გარდა".

ბუშის თქმით, შეხვედრა მხოლოდ მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, რაც თეირანი ურანის გამდიდრებაზე იტყვის უარ.ს.

გაერო-ს უშიშროების საბჭოს 31 ივლისის რეზოლუციის თანახმად, ირანს საკუთარ ბირთვულ პროგრამაზე უარი 31 აგვისტომდე უნდა ეთქვა, თუმცა მიუხედავად ვადის ამოწურვისა, თეირანის წინააღმდეგ სანქციები ჯერჯერობით არ ამოქმედებულა.

ინტერპრესნიუსი

HEINRICH BÖLL STIFTUNG

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის სოციალურ მეცნიერებებში

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან. ფონდი ხელს უწყობს პროექტებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების, განსაკუთრებით კი გენდერული პოლიტიკისა და ქალთა უფლებების სფეროში, აგრეთვე - ეკოლოგიაში.

რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი

სასტიპენდიო პროგრამა გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისათვის უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

პროგრამის მიზანია:

■ ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მათ სოციალურ მეცნიერებათა განახლების საშუალებით რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარონ ინდივიდუალური, ინტერდისციპლინარული მეცნიერული კვლევა სამხრეთ კავკასიაში;

■ ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში მაღალკვალიფიციურ პროფესიონალთა ქსელის შექმნას.

კონკურსის პირობები

რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1973-1984 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა მკვლევრებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (დასავლეთევროპული და რუსული) კარგი ცოდნა. ყურადღება მიექცევა თემატურ სიახლეს და ორიენტაციას თანამედროვე მეთოდოლოგიაზე, ამასთანავე კვლევის ხარისხობრივ მეთოდებს.

ფონდი აფინანსებს კვლევას შემდეგ მიმართულებათა ფარგლებში:

1. ყოველდღიური ყოფის ისტორია;
2. სახელმწიფო და რელიგია XX საუკუნეში/ რელიგიის როლი დღეს;
3. სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობის ისტორია (*1920-1950-იან წწ.* ან 1953 წ. შემდეგ);
4. ახალი შეხედულებები ძველ კონფლიქტებზე;
5. ეთნიკურობა;
6. მიგრაციული პრობლემები;
7. ლტოლვილები ქალაქში: გადარჩენის სტრატეგიები, თემის ჩამოყალიბება;
8. „ჩვენიანი" და „უცხო" საზოგადოებაში;
9. უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემები;
10. ტრადიცია და დასავლური ღირებულებები;
11. ხელისუფლების არაფორმალური სტრუქტურები;
12. გენდერული როლების ტრანსფორმაცია;
13. ქალის პოლიტიკური სტატუსი და პოლიტიკური ლიდერობა;
14. ქალაქური კულტურა;
15. კომუნიკაცია ქალაქში;
16. ქალაქის მდგრადი განვითარება (სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები);
17. ქალაქის მართვის თანამედროვე მეთოდები;
18. ქალაქის სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურა;
19. ქალაქების განვითარების პრობლემები;
20. არქიტექტურა და ხელისუფლება;

ხანგრძლივობა და მოცულობა

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით - 1.01.2007-31.12.2007. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს ყოველთვიურად 200 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია ფონდის მიერ ორგანიზებული თანამდევი პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა.შ. სახით.

ზოგადი მითითებები

■ სტიპენდია წარმოადგენს ინდივიდუალურ დახმარებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებს გარეთა პროექტების დასაფინანსებლად.

■ კონკურსანტისთვის არ არის სავალდებულო, იყოს მაძიებელი ან სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.

■ საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა ა.წ. **20 ოქტომბერი, 12:00** სთ.

საჭირო საბუთები

1. თავფურცელი შემდეგი ცალკეული მონაცემებით: სახელი და გვარი; დაბადების წელი; ქვეყანა; სამეცნიერო დისციპლინა; საკონკურსო თემა; ნაშრომის სათაური.
2. განაცხადის ანკეტა (ჩამოტვირთეთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდიდან www.boell.ge).
3. ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV).
4. ესსე (3-5 გვერდის მოცულობით), რომელიც უნდა შეიცავდეს პროფესიულ და პირად მოტივაციას: *1. რატომ მაინტერესებს ეს თემა; 2. რა ვიცი თემის შესახებ; 3. რა მეთოდებით ვაპირებ თემაზე მუშაობას; 4. წლიური სამუშაო გეგმა.*
5. 2 რეკომენდაცია რომელიმე მეცნიერის ან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან, რომელშიც გიმუშავიათ (რა კონკრეტულ გამოცდილებას ან სამეცნიერო ნაშრომს ეფუძნება რეკომენდატორი აპლიკანტთან მიმართებაში).
6. უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების) დიპლომი ნიშნებითურთ.
7. სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და შეძლებისდაგვარად მათი ასლები 20 გვერდამდე (თუკი არსებობს).

ზემოთ ჩამოთვლილი საბუთები (სამეცნიერო ნაშრომთა ასლების გარდა) წარმოდგენილ უნდა იქნას რუსულ ენაზე და 3 ეგზემპლარად. განაცხადის არასრული ან დაგვიანებით შემოსული კომპლექტი არ განიხილება.

საკონკურსო განაცხადი გამოგზავნეთ შემდეგ მისამართზე:
ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო
რადიანის ქ. 5, 0179 თბილისი

■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

ხმა მიეცით ქალებს!

გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

UNDP Sida

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge

ს.ს. "პროკრედიტბანკი აცხადებს ტენდერს უძრავი ქონების და ავტომობილების დაზღვევაზე

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი შემოთავაზებები დალუქული კონვერტით შემდეგ მისამართზე:
ს.ს. "პროკრედიტბანკი"
სათაო ოფისი
ადმინისტრაციული განყოფილება
დ. აღმაშენებელის 154.
თბილისი
ტელ: 202222

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დამიკავშირდით ელ. ფოსტაზე: m.tabidze@procreditbank.ge

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2 ოქტომბერი.

შპს "საქართველოს რკინიგზის" განცხადება შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შესახებ

2006 წლის 09 სექტემბერს შპს საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოცხადებული იყო ტენდერი საპროექტო სამუშაოების (*მარაბდა ახალქალაქის რკ.ხაზის წინწყარო-ნინოწმინდა ახალქალაქის მონაკვეთის რეკონსტრუქციის პროექტირება; ახალქალაქი სატვირთო-კარწახი-თურქეთის საზღვრის ახალი ხაზის პროექტირება*) შესყიდვის შესახებ.

სატენდერო კომისია საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე წყვეტს შესყიდვის პროცედურებს საპროექტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით.

სატენდერო კომისია

საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიცია აგრძელებს კანდიდატთა მიღებას სწრაფი რეაგირების რაზმსა და წვრთნისა და გადამზადების ცენტრში შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე

სწრაფი რეაგირების რაზმში

კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:
ასაკი 20-დან 35 წლამდე
უმაღლესი ან საშუალო განათლება
სიმაღლე 1,75 მეტრიდან
სპორტული აღნაგობის
გავლილი სამხედრო სავალდებულო სამსახური ან რეზერვისტთა კურსები

უპირატესობა მიენიჭებათ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის გამოცდილების, სპორტული თანრიგისა და სპეციალური სამხედრო მომზადების მქონე კანდიდატებს.

წვრთნისა და გადამზადების ცენტრში

სასწავლო განყოფილების უფროსი
სასწავლო განყოფილების სპეციალისტი
ინსტრუქტორები იურიდიულ საკითხებსა და კავშირგაბმულობის განხრით

საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
შესაბამისი უმაღლესი განათლება
სასწავლო სფეროში მუშაობის გამოცდილება

საბუთების მიღება წარმოებს 20 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით მისამართზე: თბილისი, კანდელაკის N12. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის საკადრო საკითხთა სამმართველოს ან დარეკეთ: 37 02 99, 38 13 98. www.gbg.ge

ყურადღება!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

იუნესკოს გადაწყვეტილების შესაბამისად მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება 2006 წლის 10 ნოემბერს მეორედ ატარებს მეცნიერების დღეს. ამ დღეს მოხდება წლის საუკეთესო მეცნიერის წოდების მინიჭება შემდეგ დარგებში: საბუნებისმეტყველო (ფუნდამენტურ), ტექნიკის და ბიო-აგრარულ მეცნიერებებში, აგრეთვე მეცნიერების ისტორიაში. ამავე დღეს დასახელდება მასმედიის წარმომადგენელიც, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მეცნიერების პოპულარიზაციის საქმეში.

კონკურსში გამარჯვებულებს გადაეცემათ საზოგადოების ვერცხლის მედალი და ფულადი პრემია: საუკეთესო მეცნიერებს თითოეულს - 1000 $ (ეროვნული ვალუტით), ხოლო მეცნიერების ისტორიისა და მასმედიის წარმომადგენლებს თითოეულს 500 $ (ეროვნული ვალუტით).

კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:
1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ
2. მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ერთ გვერდზე
3. ბოლო სამ წელიწადში (2003 წლის 1 ივლისი - 2006 წლის 31 ივნისი) გამოქვეყნებული შრომები
4. მასალები (თუ ასეთი არსებობს) ციტირების კოეფიციენტის, კვლევის შედეგების დანერგვის, პატენტების, ლიცენზიების, საერთაშორისო კონფერენციებსა და გამოფენებში მონაწილეობის შესახებ (აგრეთვე, სხვა მასალებიც, რომლებიც ადასტურებენ სამეცნიერო ნაშრომების მნიშვნელობას).
5. სამეცნიერო ორგანიზაციის ან დარგში აღიარებული მეცნიერის მოკლე რეკომენდაცია.

მეცნიერების ისტორიის დარგის წარმომადგენლებს სამწლიანი შეზღუდვა არ მოეთხოვებათ, რადგან პირველად მონაწილეობენ კონკურსში. მასმედიის წარმომადგენლებმა კონკურსში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინონ ბოლო ათი წლის განმავლობაში მეცნიერების პოპულარიზაციისათვის გაწეული მოღვაწეობის დამადასტურებელი მასალები.

საკონკურსო მასალები განიხილება და გამარჯვებულთა კანდიდატურები შეირჩევა შესაბამისი კომისიების მიერ და დამტკიცდება მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომაზე.

საკონკურსო მასალების შემოტანის ვადაა ერთი თვე (2006 წლის 20 სექტემბრიდან 19 ოქტომბრის 15 საათამდე).

საკონკურსო მასალები მიიღება მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების ოფისში, მისამართი: კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის IV კორპუსში, I სართული, ოთახები N250 და N 254.

დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმს.

საკონტაქტო ტელეფონები:
36 53 17; 36 48 99;
899 180108 (რაფიელი); 899 469550 (გელა).

ყოფილი მაღალჩინოსანი პოლიციელი და მისი დანაშაულებრივი ჯგუფი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ორმხრივი სროლისას ერთერთი დამნაშავე, რომელიც კორკოტაშვილი აღმოჩნდა, ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მეორე დამნაშავე - გოჩა ვარაზაშვილი შემთხვევის ადგილზე დაიკავეს. ვარაზაშვილმა იმავე ღამეს აღიარა ჩადენილი დანაშაული, უფრო მეტიც, ბოროტმოქმედი წინა წლებში ჩადენილ დანაშაულებზეც ალაპარაკდა და დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, მათი ხელმძღვანელი - გოჩა ნაზღაიძეც დაასახელა. გენპროკურატურის პრესსამსახურის ინფორმაციით, ვარაზაშვილის აღიარებითი ჩვენება ვიდეოკამერით არის გადაღებული და ის დაკანონებულია მოსამართლის მიერ.

ვარაზაშვილის ჩვენებით, რაც შემდეგ გამოძიებითაც დადასტურდა, კახეთის სამხარეო პოლიციის სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის უფროსი, შემდეგ კი ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილე გოჩა ნაზღაიძე, 2003 წელს დაუკავშირდა გოჩა ვარაზაშვილს, კობა აბაზაშვილს და ამჟამად ძებნილ ზურაბ გეთიაშვილს და შექმნა ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფი. სამართალდამცველების მტკიცებით, აღნიშნული ჯგუფის მიზანი სხვადასხვა პირებზე თავდასხმა იყო. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ჯგუფის წევრებმა, დაუდგენელი პირებისაგან შეიძინეს "მაკაროვის" სისტემის მაყუჩიანი ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა.

როგორც გამოძიებამ დაადგინა, პირველად ვარაზაშვილმა, გეთიაშვილმა და აბაზაშვილმა გურჯაანში ომარ ნიბლაძის ოჯახი დაყაჩაღეს, რა დროსაც მოკლეს ომარ და ვენერა ნიბლაძეები და მათი სახლიდან წაიღეს 100 ათასი აშშ დოლარი. მოგვიანებით, ვარაზაშვილი და ნაზღაიძე მივიდნენ ნინო კალატოზიშვილთან და მის შვილთან დარინა პაპუნაშვილთან. როგორც ჩვენებებით გაირკვა, ნაზღაიძეს ეჭვი ჰქონდა, რომ კალატოზიშვილის მეუღლემ ნუგზარ პაპუნაშვილმა რამდენიმე წლის წინ მისი ძმა მოკლა. ამიტომ, შურისძიების მიზნით, მთვარლმა თავდამსხმელებმა განსაკუთრებული სისასტიკით დახოცეს დედა-შვილი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

პროკურატურამ გოჩა ვარაზაშვილს, ზურაბ გეთიაშვილს და კობა აბაზაშვილს ბრალი დასდო ბანდიტიზმში, საბრძოლო იარაღის შეძენა, შენახვა, ტარებასა და დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობაში.

რაც შეეხება ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის უფროსს, მაღალჩინოსან პოლიციელს გოჩა ნაზღაიძეს, ისიც ბანდიტიზმში, საბრძოლო იარაღის შეძენა, შენახვა, ტარებასა და დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობაში დაადანაშაულეს. თუმცა, მოგვიანებით მის ბრალდებებს დაემატა ახმეტის რაიონის სოფელ საკობიასთან, ნიღბიანი პირების მიერ მოქალაქეებზე თავდასხმის ფაქტიც, რომელიც კრიმინალური პოლიციის მაშინდელმა უფროსმა ნაზღაიძემ დამალა - შს მინისტრის და კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს უფროსის სახელზე გაგზავნილ ტელეფონოგრამებში შეგნებულად შეიტანა ყალბი მონაცემები და გაუხსნელი დანაშაული გახსნილად აჩვენა.

ამიტომ, პოლიციის ყოფილ მაღალჩინოსანს ჯგუფის წევრების ბრალდებებთან ერთად სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლიც დაემატა.

აღნიშნული საქმის გამოძიება დასრულდა და იგი განსახილველად გადაეგზავნა ყვარლის რაიონულ სასამართლოს, სადაც, ამჟამად საქმის სასამართლო განხილვა მიმდინარეობს.

24 საათი

ევროკავშირის დაფინანსებით ორი პროექტი განხორციელდება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ევროპის კავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების დაწყებასთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ და საქართველოში ევროპის კომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ელჩმა ტორბენ ჰოლცემ ბრიფინგი გამართეს.

იუსტიციის მინისტრის თქმით, ევროპის კავშირის ფინანსური მხარდაჭერით იუსტიციის სამინისტროში განხორციელდება ორი პროექტი, რომლის საერთო მოცულობა 4 მლნ ევროს შეადგენს.

პროექტი "იუსტიციის სამინისტროს რეფორმის ხელშეწყობა" იუსტიციის სამინისტროს ინსტიტუციურ გაძლიერებას ითვალისწინებს და მას ავსტრიული კომპანია განახორციელებს.

პროექტით გათვალისწინებულია იუსტიციის სამინისტროში მართვის პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების პროცესის ხელშეწყობა, ტექნიკური აღჭურვა, სამინისტროს თანამშრომლების სწავლება, ასევე, შიდა კონტროლის მექანიზმის დახვეწა. 18-თვიანი პროექტის განხორციელებაზე 6 ექსპერტი მუშაობს.

მეორე პროექტი, რომლის განხორციელებას შვედეთის ციხისა და პრობაციის ადმინისტრაცია უახლოეს მომავალში დაიწყებს, პენიტენციალურ და პრობაციის სისტემების რეფორმის მხარდაჭერას ითვალისწინებს. პროექტის მიზანია პენიტენციალური სისტემის გაუმჯობესება, კადრების გადამზადება, უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება, პატიმართა დასაქმების პროგრამების დაწყება, ასევე, პრობაციის სისტემის რეფორმის ხელშეწყობა.

გია ქავთარაძე და ტორბენ ჰოლცე.

"ევროპის კომისიის დელეგაციას და პირადად ბატონ ელჩს დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იუსტიციის სამინისტროში მიმდინარე რეფორმის მხარდაჭერისათვის. ახალი პროექტების დაწყება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საქართველოში მიმდინარე რეფორმები საერთაშორისო საზოგადოების სრულ მხარდაჭერას პოულობს", - განაცხადა გია ქავთარაძემ.

ტორბენ ჰოლცემ იმედი გამოთქვა, რომ ევროპის კავშირის პროექტები იუსტიციის სამინისტროს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს.

24 საათი

მოკლედ

განახლებული კრიმინალისტიკური ლაბორატორია შსს-ში

შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალისტიკის მთავარ სამმართველოს ახალი თანამდროვე სტანდარტებით აღჭურვილი ლაბორატორია აქვს.

"ამგვარი სისტემებით აღჭურვილი ლაბორატორია მთელს კავკასიაში არ არსებობს. ლაბორატორიაში თითის ანაბეჭდების მონაცემთა ბაზაც შეიქმნება. ლაბორატორიის მეშვეობით, ნებისმიერ ხსნარში ნარკოტიკული ნივთიერების აღმოჩენა იქნება შესაძლებელი. ასევე შესაძლებელი იქნება იმის დადგენა, დამონტაჟებულია თუ არა მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ფირი", - ასე შეაფასა განახლებული ლაბორატორია შინაგან საქმეთა მინისტრმა. მისივე განმარტებით, უახლესი ტექნოლოგიების მეშვეობით, გამოძიების ჩატარება უფრო სრულყოფილად მოხდება. "შს სამინისტრომ პირველ რიგში საველე ლაბორატორიები ჩამოაყალიბა. ბოლო პერიოდში, ეჭვმიტანილების დაკავების დროს, მტკიცებულებების მოძიება სწორედ ამგვარი ლაბორატორიების მეშვეობით ხდება. ის კრიმინალები, ყაჩაღები, ბანდიტები, მკვლელები, რომელთა რაოდენობა ციხეებში ჩემი მინისტრობის დროს გაორმაგდა, მტკიცებულების მოძიების ასეთი საშუალებით მოხვდნენ საპატიმროებში. ბოლო წლების განმავლობაში მტკიცებულების მოძიების ძველი მეთოდები - იარაღის, ნარკოტიკების ჩადება პრაქტიკულად ისტორიას ჩაბარდა და ჩვენს კრიმინალისტიკურ სამსახურში რეფორმა განხორციელა", - ირწმუნებოდა გუშინ, განახლებული ლაბორატორიის გახსნაზე, შინაგან საქმეთა მინისტრი. **24 საათი**

შოტლანდიის საპარლამენტო დელეგაცია იუსტიციის მინისტრთან

იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ შოტლანდიის პარლამენტის დელეგაცია მიიღო, რომლის შემადგენლობაში იყვნენ შოტლანდიის პარლამენტის წევრი სტიუარტ სტივენსონი და პარლამენტის მკვლევარი რაიან მაკქიგი.

შეხვედრას ესწრებოდნენ იუსტიციის მინისტრის მოადგილე დიმიტრი ძაგნიძე და იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის დირექტორი დავით ჭიჭინაძე.

იუსტიციის მინისტრმა სტუმრებს ინფორმაცია მიაწოდა იუსტიციის სამინისტროს ფუნქციებსა და უწყებაში მიმდინარე მოვლენებზე. ყურადღება გამახვილდა ევროპის კავშირის დახმარებით მომზადებულ სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის ოთხწლიან სამოქმედო გეგმაზე. **24 საათი**

ყალბი ფულის გამსაღებელი დააკავეს

ვოლგოგრადის ოლქში სამართალდამცველებმა ადგილობრივ მოსახლეს ყალბი 1000-რუბლიანი კუპიურა აღმოუჩინეს. როგორც გაირკვა, კუპიურა მან გარკვეული პროდუქტის შეძენისას 49 წლის საქართველოს მოქალაქისგან ხურდაში მიიღო. როგორც გამოძიებამ დაადგინა, ყალბი კუპიურის გამცემი საქართველოს მოქალაქე ქუთაისის მკვიდრი აღმოჩნდა, რომელსაც თან ნათესავი, ამჟამად მოსკოვში მცხოვრობი ასევე საქართველოს მოქალაქე ახლდა. სამართალდამცველებმა ქუთაისელი დააკავეს. მას კიდევ 2 ყალბი კუპიურა აღმოუჩინეს, მისი თანმხლები კი ამჟამად ძებნაშია.

500-რუბლიანი ყალბი კუპიურა კიდევ ერთ ქართველს აღმოუჩინეს. იგი სატვირთო მაქანის მძღოლად მუშაობდა. ყალბი ფული მას ნიკოლაევსკის რაიონში სატვირთო გადაზიდვების მომსახურების ანგარიშსწორებისას აღმოუჩინეს.

მილიციის თანამშრომლები ადგილობრივ მოსახლეობას ყალბი ფულის რაოდენობის მატებასთან დაკავშირებით, სიფრთხილისკენ მოუწოდებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

ჭარიმა საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ

რუსეთის დროშის ქვეშ მცურავმა გემის "პატრუშევოს" მფლობელმა, საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული ჯარიმა 50 ათასი ლარი გადაიხადა. სასაზღვრო პოლიციის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 11 სექტემბერს სანაპირო დაცვის ოპერაციების სამმართველოს ბათუმის ბაზის მესაზღვრეებმა საქართველოს საზღვაო სივრცეში (სარფის სიახლოვეს), ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე რუსეთის დროშის ქვეშ მცურავი მშრალი ტვირთმზიდი გემი "პატრუშევო" დააკავეს. საქართველოს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, გემს 50 ათასი ლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ფინანსურ პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველომ უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის ფაქტზე ორი მოქალაქე დააკავა, ჯერჯერობით დაუდგენელმა მესამე პირმა კი გაქცევა მოახერხა.

ფინანსური პოლიცია ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე „მერსედესის" და „ოპელის" მარკის ავტომანქანებს თერჯოლის რაიონში დაედევნა და მძღოლებს გაჩერება მოსთხოვა. მძღოლები მოთხოვნას არ დაემორჩილნენ და გზა ქუთაისის მიმართულებით განაგრძეს. ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა პოლიციის ავტომანქანებით გზის ჩახერგვა სცადეს, მაგრამ კანონდამრღვევთა ავტომანქანები მათ დაეჯახნენ, გზიდან გადაყარეს და მოძრაობა განაგრძეს.

ფინანსურმა პოლიციამ ქუთაისში ორივე ავტომანქანის დაკავება მაინც შეძლო. „მერსედესის" მარკის ავტომანქანაში დავით ბაქრაძე და ალექსანდრე ასკილაშვილი ისხდნენ და 2 500 კოლოფი უაქციზო სიგარეტი რეალიზაციის მიზნით გადაეჭრნენათ.

„ოპელის" მარკის ავტომანქანას კი ფინანსურმა პოლიციამ ქალაქ ქუთაისში მესხიშვილის ქუჩაზე გადაუკეტა გზა, მაგრამ ავტომანქანა მაინც არ დაემორჩილა პოლიციას და ერთ–ერთი საცხოვრებელი სახლის ეზოში შევარდა, ავტომანქანა მიატოვა და გაიქცა. „ოპელის" მარკის ავტომანქანიდან 5 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტია ამოღებული.

ფინანსურ პოლიციაში დაწყებულია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება გაქცეული პირის ვინაობის დასადგენად და დასაკავებლად. რაც შეეხება ბაქრაძეს და ასკილაშვილს, ფინანსურმა პოლიციამ ისინი უკვე დაკითხა და წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანა.

გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე–200 მუხლით („მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა") დაიწყო. **მედიანიუსი**

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია", დაფინანსების წყარო - შ.პ.ს. "საქაერონავიგაციის" სახსრები, აცხადებს ტენდერს სანავიგაციო და დაფრენის რადიო და შუქტექნიკური მოწყობილობების შემოფრენის მომსახურების (საფრენო შემოწმების ჩატარება თანმდევი მომსახურებით) შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. გასაწევი მომსახურების დეტალური აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში. შემოფრენა უნდა ჩაუტარდეს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ შპს "საქაერონავიგაციის" შემდეგ სანავიგაციო და დაფრენის რადიო და შუქტექნიკურ მოწყობილობებს (მომსახურების მოკლე აღწერითა და სასურველი ვადების მითითებით):

მოწყობილობის დასახელება	მომსახურების მოკლე აღწერა	სასურველი ვადები
ILS -2100/DME 2 ცალი ქ. თბილისის აეროპორტში	ნახევარწლინი პროგრამის მიხედვით	2006 წლის 15 ნოემბრამდე
СП-80; NDB ქ. ბათუმის აეროპორტში	ექსპლუატაციაში შეყვანის პროგრამის მიხედვით	2006 წლის 20 ნოემბრამდე
VOR: 2 ცალი: 1 თბილისში და 1 ქოპიტნარში	წლიური პროგრამის მიხედვით	2006 წლის 15 ნოემბრამდე
DME: 2 ცალი: 1 თბილისში და 1 ქუთაისში	ექსპლუატაციაში შეყვანის პროგრამის მიხედვით	2006 წლის 15 ნოემბრამდე
შუქტექნიკური მოწყობილობები ქ. თბილისის აეროპორტში	ექსპლუატაციაში შეყვანის პროგრამის მიხედვით	2006 წლის 20 ნოემბრამდე
შუქტექნიკური მოწყობილობები ქ. ბათუმის აეროპორტში	ექსპლუატაციაში შეყვანის პროგრამის მიხედვით	2006 წლის 20 ნოემბრამდე

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული. ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს წინასწარი მოთხოვნის შესაბამისად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს შემდეგ მისამართზე: 0158, საქართველო, თბილისი, აეროპორტი, შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია" ტელ: (+995 32) 27-43-27. საკონტაქტო პირები: ეკა ბუთხუზი, ნ. შარაშენიძე..

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 12 ოქტომბრის 17 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: 0158, საქართველო, თბილისი, აეროპორტი, შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია" ადმინისტრაციული შენობა.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - შ.პ.ს. "საქაერონავიგაცია" ს/კ 208144051

ა.ა. N111467601, "თი-ბი-სი" ბანკი, ც/ფ; კოდი 220101830

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, შემოფრენის მომსახურება.

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 12 ოქტომბრის 10 საათიდან 17 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე. დასაშვებია სატენდერო წინადადებების წარმოდგენა აგრეთვე უცხო ენაზე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანის დართვით.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

შენიშვნა: *არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით.*

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

კონვერტს უნდა მიეთითოს: რომ ის შეიცავს სატენდერო წინადადებას და მისი გახსნის უფლება აქვს მხოლოდ სატენდერო კომისიას.

სატენდერო კომისია

განცხადება

საქრთველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2006 წლის 8 სექტემბრის გაზეთ „24 საათი"-ს N198-ში ფარდა-ჟალუზების შესყიდვასთან დაკავშირებით გამოცხადებული ტენდერის სატენდერო განცხადებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტი - ფარდა-ჟალუზი 8400მ2, დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.
2. ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საქონლის მიწოდება და მონტაჟი კახეთის რეგიონალური ხაზინის შენობაში (თელავი ერეკლე II-ს N16) 1800მ2-ის 2006 წლის 1 ოქტომბრამდე, აქციზის გადამხდელთა ინსპექციის შენობაში (თბილისი, დადიანის N30) 800მ2-ის 2006 წლის ნოემბრის ბოლომდე, ბათუმის საგადასახადო ინსპექციისა და საბაჟო დასავლეთის შენობაში (ბათუმი, ფიროსმანის N5) 500მ2-ის 2006 წლის ოქტომბრის ბოლომდე და ფინანსთა სამინისტროს ახალ ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი გორგასლის ქ. N16) 6920მ2-ის 2006 წლის ნოემბრის ბოლომდე. დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.
3. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

სს "კახეთის პური"-ს გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს ქონებაზე, კერძოდ: სს "კახეთის პური"-ს საკუთრებაში არსებულ თელავის პურის ქარხანაზე (მიწის ნაკვეთით, მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით და მოძრავი ქონებით). დეტალურ ინფორმაციას ამ მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობების თაობაზე შეგიძლიათ გაეცნოთ გაკოტრების მმართველთან (მისამართი: ბამბის რიგი N7).აუქციი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ხეების გადაბელვისა და მოჭრა-გასხვლისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 6 პოზიციად (ლოტად):

1. ლოტი - ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ - 10 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა, 9 ძირი II კატეგორიის ხის გადაბელვა, 233 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა, 68 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა, 12 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა;

2.ლოტი - ვაჟა-ფშაველას გამზ. III კვ - 15 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა, 148 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა, 54 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა, 5 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა;

3.ლოტი - ვაჟა-ფშაველას გამზ. IV კვ - 12 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა, 133 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა, 61 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა, 14 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა;

4. ლოტი - ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ - 16 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა, 26 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა, 4 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა,

5. ლოტი - ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ - 5 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა, 68 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა, 55 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა, 7 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა;

6. ლოტი - ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ - 11 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა, 2 ძირი II კატეგორიის ხის გადაბელვა, 81 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა, 66 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა, 8 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა.

მომსახურების მოკლე დახასიათება: ხეების გადაბელვა, მოჭრა, გასხვლა და ნარჩენების გატანა.

2. სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 დღე.

3. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 11 ოქტომბრის 12 საათიდან 2006 წლის 11 ოქტომბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

4. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

■ ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

ფიზიკური პირისათვის:

■ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

■ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

■ ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

■ ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

■ ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. თუ პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებამდე დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 20 სექტემბრის 12 საათიდან 2006 წლის 10 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7. ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დათუნაშვილი - საკონტაქტო ტელეფონი 99-60-35, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

განცხადება აუქციონის ჩატარების თაობაზე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საფინანსო სააგენტო" 2006 წლის 4 ოქტომბერს 12.00 საათზე ატარებს სპეციალურ აუქციონს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ ქონებაზე. ქონება წარმოადგენს ოქროს, ვერცხლისა და სხვა არაძვირფასი ლითონების ნაკეთობებს.

აუქციონი ჩატარდება შემდეგი ლოტების მიხედვით:

ლოტის №	დასახელება	რაოდენობა	წონა	ღირებულება (ლარი)
1	ჭურჭელი, საყოფაცხოვრებო ნივთები	112	6083	1879
2	სამკაულები (ვერცხლის და არაძვირფასი ლითონების)	122	4666	1559
3	ქამარ-ხანჯლის კომპლექტი	21	6625	2092
4	მონეტები	68	527	129
5	ვერცხლის ჯართი	43	2388	998
6	მარგალიტის სამკაულები	284	4552	451
7	ოქროს სხვადასხვა საიუველირო ნაწარმი	78	141	3558

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ "საფინანსო სააგენტოს" 2006 წლის 3 ოქტომბრის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ირ. აბაშიძის ქ. N70, პირველი სართული.

განცხადება უნდა შეიცავდეს:
ა) ინფორმაციას მონაწილის შესახებ;
ბ) ქონების დასახელებას;
გ) ლოტზე (ან ლოტებზე) მითითებას;
დ) საგარანტიო თანხის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;

ე) პირადობის დამადასტურებელ საბუთს, სათანადო წესით დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან სხვა ფიზიკური პირის სახელით.

საგარანტიო თანხა, რომლის სიდიდეც შეადგენს აუქციონზე გამოტანილი ქონების 10%-ს, მის მიერ განცხადებაში მითითებული ლოტების შესაბამისად, შეტანილ უნდა იყოს შემდეგ ანგარიშზე: სს "ბაზისბანკის" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101956, ანგარიშის N7434110; მიუთითეთ "საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საფინანსო სააგენტო", საგარანტიო თანხა.

განცხადება შეიძლება შეტანილი იყოს ცალკ-ცალკე ან რამდენიმე ლოტზე ერთად.

აუქციონი გაიმართება საფინანსო სააგენტოში.

აუქციონზე გასაყიდი ნივთების წინასარეალიზაციო ჩვენება-დათვალიერება გაიმართება მიმდინარე წლის 26 და 27 სექტემბერს 1200 საათიდან 1700 საათამდე საფინანსო სააგენტოს მეშვეობით.

დამატებითი ინფორმაცია აუქციონზე გასატანი ქონების შესახებ და აუქციონის პირობების თაობაზე მსურველებს შეუძლიათ მიიღონ "საფინანსო სააგენტოში".

საკონტაქტო პირები: კობა ლაცაბიძე, ბეჟან შარაშიძე
ტელ: 25-34-21 25-34-22

სსიპ "საფინანსო სააგენტო"

განცხადება აუქციონის ჩატარების თაობაზე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საფინანსო სააგენტო" 2006 წლის 3 ოქტომბერს 1200 საათზე ატარებს ღია აუქციონს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ ქონებაზე. ქონება წარმოადგენს უცხოური წარმოების ავტომანქანებს.

აუქციონი ჩატარდება შემდეგი ლოტების მიხედვით:

ლოტი 1. მაღალი გამავლობის ავტომანქანა "JEEP HUMMER H2", VIN კოდი: SGRGN23U43H119796, სახ. ნომრით FEF-598, გამოშვების წელი - 2003, ფერი შავი, მუშა მდგომარეობაში, სრული ელპაკეტით, გადაცემათა კოლოფი - ავტომატური, ავტომაქანის გარბენი - 5645კმ. საწყისი ფასი - 33 000 (ოცდაცამეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

ლოტი 2. მსუბუქი ავტომანქანა "VOLVO C70 2.5 CUPE კაბრიოლეტი" VIN კოდი: YVINC56K91J016586 სახ. ნომრით FEF-594, გამოშვების წელი - 2001, ფერი შავი, საწყისი ფასი - 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ "საფინანსო სააგენტოს" 2006 წლის 2 ოქტომბრის 1700 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ირ. აბაშიძის ქ. N70, პირველი სართული.

განცხადება უნდა შეიცავდეს:
ა) ინფორმაციას მონაწილის შესახებ;
ბ) ქონების დასახელებას;
გ) ლოტზე (ან ლოტებზე) მითითებას;
დ) საგარანტიო თანხის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;
ე) პირადობის დამადასტურებელ საბუთს, სათანადო წესით დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან სხვა ფიზიკური პირის სახელით.

საგარანტიო თანხა, რომლის სიდიდეც შეადგენს აუქციონზე გამოტანილი ქონების 10%-ს, მის მიერ განცხადებაში მითითებული ლოტების შესაბამისად, შეტანილ უნდა იყოს შემდეგ ანგარიშზე: სს "ბაზისბანკის" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101956, ანგარიშის N7434110; მიუთითეთ "საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საფინანსო სააგენტო", საგარანტიო თანხა.

განცხადება შეიძლება შეტანილი იყოს ცალკ-ცალკე ან ორივე ლოტზე ერთად.

აუქციონი გაიმართება საფინანსო სააგენტოში.

აუქციონზე გასაყიდი ავტომანქანების წინასარეალიზაციო ჩვენება-დათვალიერება გაიმართება მიმდინარე წლის 26 სექტემბრიდან 28 სექტემბრის ჩათვლით 1100 საათიდან 1500 საათამდე საფინანსო სააგენტოს მეშვეობით.

დამატებითი ინფორმაცია აუქციონზე გასატანი ქონების შესახებ და აუქციონის პირობების თაობაზე მსურველებს შეუძლიათ მიიღონ "საფინანსო სააგენტოში".

საკონტაქტო პირები: კობა ლაცაბიძე, ბეჟან შარაშიძე
ტელ: 25-34-21
25-34-22

სსიპ "საფინანსო სააგენტო"

■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

ხმა მიეცით ქალებს!

გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

UNDP Sida

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge

მოკლედ

ტოტი არც უკრაინასთან იქნება, არც საქართველოსთან

იტალიური პრესის ცნობით, ფრანჩესკო ტოტი "სკუადრა აძურას" ოქტომბერში გასამართ ევრო 2008-ის შესარჩევ ტურნირში უკრაინისა და საქართველოს ნაკრებებთან მატჩებში ვერ დაეხმარება.

"ეს თავად ფრანჩესკოს გადაწყვეტილებაა", - განაცხადა "რომას" მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ. დედაქალაქური კლუბის კაპიტანს თებერვალში მიღებული ტრავმა ბოლომდე ჯერაც არ მოუშუშებია. მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე ფრანჩესკო ტოტიმ პრესასთან საუბარში განაცხადა, რომ ნაკრების ღირსებას 2007 წლამდე არ დაიცავს.

ლაპორტამ "პუმა" უარყო

კატალონიური "ბარსელონას" პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ უარყო პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს კლუბმა შეთანხმებას მიაღწია სპორტულ კომპანია "პუმასთან", რომელმაც 2008 წელს 20 მილიონი ევროს სანაცვლოდ ფეხბურთელთა ეკიპირება უნდა უზრუნველყოს. "ნაიკი" ერთადერთი ფირმაა, რომელსაც "ბარსას" საფეხბურთო ფორმის წარმოების უფლება აქვს და მასთან კონტრაქტი 2008 წლის ბოლომდე გვაკავშირებს. ჩვენ არ ვაპირებთ "ნაიკთან" ხელშეკრულების გაწყვეტას", - განაცხადა ლაპორტამ.

პსვ-ს ფარფანი გამოაკლდა

"როიტერის" ინფორმაციით, ჰოლანდიური "პსვ ეინდჰოვენის" თავდამსხმელი ჯეფერსონ ფარფანი "ფეინოორდთან" შეხვედრაში დაშავდა, რის გამოც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე "ბორდოსთან" ვერ ითამაშებს.

ფარფანმა ტრავმა კლუივერტთან შეჯახებისას მიიღო. ექიმების თქმით, თავდამსხმელს, რომელიც ამჟამად "ეინდჰოვენის" კლინიკაშია, ტვინის მსუბუქი შერყევა აქვს. ჩემპიონთა ლიგაზე პსვ ფრანგულ "ბორდოს" 27 სექტემბერს დაუპირისპირდება.

ლარსონი ნაკრებში არ დაბრუნდება

შვედეთის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობამ ჰენრიკ ლარსონს ნაკრებში ზლაპატან იბრაჰიმოვიჩის შეცვლა შესთავაზა, თუმცა შვედმა თავდამსხმელმა უარი განაცხადა. ლარსონის თქმით, ის ახლა მხოლოდ საკლუბო ფეხბურთზეა გადართული და არ უნდა საერთაშორისო კარიერის განახლებაზე დაკარგოს დრო. რაც შეეხება ზლატან იბრაჰიმოვიჩს, "ინტერის" თავდამსხმელმა უარი განაცხადა უახლოეს ორ მატჩში ნაკრების ღირსება დაიცვას.

როსიმ თანამდებობა დატოვა

"გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა გვიდო როსიმ თანამდებობა დატოვა.

გვიდო როსიმ ფედერაციის სათავეში კორუფციული სკანდალის შემდეგ პოსტიდან გადამდგარი ფრანკო კარარო შეცვალა. როსის წასვლის ოფიციალურ მიზეზად მისი კონცერნ Telecom Italia-ს პრეზიდენტად დანიშვნას ასახელებენ. Telecom Italia ზემოხსენებული კონცერნი იტალიის ჩემპიონატის ტრანსლირების ოფიციალური სპონსორია.

კანუმ "პორტსმუთში" გადასვლის მიზეზი გაამხილა

"პორტსმუთის" ახალწვეულმა თავდამსხმელმა ნვანკო კანუმ ინგლისურ კლუბში გადასვლის მიზეზი გაამჟღავნა.

ნიგერიელი თავდამსხმელის თქმით, ეს გადაწყვეტილება მან გარი რედნაპის თაყვანისცემის გამო მიიღო.

"მინდოდა გარი რედნაპის ხელმძღვანელობით მეთამაშა, რადგან მასზე ბევრი რამ მსმენია. ჩემი გადაბირების სურვილს "ჰამბურგი" და კიდევ რამდენიმე ესპანური კლუბი გამოთქვამდა, თუმცა მე მინდოდა რედნაპის გუნდის ნაწილი გავმხდარიყავი", - განაცხადა კანუმ.

კარიერის განმავლობაში ნიგერილი ფორვარდი "აიაქსის", მილანის "ინტერის", ლონდონის "არსენალისა" და "ვესტ ბრომვიჩის" ღირსებას იცავდა.

ლემანით პოლიცია დაინტერესდა

ლონდონის "არსენალის" გერმანელი მეკარე იენს ლემანი გამომძიებელთა ყურადღების ქვეშ აღმოჩნდა. მიზეზი – გასულ უიკენდზე "მანჩესტერ იუნაიტედთან" გამართული შეხვედრისას ლემანის მიერ ტრიბუნებზე ნასროლი წყლის ბოთლი გახდა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლემანის ნასროლი ბოთლი ტრიბუნაზე მჯდომ ბიჭუნას მოხვდა, რომელიც, საბედნიეროდ, სერიოზულად არ დაშავებულა. მაგრამ ბავშვის მამამ, რომელიც "მანჩესტერ იუნაიტედის" ქომაგია, პოლიციას მიაკითხა და ლემანზე საჩივარი შეიტანა. ჯერჯერობით გაურკვეველია, რა სასჯელს გამოუტანს პოლიცია იენს ლემანს.

მოურინიომ შევა გააკრიტიკა

"ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ საჯაროდ გამოთქვა უკმაყოფილება კლუბის უკრაინელი თავდამსხმელის ანდრეი შევჩენკოს სათამაშო ფორმის გამო.

"შევამ იცის, რომ მისგან მაქსიმუმს ვითხოვ. ვერ ვიტყვი, რომ თვითონ არ ცდილობს ან ჩვენი გუნდის სათამაშო სქემასთან აქვს პრობლემები. ახლა ზუსტად იმ სქემით ვთამაშობთ, რითაც ის "მილანში" თამაშობდა. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ცოტა ხანში მოუმატებს და სეზონის ბოლოს პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირიც გახდება", - განაცხადა პორტუგალიელმა სპეციალისტმა.

პრშო "სელტიკთან" მატჩს გამოტოვებს

შოტლანდიური "გლაზგო რეინჯერსის" თავდამსხმელი დადო პრშო, სავარაუდოდ, წლევანდელ სეზონში "სელტიკის" წინააღმდეგ პრინციპულ დაპირისპირებას გამოაკლდება. მიზეზი ფეხბურთელის მუხლის ტრავმაა.

"ძალიან ვწუხვარ, რომ პრშო ვერც "ჰიბერნიანთან" დაგვეხმარა და, სამწუხაროდ, ვერც "რეინჯერსთან" ითამაშებს", - განაცხადა შოტლანდიელთა თავკაცმა პოლ ლე გუენმა.

ვენგერმა კოულის შემცვლელი იპოვა

ბრიტანული "დეილი ექსპრესის" ცნობით, ლონდონის "არსენალის" მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი "საუთჰემპტონის" მცველით ჰარეტ ბეილით დაინტერესდა. ვენგერის განცხადებით, ბეილის ის ეშლი კოულის შემცვლელად მოაზრებს და ყველაფერს იღონებს, რათა ზამთრის სატრანსფერო სეზონში ფეხბურთელი "ემირატებზე" გადაიბიროს.

"რეალი" ბუკმეკერებს უჩივის

მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობამ ბელგიის ქალაქ ლიეჟის სასამართლოში სარჩელი შეიტანა ერთბაშად რამდენიმე საბუკმეკერო კანტორის წინააღმდეგ, რომლებიც ფსონებს ინტერნეტით იღებენ.

"სამეფო გუნდის" ადვოკატის ჟან-ლუი დიუპონის განცხადებით, ისეთი კომპანიები, როგორებიც არიან Bwin, Unibet და William Hill, უკანონოდ იყენებენ მადრიდული გუნდის რამდენიმე ფეხბურთელის - რონალდოს, დევიდ ბექჰემის, რაულის - გამოსახულებებს. დიუპონისვე თქმით, მსგავსი სარჩელით მიმართა პარიზის სასამართლოს "პსვ ეინდჰოვენმაც". ცოტა ხანში მათ სხვა კლუბებიც შეუერთდებიან.

"იუვე" გაძლიერებას აპირებს

იტალიური პრესის ინფორმაციით, ტურინის "იუვენტუსი" ზამთრის სატრანსფერო სეზონში სერიოზულ გაძლიერებას აპირებს.

ტურინელთა ფრანგი თავკაცის დიდიე დეშამის განცხადებით, ისინი შეეცდებიან არგენტინელი თავდამსხმელის ხავიერ მასკერანოს გადაბირებას, რომლის შეძენაც ზაფხულის სატრანსფერო სეზონში ვერ მოასწრეს.

მასკერანოს გარდა, პრესა "იუვენტუსს" როშემბაკსა და "ჩელსის" ახალგაზრდა ფეხბურთელს ღასან დიარას უკავშირებს.

ფეხბურთის პირველი სავარჯიშო კარი საქართველოში

"თბილავიამშენის" სპორტის სახეობათა სპეციალიზებული ცენტრის ინიციატივით თბილისში დამონტაჟდა ფეხბურთის სავარჯიშო კარი. კარის ჰორიზონტალურ ძელზე დამაგრებულია ციფერბლატი ისრით. რაც უფრო ძლიერად და ზუსტად ურტყამს ბურთს ფეხბურთელი, მით უკეთეს შედეგს აფიქსირებს ისარი.

ფეხბურთელებს შეუძლიათ შეეჯიბრონ იმაში, თუ რომელი მათგანი უკეთესად ურტყამს თერთმეტმეტრიანს.

ფეხბურთის სავარჯიშო კარის ავტორია ინჟინერი ანდრე კარბელაშვილი. ამ გამოგონებაზე მას მიღებული აქვს პატენტი, რაც იმას ადასტურებს, რომ ასეთი კარი მსოფლიოში პირველია.

20 სექტემბერს 16 საათზე მოხდება სავარჯიშო კარის პრეზენტაცია. მისამართი: თბილისი, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა №181.

აფრინდა, აფრინდა, ბურთი აფრინდა...

პირველი გვერდიდან

ქართველთა საჰაერო ბურთი, სახელად "წმინდა გიორგი".

უცნაურია, არა? საჰაერო ბურთებით ფრენის ერთ-ერთი პიონერები, ყოველ შემთხვევაში, საქართველოში, სწორედ ვირები იყვნენ.

ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, ადამიანი საჰაერო ბურთით პირველად 223 წლის წინათ გაფრინდა. კერძოდ, ფრანგმა ძმებმა ჯოზეფ და ეტიენ მონტგოლფიებმა ტროპოსფეროსკენ გზის გასაკვლევად ესქპერიმენტისთვის ჯერ ცხოველებს მიმართეს. როცა დარწმუნდნენ, რომ ბურთით ფრენა ადამიანისთვისაც უხიფათო იყო, 1783 წლის 21 ნოემბერს მონტგოლფიეს ბურთით პილეტ როზიე და მარკ არლანდესის პირველი ეკიპაჟი აფრინდა.

საინტერესოა, რომ პარიზში ჯოზეფ და ეტიენ მონტგოლფიების საჰაერო ბურთით ფრენის თვითმხილველთა შორის ერთი ქართველიც იყო. საქართველოს ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება მის მიერ მეფე ერეკლესადმი მიწერილი "სიტყვა ჰაერნაოსნობაზე". უცნობი ქართველი დაწვრილებით აღწერს გაფრენას და მასალას საკუთარი ილუსტრაციითაც ამდიდრებს.

პარიზული გაფრენიდან რვა ათეული წლის შემდეგ ჰაერნაოსნები საქართველოშიც გამოჩნდნენ. საჰაერო ბურთის შესახებ პირველი ცნობები 1864 წელს გაზეთ "კავკაზის" 39-ე ნომერში გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც ვიტყობთ, რომ კვირას, 24 მაისს, მუშტაიდის ბაღიდან გალიანის ეკიპაჟი დიდ საჰაერო Assansion-ს (აფრენა) აწყობდა. ვინ იყო გალიანი, ან რა იგულისხმებოდა სიტყვაში Assansion, ძნელი სათქმელია.

ასევე ბურუსითაა მოცული 1874 წელს იმავე გაზეთში გამოქვეყნებული მასალა, რომელიც იუწყება, რომ 26 მაისს, ზუსტად 6 საათზე, მონ-პლეზირის ბაღიდან საჰაერო ბურთით ადამიანი უნდა გაფრენილიყო. მფრინავის ვინაობა ისევ უცნობია. ყველაფერ ამის გათვალისწინებით მიჩნეულია: საქართველოში პირველი გაფრენა განახორციელა ფრანგმა პილოტმა ბადემ. მაშინდელი ცნობის მიხედვით, ფაქტი 1882 წლის 10 ნოემბრით თარიღდება. იმასაც ვიტყობთ, რომ ფრანგი ფათერაკების მაძიებელი მუშტაიდის ბაღიდან 200 თუ 300 მეტრზე აფრინდა და მოშორებით დაეშვა. ამის შემდეგ პოპულარული ფრანგი ტიფლისელების გასაოცებლად სხვადასხვა ორიგინალურ იდეებს მიმართავდა. მაგალითად, ერთხელ ვირთან ერთადაც გაფრინდა!

ქართველი ვირის აფრენიდან ათი წლის შემდეგ საქართველოში ოგიუსტ გორდონი ჩამოვიდა. უცხოელი ჰაერნაოსანი თბილისის ერთ-ერთი მოედნიდან საჰაერო ბურთზე გონდოლის ნაცვლად მიმაგრებულ ტრაპეციაზე მჯდომი აფრინდა.

გორდონის ფრენის შემდეგ თბილისელმა მეწარმეებმა ფოლადოვმა, გუმიაშვილმა და ბაქრაძემ კომერციული ჰაერნაოსნობის მოწყობა გადაწყვიტეს. სახალხო სეირნობის დროს, რომელიც ალექსანდრეს ბაღში იმართებოდა, მათ საჰაერო ბურთით ასევე ვირი გააფრინეს. ოთხფეხას იძულებითი გაფრენის მიზეზი ის ყოფილა, რომ ხალხში გაფრენის მსურველი არავინ გამოჩენილა. ასე რომ, ვირს ეულად მოუხდა თბილისის თავზე მოგზაურობა. საჰაერო ბურთი ავლაბარში, მეტეხის ციხესთან დაეშვა, მაგრამ უვიროდ. როგორც შემდგომ გაირკვა, ის მფრინავი ვირი თურმე მოუპარავთ. ამიტომაც ქართველ მეწარმეებს, ერთგვარი კომპენსაციის სახით, ვირის მეპატრონისთვის 20 მანეთის გადახდა მოუხდათ.

...1889 წელს თბილისში პოლონელი მფრინავები და-ძმა დრევნიცკები დასახლდნენ. მათი გამოჩენა იმით იყო საინტერესო, რომ დედაქალაქელები ექსტრემალობით გააოცეს. საქმე ის არის, რომ ერთხელ საჰაერო ბურთით 450 მეტრზე აფრინდნენ და იქიდან პარაშუტებით გადმოხტნენ.

...1908 წელს საქართველოში ამერიკელი ჰაერნაოსნები ტეილორები ჩამოვიდნენ. ამერიკელებმა ტურნე ბათუმიდან დაიწყეს და ქუთაისში გააგრძელეს. თუმცა, მათი ახირება ერთ-ერთი მფრინავისთვის ტრაგიკულად დასრულდა. ფრენისთვის არახელსაყრელ ამინდში გუგო ტეილორი ცნობისმოყვარეთა გარემოცვაში მოექცა, რომლებიც ერთთავად სთხოვდნენ საკუთარი ოსტატობის დემონსტრირებას. ვითარებას ისიც ართულებდა, რომ საჰაერო ბურთი გამართული არ იყო. მიუხედავად ამისა, ტეილორი გაფრენას დათანხმდა. ქარმა საფრენი აპარატი მდინარე რიონისკენ წაიღო, შემდეგ ჩამოვარდა და ამერიკელი სასიკვდილოდ დაშავდა.

ასევე ხიფათიანი ფრენა ჰქონდა ჰაერნაოსნობით გატაცებულ ვლადიმერ გარაკანიძეს, რომელმაც 1927 წელს საკუთარი ხელნაკეთი ბურთით მოსკოვიდან აიღო სტარტი. ფათერაკების მაძიებელ ქართველს გორკში გადაფრენა განეზრახა, სადაც იმხანად "ავიახიმის" (ავიაციისა და ქიმიური ინდუსტრიების მხარდამჭერთა კავშირი) შეხვედრა მიმდინარეობდა. გარაკანიძის ფრენა იმით იყო უჩვეულო, რომ საჰაერო ბურთზე გონდოლის ნაცვლად საბავშვო საქანელის მსგავსი კონსტრუქცია ჰქონდა ჩამოკიდებული. 17-გრადუსიან ყინვაში აფრენილი გარაკანიძე დათქმულ დროს დათქმულ ადგილზე არ აღმოჩნდა. გამოცხადდა ძებნა, რომელიც უშედეგოდ დასრულდა. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ შეიტყვეს: ძლიერ საჰაერო დინებას გარაკანიძის ბურთი 702 კილომეტრის მოშორებით სევეროდვინსკის გუბერნიაში წაუღია. ოთხ დღეს ცდილობდა ქართველი მფრინავი რკინიგზის უახლოეს სადგურამდე მიეღწია. უცნაურია, რომ გარაკანიძემ საკუთარი ქმნილება რკინიგზის სადგურამდე თითქმის უვნებელი მიიტანა. ჰაერნაოსნობით მაშინდელი ფრენა იმითაცაა აღსანიშნავი, რომ, როგორც მაშინდელი "იზვესტია" წერდა, გარაკანიძემ თავისი გაფრენით ჰაერნაოსნობის მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მოგვიანებით კიდევ არაერთი რეკორდი დაამყარა. სხვათა შორის, საბჭოთა კოსმონავტიკის მამად წოდებული სერგეი კოროლიოვი სწორედ გარაკანიძის მოწაფედაა მიჩნეული.

რაც შეეხება პირველ თანამედროვე აეროსტატს, ის საქართველოში 2000 წელს გამოჩნდა. 4-8 ოქტომბერს კი საქართველოს პირველ ღია ჩემპიონატს ვმასპინძლობთ. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 14 გუნდი დიდი ბრიტანეთიდან, იაპონიიდან, ჩეხეთიდან, არაბეთის გაერთიანებული სახალიფოდან, რუსეთიდან, უკრაინიდან და ჩვენც. როგორც საქართველოს ჰაერნაოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის რევაზ უთურგაურისგან შევიტყვეთ, ჩემპიონატის მონაწილე თითოეული წევრი მსოფლიო რეკორდსმენი, საკუთარი ქვეყნის ჩემპიონი ან ეროვნული ნაკრების კაპიტნები არიან. მეტიც: ინგლისელი ფილ დანინგტონი 86-გზის მსოფლიო რეკორდსმენია, რუსი სტანისლავ ფიოდოროვი კი - შვიდგზის.

საქართველო ორი გუნდით იასპარეზებს. შეჯიბრება ჩატარდება ქართლის ველზე. საქართველოს ღია ჩემპიონატის მასპინძელიც და თაოსანიც საქართველოს ჰაერნაოსნობის ეროვნული ფედერაციაა.

ოთარ მარცვალაძე:

"კიევში ჩემს შანსს ველი"

უკრაინულ კლუბებში ქართველი ფეხბურთელების გადინება ათი წლის წინ დაიწყო და დღეს უკვე საგრძნობი მასშტაბი შეიძინა. უკრაინის უმაღლეს ლიგაში თითქმის არ დარჩა გუნდი, ერთი ან რამდენიმე ქართველი ლეგიონერი რომ არ ჰყავდეს. თბილისის "ვიტ ჯორჯიადან" კიევის "დინამოში" გადაბარგებულმა ოთარ მარცვალაძემ ამ პროცესის ახალ ტალღას ჩაუყარა საფუძველი. გთავაზობთ ქართველი თავდამსხმელის ინტერვიუს, რომელიც კიევის "დინამოს" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

- ოთარ, ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველო დატოვა თითქმის ყველა ფეხბურთელმა, ვისაც ამის შესაძლებლობა მიეცა. რა არის ამის მიზეზი?

- საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო ვერ არის და ამის გამო ფეხბურთიც საგრძნობლად ზარალდება. ასეთ ვითარებაში ფინანსურად ძლიერი კლუბი ვერ შეიქმნება. თუმცა, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საერთო დონე საკმაოდ მაღალია, რასაც საფუძვლად უდევს მხოლოდ ფეხბურთელების ნიჭი და არა ფინანსები. ჩვენთან ფეხბურთის სიყვარული და პოპულარობა ტრადიციად იქცა და ამ სახეობამ საქართველოში ეროვნული ნიშნები შეიძინა. ყველაფრის მიუხედავად, საქართველოში ახალგაზრდა ტალანტების სიმრავლეა. შემდეგ კი მარტივი სქემაა: თუ საქართველოს ჩემპიონატში დიდხანს შეყოვნდები, პროგრესირებას შეწყვეტ. ამასთან, საქართველოში ფეხბურთით თავს ვერ შეინახავ. ამის გამო ბევრი ჯერ კიდევ მოზარდობისას ტოვებს საქართველოს და უცხოურ კლუბებში ცდის ძალას. ამ ბიჭებს ვერ დავადანაშაულებ. ფეხბურთელის გზა გრძელი და რისკიანია. ნებისმიერ ტრავმას შეუძლია ამ კარიერას წერტილი დაუსვას. შესაბამისად, კარგ ჩემპიონატში თამაშისა და საკუთარი თავის, ოჯახის მატერიალურად უზრუნველყოფის სურვილი სავსებით ნორმალურად მიმაჩნია.

- დარწმუნებული ხარ, რომ საქართველოს ჩემპიონატის დონესთან შედარებით გაიზარდე?

- ვფიქრობ, მივაღწიე იმ დონეს, როცა შემიძლია თავი ძლიერ უცხოურ კლუბში გამოვცადო. კიევის "დინამო" საქართველოში ძალზე პოპულარულია, განსაკუთრებით ამ გუნდში კახა კალაძის გამოსვლის შემდეგ. ეს ჩემთვის შესანიშნავი არჩევანი და გამოწვევაა. შემეძლო საქართველოში სეზონში ოცზე მეტი გოლი გამეტანა და ჩემი კლუბის ლიდერი ვყოფილიყავი, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის, რაც შემიძლია. კიევის "დინამოში" შეტევის ხაზში უდიდესი კონკურენციაა, მაგრამ ეს კიდევ უფრო მიღვიძებს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის სურვილს. ამას გარდა, გუნდში ისეთი ვითარებაა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში აქ ყოფნა დიდი გამოცდილებაა როგორც საწვრთნელი პროცესის თვალსაზრისით, ისე მოედნის გარეთაც.

- კიევის "დინამოში" გადასვლის შემდეგ ყველაზე მეტად რა გაგიჭირდა?

- პრაქტიკულად, ყველაფერი ნულიდან დავიწყე. ეს საქართველოში მიცნობდნენ, როგორც ბომბარდირს კარგი სტატისტიკით, ადგილობრივი ჩემპიონატის ერთერთი საუკეთესო გუნდის ლიდერს. აქ აბსოლუტურად უცნობი ვიყავი. დამეთანხმებით, კიევის "დინამოს" ხელმძღვანელობის ნებისმიერი ნაბიჯი, ფეხბურთელის მიწვევა იქნება ეს თუ ამხანაგური მატჩის დანიშვნა, გულშემატკივრებისა და პრესის მხრიდან ლუპის ქვეშ ხდება. როდესაც ვარჯიში გიხდება ისეთ ოსტატებთან ერთად, რომლებიც თვით არასათამაშო ვითარებაშიც კი შენზე ერთი რიგით უფრო სწრაფად აზროვნებენ და მოქმედებენ, ძნელია საკუთარი თავი წარმოაჩინო. პირველ შეკრებებზე ძალიან გამიჭირდა. მაგრამ ბიჭები და მწვრთნელები მხარში დამიდგნენ, მეხმარებოდნენ, რჩევებს მაძლევდნენ. მხოლოდ მესამე შეკრებაზე ვიგრძენი, რომ საერთო რიტმში ვჯდებოდი. ბიჭებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჩამომიყალიბდა არა მხოლოდ მინდორზე, არამედ ცხოვრებაშიც.

- არ გიჭირს საქართველოში ლიდერობის შემდეგ კიევის "დინამოს" დუბლშემადგენლობაში ყოფნა და ძირითად გუნდში მხოლოდ 15-20 წუთით შეცვლაზე თამაში?

- ვიცოდი, რაზეც მივდიოდი. კარგად მესმოდა, რომ კიევის "დინამოს" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრისთვის კლებერთან და შაცკიხთან მომიწევდა კონკურენცია, ფეხბურთელებთან, რომლებიც წლების განმავლობაში ძირითადში თამაშობენ. ნუ დაგავიწყდებათ ვერბაკოვსკისი და მილევსკი. თან, ადაპტაციისთვისაც დრო დამჭირდა. ამ სიტუაციაში მთავარია ერთ ადგილზე არ გაჩერდე და პროგრესირება არ შეწყვიტო. დუბლშემადგენლობაში თამაშობენ არა მხოლოდ გამოუცდელები და ახალგაზრდები, არამედ ის გამოცდილი და ავტორიტეტული მოთამაშეებიც, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოხვდნენ ძირითადში. მჯერა, რომ შორს არ არის დრო, როცა ძირითადში ვითამაშებ.

- 2006 წელი შენს ცხოვრებაში ალბათ ყველაზე გამორჩეულია...

- დიახ. ამ წელს უამრავი რამ მოხდა. "დინამოში" გადასვლამ მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა. მივხვდი, როგორ უნდა ვიმუშაო, რომ ახალ დონემდე ავიმაღლო კლასი. საკუთარი თავი დიდი გუნდის წევრად შევიგრძენი, ბიჭებთან ერთად ტრიუმფის გრძნობაც განვიცადე, როცა უკრაინის თასი მოვიგეთ და იმედგაცრუებაც, როცა ჩემპიონის ტიტული დავკარგეთ. საქართველოს ნაკრებშიც მიმიწვიეს, რაც ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ახლა ზაფხულის შეკრება გავიარე და ვგრძნობ, რომ მწვრთნელები შანსს მომცემენ. შემდეგ კი ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული.

შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს კავშირგაბმულობისათვის საჭირო მასალების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს შვიდ ლოტად კავშირგაბმულობისათვის საჭირო მასალების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

ლოტი	საქონლის დასახელება	განსაკუთრებული თავისებურება	ერთეული	რაოდენობა
1	ამძრავი ელექტრო	ამძრავი ელექტრო СП-6-0.25/160 ЮКЛЯ 303.341.007.02	ც	7
	საისრო ამძრავის ძრავი	საისრო ამძრავის ძრავი МСП-160/0,25	ც	45
2	ტრანსფორმატორები.	ПОБС-2А-1; 531.00.13	ც	20
		ПОБС-3А-1; 531.00.13-01	ც	23
		ПОБС-5А-1; 531.00.13-02	ც	8
		ПТ-25А-1-1; 531.00.13-03	ც	7
		ПТ-25А-1-2; 531.00.13-06	ც	7
		ПРТ-А-1-1; 531.00.13-07	ც	30
		ПРТ-А-1-2; 531.00.13-04	ც	15
		СОБС-2А-1-1 531.00.13-05	ც	23
		СОБС-2А-1-2 531.00.13-08	ც	3
		СТ-4А-1 531.00.14	ც	200
		СТ-5А-1 531.00.14-01	ც	32
		СТ-6А-1 531.00.14-02	ც	31
		РТЭ-1А	ც	20
3	სალიანდაგო გენერატორები	სალიანდაგო გენერატორი ГП3-8,9,11; 36601-00-00 ТУ32ЦШ3753-93	ც	2
		იგივე ГП3-11,14,15; 36601 ТУ32ЦШ3753-93	ც	2
		სალიანდაგო მიმღები ПП8/8; 36162-00-00 ТУ32ЦШ2765-92	ც	2
		იგივე ПП8/12; 36162-00-01 ТУ32ЦШ2765-92	ც	2
		იგივე ПП9/8; 36162-00-02 ТУ32ЦШ2765-92	ც	2
		იგივე ПП9/12; 36162-00-03 ТУ32ЦШ2765-92	ც	2
		იგივე ПП14/8; 36162-00-06 ТУ32ЦШ2765-92	ც	2
		იგივე ПП14/12; 36162-00-07 ТУ32ЦШ2765-92	ც	2
		იგივე ПП15/8; 36162-00-08 ТУ32ЦШ2765-92	ც	2
		იგივე ПП15/12; 36162-00-09 ТУ32ЦШ2765-92	ც	2
		სალიანდაგო ფილტრი ФПМ8,9,11; 36163-00-00 ТУ32ЦШ2767-88	ც	2
		იგივეФПМ11,14,15; 36163-00-01ТУ32ЦШ2767-88	ც	2
4	ბალომეტრი ნახევარგამტარული	ბალომეტრი ნახევარგამტარული БЭ-2მ3	ც	20
5	გამმართველები, გამოანაბრებლები, გარდამქნელები და რელეები.	*გამმართველები:*		
		БВС-88; черт. 83.00. 00.ВО	ც	140
		БВ-24/10; 532.00.10	ც	6
		გამთანაბრებლები:		
		ВОЦШ-220; ТУ32ЦШ2027-94	ც	46
		გარდამქნელები:		
		ППШ-3; 24057.00.00А	ც	7
		რელეები:		
		ФУ2-1; 51058-00-00	ც	3
		ФУ2-2; 51058-00-01	ც	11
6	ავტომატური ჩამრთველები, კონტაქტორები, კონტაქტორების კოჭები	ППР3-5000; 2162-00Б ТУ32ЦШ410-76	ც	37
		ОМШ2-46; 13561Б-00-00 ТУ32ЦШ63-76	ც	70
		АОШ2-180/0.45; 24145-00-00Б ТУ32ЦШ640-76	ც	7
		АПШ1-110/127; 24170-00-00 ТУ32ЦШ789-76	ც	3
		АСШ2-12; 24250-00-00 ТУ32ЦШ789-76	ც	6
		АСШ2-24; 24307-00-00 ТУ32ЦШ970-76	ც	10
		АСШ2-220М; 24556-00-00 ТУ32ЦШ102-83	ც	13
5	გამმართველები, გამთანაბრებლები, გარდამქნელები და რელეები, ბლოკები კონდესატორული.	АНВШ2-2400; 24501-00-00 ТУ32ЦШ783-76	ც	10
		ТР-2000В2М; 573.46.75	ც	3
		ОЛ2-88; 24558-00-00 ТУ32ЦШ755-86	ც	18
		А2-220; 24593-00-00 ТУ32ЦШ230-87	ც	14
		С2; 24595-00-00	ც	2
		ДЗ; 24634-00-00	ც	1
		ДЗМ; 24634-00-00	ც	1
		ДИМ-1; 36291-101-00 ТУ32ЦШ3638-90	ც	3
		ДИМ-2; 36291-201-00 ТУ32ЦШ3638-90	ც	3
		ДИБ; 366291.101.02	ც	3
		БСК; 36721.201.00	ც	8
		БМВШ; 24400.00.00	ც	13
		КБ 4Х4 მკფ; 373.00.00А	ც	10
6	ავტომატური ჩამრთველები, კონტაქტორები, კონტაქტორების კოჭები	ავტომატური ჩამრთველი А3114/7	ც	70
		აპარატურა დაცვის მაღალი ძაბვის რვნ-0,5	ც	30
		გამშვები ულ. მაგნიტ. ავტომატი	ც	20
		გადამრთველი ძაბვის [ხელის]	ც	20
		კონტაქტორები მკვებავი პანელების:	ც	
		პვ-60-თვის კტ 6023	ც	5
		პვ-ეც-თვის ტუ16-536.489-75-უმ380	ც	2
		პვ-სპნ-თვის	ც	5
		პვრ-40-თვის	ც	3
		კოჭები ამავე კონტაქტორების:	ც	
		პვ-60 5ა520/125-09	ც	15
		პვ-სპნ კონტაქტორისთვის	ც	2
		პვ-ეც კონტაქტორისთვის	ც	5
		პვრ-40 კონტაქტორისთვის	ც	5
7	ბლოკები ნახევარგამტარული	სამრეწველო პროცესორი EASY719-DC-RC	ც	2
		სამრეწველო პროცესორი EASY820-DC-RC	ც	1
		ინდუქციური გადამწოდი RSR-122	ც	1
		ინდუქციური გადამწოდი EIB-R	ც	1

3. მოწოდების პირობა და ადგილი - **DDP**, ქ. თბილისი;

4. მოწოდების სასურველი ვადა - III კვარტალი;

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **12 ოქტომბერს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისთვის :

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

ფიზიკური პირისთვის :

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე- ლარში;

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-51.

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

განცხადება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ გაზეთ "24 საათის" 13 სექტემბრის №201 ნომერში გამოქვეყნებულ საოფისე და სასწავლო ავეჯის შესყიდვის შესახებ განცხადებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის შესწორება:

550 ცალი საწერი მაგიდის ნაცვლად უნდა იყოს 20 ცალი საწერი მაგიდა.

500 ცალი სკამის ნაცვლად უნდა იყოს 550 ცალი სკამი.

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ინვენტარი.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო

საჯარო სამართლის იურდიული პირი - საქართველოს მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო აცხადებს კონკურს ავეჯის შესყიდვაზე. ტენდერი ხორციელდება მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა მიმართონ მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელ სააგენტოს შემდეგ მისამართზე: საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ.6. მე-6 სართული, ტელ:. 995 32 752436/27. საკონტაქტო პირი: ვახტანგ ჯალიაშვილი. ან/და იხილონ სააგენტოს ვებ გვერდი: www.sdpia.ge ტენდერების ნაწილი.

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის ბოლო ვადაა 2006 წლის 4 ოქტომბერი, 12:00.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი", საქართველოს კანონის "მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" შესაბამისად,

აცხადებს

ღია კონკურს ძვემოთჩამოთვლილი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად

№	ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება	საქმიანობის სამეცნიერო თანამდებობების რაოდენობა		
		მთავარი მეც. თანამშრომელი	უფროსი მეც. თანამშრომელი	მეც. თანამშრომელი
1	2	3	4	5
1	სპეციალური მიწისზედა და კოსმოსური ნაგებობები და კონსტრუქციები, მათი გაანგარიშების საფუძვლები და მეთოდები	1×1	3×1 4×0,5	3×1 1×0,5
2	საბრძოლო მასალები და შეიარაღების სისტემები	–	1×0,5	–
3	მიწისქვეშა ნაგებობები და პროცესების ფიზიკა;	–	1×0,5	–
4	სამხედრო ხელოვნება და სამხედრო ისტორია; საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ხელოვნება	–	1×1	–
5	საინჟინრო ოპერაციები საბრძოლო მოქმედებებში	–	1×1	–
6	გეოინფორმაციული სისტემები (მათ შორის კოსმოსური გადაღების მასალების დამუშავება);	–	–	2×0,5
7	სამხედრო ფორმალიზებული ენა პირობითი ნიშნები და მათი გამოყენება ოპერაციების დაგეგმვისას კომპიუტერული გრაფიკით;	–	–	1×0,5
8	სეისმიკა	–	1×0,5	–
9	სამხედრო ხელოვნება, სამხედრო გეოგრაფია	–	–	1×0,5
10	ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები და ტრანსპორტი საომარ და საგანგებო მდგომარეობებში, საბრძოლო მოქმედებებში	–	1×0,5	–
11	მექანიზმების და მანქანების თეორია.	–	2×1 1×0,5	–

კონკურსანტს მოეთხოვება

- დასაკავებელი სამეცნიერო თანამდებობის შესაბამისი ხარისხი;
- არჩეული პროფილის შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი მოღვაწეობის დამადასტუ-რებელი ინფორმაცია;
- გამოცემული იმ ძირითადი სამეცნიერო შრომების სია, რომლებიც უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების უნარს;
- არჩეული პროფილის შესაბამისი შრომების ასლი;
- საერთაშორისო მიმოქცევაში არსებულ და სხვა სახის ჟურნალებში და კრებულებში პროფილით გამოცემული სამეცნიერო სტატიების სია.
- დანერგილი სამუშაოები სახელმწიფო პროგრამებით (მათ შორის აღნიშნული პროფილით, საზღვარგარეთის შეკვეთები, საზღვარგარეთთან ერთობლივი სამუშაოები, საქართველოში შეკვეთილი დეპონირებული საინიციატივო სამუშაოები);
- პროფილის მიხედვით ჩატარებული ექსპერიმენტულური კვლევები და საწარმოოტექნოლოგიური სამუშაოები, ასევე კონსტრუქციების საშტატო გამოცდები, რომლებიც ასახულია პუბლიკაციებში და დამტკიცებულ სამეცნიერო ანგარიშებში;
- შრომების, კონსტრუქციული სისტემების და სხვა სამეცნიერო ტექნიკური მიღწევების ციტირება, ასახვა და აღიარება;
- საავტორო უფლებები: აღმოჩენაზე (დიპლომი); გამოგონებაზე (საავტორო მოწმობა ან პატენტი);
- ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა;
- საერთაშორისო სამეცნიერო და სხვა პროექტებში მონაწილეობა;
- სამეცნიერო საქმიანობით მიღებული შედეგები, რომლებმაც მოიპოვა აღიარება;
- მონოგრაფია;
- მოპოვებული პრემიები: სახელმწიფო სამეცნიერო პრემია, დარგობრივი სამეცნიერო პრემია;
- ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საინჟინრო დარგების მიხედვით ეროვნული ნორმების შემუშავება, სახელმწიფო დაკვეთებსა და პროექტებში მონაწილეობა;
- სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებში მონაწილეობა;
- აკადემიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა;
- სახელმწიფო ჯილდოები;
- უცხო ენების ცოდნა;
- კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, თანამედროვე საინფორმაციო-ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

- განცხადება (ფორმას გასცემს ინსტიტუტი);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ავტობიოგრაფია;
- სამეცნიერო თანამდებობის შესაბამისი სამეცნიერო ხარისხის დიპლომის ასლი;
- ბოლო 15 წლის განმავლობაში, შერჩეული პროფილით, სამეცნიერო მოღვაწეობის დამადასტურებელი ინფორმაცია; სამეცნიერო პუბლიკაციები; სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა; გამოქვეყნებული იმ ძირითადი სამეცნიერო შრომების სია, რომლებიც უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების უნარს.

განცხადებების მიღება განხორციელდება პრესაში გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის განმავლობაში ინსტიტუტის საკონკურსო კომისიის სამდივნოში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68, სტუ-ს I სასწავლო კორპუსი. ტელ. 33-08-36, 36-67-28;

დაინტერესებულ პირებს დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ინსტიტუტის საკონკურსო კომისიის სამდივნოში.

■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

ხმა მიეცით ქალებს!

გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

UNDP Sida

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge

როიალი ჩიკ კორეასთვის

თბილისის მომავალი ჯაზ-ფესტივალისთვის მზადება უკვე დაიწყო

ია ვეკუა

თბილისის კონსერვატორიის ერთ-ერთ დარბაზში დგას "იამაჰას" ფირმის როიალი, რომლის კლავიშებსაც უახლოეს მომავალში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მუსიკოსი შეეხება. ეს 26 სექტემბერს მოხდება, როდესაც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე მსოფლიო ჯაზის ორი ლეგენდა - ჩიკ კორეა და გარი ბარტონი თავიანთ ისტორიულ დუეტს წარმოადგენენ.

კომპანია "ისტერნ პრომოუშენის" მიერ ქართველი მსმენელისთვის შეთავაზებული მორიგი ჯაზ-საღამო სწორედ ამ ორი მუსიკოსის მიერ ზუსტად 35 წლის წინ ჩაწერილი ალბომის Crystal Silence-ს გამოსვლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად გაიმართება. ჩიკ კორეა და გარი ბარტონი თბილისში 25 სექტემბერს პორტოდან ჩამოვლენ და 27-ში მოსკოვში გაფრინდებიან.

ამ ეტაპზე "ისტერნ პრომოუშენს" კონცერტისთვის ყველაფერი მზად აქვს და მხოლოდ უკანასკნელი დეტალების მოგვარებითაა დაკავებული. "ამჟამად უშუალო მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ჩიკ კორეასა და გარი ბარტონის მენეჯერებთან. ტელეფონით ყოველდღე ვუკავშირდებით ერთმანეთს, რათა უმნიშვნელო დეტალიც არ გამოგვრჩეს. უკვე ვიცით, რომ ჩიკ კორეა ათზე მეტი ჩემოდნით ჩამოდის, რისთვისაც მინივენი უნდა დავახვედროთ. ასევე საგანგებოდ გვყავს გაფრთხილებული ავიაკომპანია, რომელიც მათ ტრანსპორტირებას ახდენს, რადგან გარი ბარტონს თან ჩამოაქვს თავისი უნიკალური ვიბროფონი. ამ ინსტრუმენტს რამე რომ დაემართოს, ჩათვალეთ, რომ კონცერტი არ გაიმართება", - განაცხადა "ისტერნ პრომოუშენის" წარმომადგენელმა კახა კანდელაკმა.

ჩიკ კორეას კი ინსტრუმენტი აქ დახვდება - კონსერვატორიის ბალანსზე არსებული "იამაჰას" ფირმის როიალი სწორედ ის ინსტრუმენტი აღმოჩნდა, რომელიც სრულიად შეესაბამება ჩიკ კორეას მოთხოვნებს. როიალს ოპერაში სპეციალისტთა ჯგუფი გადაიტანს და იქვე აააწყობენ კიდეც.

კახა კანდელაკი: "ჩიკ კორეა სხვა ფირმის ინსტრუმენტზე არ უკრავს, რადგან სწორედ "იამაჰას" წარმოადგენს და ამ ფირმასთან აქტიურად თანამშრომლობს. ვიდრე კონსერვატორიაში არსებული როიალის სრული აღწერილობა არ გავუგზავნეთ, მანამდე კონტრაქტს ხელი არ მოაწერა".

კონცერტის გენერალური სპონსორია კომპანია "კაპაროლ-ჯორჯია". ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო სტუმრებისთვის მიღებას გამართავს, ხოლო "შერატონ მეტეხი პალასი", ტრადიციულად, მასპინძლის როლში მოგვევლინება.

დავით შენგელია, "კაპაროლ-ჯორჯიას" დირექტორი: "ჩიკ კორეას ცოცხალი შესრულების მოსმენა ჩემი და ჩემი მეგობრების ბავშვობის ოცნებაა. ამიტომ ამ კონცერტის სპონსორობას მაშინვე სიამოვნებით დავთანხმდით. მიმაჩნია, რომ მსგავსი დონის მუსიკოსების ჩამოყვანა არა მხოლოდ მსმენელისთვისაა სასიამოვნო, არამედ ქვეყნისთვისაც პრესტიჟულია. მზად ვართ, ამ მიმართულებით კვლავ ვითანამშრომლოთ "ისტერნ პრომოუშენთან".

თბილისელი მსმენელისთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება ვიბროფონისტ გარი ბარტონის მოსმენა. ამ ინსტრუმენტზე შემსრულებელს ჩვენ მხოლოდ 1998 წელს მოვუსმინეთ, როდესაც "ისტერნ პრომოუშენის" მოწვევით კონცერტი გამართა ეისიდ-ჯაზის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა როი ეირსმა. თუმცა გარი ბარტონი დღეს მსოფლიოს საუკეთესო ვიბროფონისტთა სამეულში ირიცხება, ხოლო ჯაზში ამ მხრივ ნომერ პირველია. მისი შემოქმედება საინტერესოა იმითაც, რომ ბარტონმა პირველმა დაუკრა ვიბროფონზე ოთხი ჯოხით, რითაც ახალი სტილის დამკვიდრებას დაუდო სათავე.

ჩიკ კორეასთან მისი თანამშრომლობა მსოფლიო მუსიკაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული დუეტი იყო. ალბომი Crystal Silence დღემდე მიიჩნევა საუკეთესო ჯაზ-ჩანაწერად და მის მიმართ ინტერესი 35 წლის შემდეგაც არ განელებულა.

კახა კანდელაკის თქმით, 26 სექტემბერს ოპერის თეატრში მოსულ მსმენელს განსაკუთრებით მოუწოდებენ სიჩუმისკენ, რადგან მუსიკოსებისთვის ერთ უცნო ბგერასაც გამაღიზიანებელი ეფექტი ექნება. "ჩვენი მსმენელის კულტურული მოთხოვნილებები იმსახურებს, რომ თბილისში ამ დონის მუსიკოსები ჩამოვიყვნოთ. ჩვენი კომპანია უკვე იმდენად პრესტიჟულად მიიჩნევა, რომ თანამშრომლობაზე ყველაზე მაღალი სინჯის ვარსკვლავებიც ადვილად თანხმდებიან. მათ კი შესაფერისი გარემო უნდა დავახვედროთ," - ამბობს კახა კანდელაკი.

"ისტერნ პრომოუშენი" პარალელურად მომავალი ჯაზ- ფესტივალისთვისაც ემზადება. უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება პეტ მეტენისა და ვინტონ მარსალისთან. კვლავ აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობს სტინგის მენეჯერებთან. აქ ყველაფერი მუსიკოსის განრიგსა და გასტროლების გეოგრაფიაზეა დამოკიდებული. ყველაზე რეალური კი ჯო კოკერისა და ლენი კრავიცის ჩამოყვანაა. მომავალი წლის აპრილში დაგეგმილია ცნობილი ბასისტის რიჩარდ ბონას კონცერტი, რომელიც, სავარაუდოდ, თბილისის რომელიმე კლუბში გაიმართება.

ახალი თეატრალური პროექტი

ნანა ჭრელაშვილი

19 სექტემბერს კინომსახიობთა თეატრში თეატრმცოდნეებისა და ჟურნალისტებისათვის ახალი, ორიგინალური პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. თეატრმცოდნეების თეატრში სტუმრობა ბუნებრივი პროცესია, მაგრამ ერთად ამდენ სხვადასხვა თაობის კრიტიკოსს სამწუხაროდ, დღეს სპექტაკლებზეც კი ვერ იხილავთ, პროექტი საკონკურსო წესით საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ დააფინანსა და კინომსახიობთა თეატრმა და მსახიობმა ნინო ბურდულმა წარმოადგინეს. მსახიობი ამჯერად იდეის ავტორისა და მომავალი რეჟისორის ამპლუაში მოგვევლინა. პროექტი აერთიანებს ორი ავტორის – ანტონ ჩეხოვისა და ბორის აკუნინის ერთი და იგივე სახელწოდების პიესებს და მათ ერთიან სპექტაკლად დადგმას ისახავს მიზნად. სპექტაკლის პირველ მოქმედებაში მაყურებელი იხილავს ჩეხოვის პიესის "თოლიას" მიხედვით პლასტიურ ხერხში გადაწყვეტილ სანახაობას, ხოლო მეორე მოქმედებაში ბორის აკუნინის მიერ დაწერილ გაგრძელებას, სადაც ავტორი ტრეპლევის სიკვდილის ამბავს იძიებს და ჩეხოვის დრამას დეტექტიურ ისტორიად გადააქცევს. მაგრამ სულ ეს როდია იდეის ორიგინალური ნაწილი. ნინო ბურდულს სურს სპექტაკლზე "ღია წესით" იმუშაოს და რეპეტიციების პროცესში მონაწილეობის საშუალება მისცეს კრიტიკოსებსა და მედიის წარმომადგენლებს. ასევე განხორციელდება ვორქშოფი: დამწყები მსახიობები და სტუდენტები პლასტიკურ ვერსიაზე სპექტაკლში მონაწილე მსახიობებთან ერთად იმუშავებენ და ვორკშოფის დასასრულს ნამუშევარს მაყურებლის წინაშე წარმოადგენენ.

პრეზენტაცია თეატრმცოდნემ, თეატრის პიარ-მენეჯერმა თამარ ბოკუჩავამ გახსნა. მან ისაუბრა პროექტის ერთ-ერთ მიზანზე: "პროფესიულ კრიტიკას და მედიას ჰქონდეს საშუალება ჩაერთოს თეატრის ცხოვრებაში და გამოხატოს პოზიცია დადგმის პროცესის მიმართ." მსახიობს მაყურებლის სარეპეტიციო პროცესში ჩართვის იდეა ბერგმანის დღიურების კითხვის დროს გაუჩნდა, რომელიც ასეთი "ღია წესით" მუშაობდა "ვოიცეკზე". "არ ვიცი როგორც რეჟისორს რა გამომივა, მაგრამ არსებობს რამდენიმე მტკივნეული პრობლემა, რომელიც თეატრთან მიმართებაში, როგორც მსახიობსა და ადამიანს მაწუხებს. ვფიქრობ, რომ თეატრს ჩვენს სინამდვილეში ფუნქცია მოუშალა. როცა თეატრი მაყურებლითა და კრიტიკით არ არის სავსე, მკვდარია. სერიოზული პრეტენზიები მაქვს პროფესიული კრიტიკის მიმართ. ისინი დაშორდნენ თეატრს და დაემსგავსნენ მაყურებელს, რომელმაც არაფერი იცის იმის შესახებ, თუ როგორ დაიბადა სპექტაკლი. მოდით, დავხვეწოთ ჩვენი ურთიერთობები. თეატრის გარეშე თეატრმცოდნის პროფესია უფუნქციოა, ასევე სჭირდება თეატრს კარგი კრიტიკოსები."

გულისტკივილი გამოხატა ნინო ბურდულმა. ის თეატრისა და კრიტიკის ტრადიციების აღსადგენად კრიტიკოსებს იწვევს და სთხოვს დაესწრონ მათვის განკუთვნილ რეპეტიციებს, რის შემდეგაც მრგვალი მაგიდის გარშემო იმსჯელებენ რეპეტიციების შესახებ. ახალ იდეას არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მოჰყვა. თეატრმცოდნეების აზრი ორად გაიყო. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი დიდი რეჟისორის რეპეტიციის თვითმხილველია, გიორგი ჩართოლანი ფიქრობს, რომ მას არ აქვს უფლება ამ ფორმით შეიჭრას სპექტაკლის დაბადების ამ ინტიმურ პროცესში და მონაწილება მიიღოს მის შექმნაში. თეატრმცოდნე ფიქრობს, რომ ეს ძალიან სუბიექტურს გახდის კრიტიკოს და ობიექტური აზრის გამოთქმის საშუალებას წაართმევს. თეატრმცოდნეთა ნაწილმა კი იდეა მოიწონა და მასში აქტიური მოანაწილეობის სურვილიც გამოთქვა.

ლელა ოჩიაური-ხელოვნებათმცოდნე: "ჩვენ შემოგვთავაზეს საინტერესო წინადადება. რეპეტიციას არაერთხელ დავსწრებივარ და ეს არის ძალიან საინტერესო პროცესი, მაგრამ არ დამიკარგავს ობიექტური დამოკიდებულება. ყოფილა შემთხვევები, სცენები რეპეტიციაზე მომწონებია, პრემიერაზე კი სხვა თვალით შემიხედავს და პირიქით. მე დღევანდელი კამათის მიზეზს ვერ ვხედავ. რჩეულიშვილს თუ გავიხსენებთ, "ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულის ცქერაში". შეიძლება პროექტი ერთჯერადი აღმოჩნდეს, შეიძლება ძალიან საინტერესო შედეგი მოიტანოს. მთავარია სურვილი, თეატრი გახდეს ჩვენი სახლი, ასრულდეს. ჯერჯერობით თეატრი ჩვენი სახლი არ არის... უნდა შეეძლოს თეატრმცოდნეს ნებისმიერ თეატრში მივიდეს, როგორც ოჯახის წევრი. ოჯახის წევრები ხომ ყველაზე ძალიან გვიყვარს და ყველაზე ობიექტურებიც მათ მიმართ ვართ. იმედი მაქვს, რომ ექსპერიმენტი წარმატებით დასრულდება. მე აუცილებლად ჩავერთვები და მონაწილეობას მივიღებ ამ პროცესში."

დათო ბუხრიკიძე - თეატრმცოდნე, ჟურნალი "ანაბეჭდი": "ნინო არის ნიჭიერი მსახიობი, შინაგანად ბობოქარი და ანტიკომფორმისტი ადამიანი. ეს ჩანს მის დღევანდელ სრულიად ავანტიურულ და ამავე დროს მომხიბლავ პროექტში. ვფიქრობ, პროცესი იქნება ძალიან საინტერესო, მაგრამ შედეგი საეჭვო. კრიტიკოსების მონაწილეობა ამ პროცესში შედეგებს დაასახიჩრებს. ამასთან კრიტიკოსის ობიექტუროზაც დაიკარგება. კინომსახიობთა თეატრი არის ძალიან ტრადიციული. კონსერვატორული პროექტი კი ამის საწინააღმდეგო ფორმას წარმოადგენს, რაც თავისთავად საინტერესოა. ნინოს მოუნდა სიმშვიდეში ქარიშხალი".

ლაშა ჩხარტიშვილი - თეატრმცოდნე: "საინტერესოა პროექტის ფორმის და შინაარსის თვალსაზრისით, თუმცა აქვს უარყოფითი მხარეები, რაც მე მაშინებს. როცა ესწრები რეპეტიციებს, თანამონაწილე ხდები, ეჩვევი კიდეც მას და მერე ველარ წერ. რეჟისორი რა სიმბოლოებსაც და მეტაფორებსაც გთავაზობს ამის გაშიფვრა, ამოკითხვა აღარ გიწევს, რაც ინტერესსაც გაკარგვინებს.

თათა მუქერია - თეატრმცოდნე: "პროექტი ძალიან საინტერესოა იმ მხრივ, რომ როგორც თეატრმცოდნე, დისტანციას ვგრძნობ თეატრსა და კრიტიკოსებს შორის. კარგი იქნება, თუ ეს კავშირი აღდგება და ურთიერთთანამშრომლობა განახლდება. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ სპექტაკლის დადგმის პროცესში ჩართვა დამოკიდებულებას სუბიექტურს ხდის".

გიორგი მარგველაშვილი - რეჟისორი: "პროექტი არის ავანტიურული და საინტერესო. ნინოს აქვს ულევი ენერგია და შესაშური შეუპოვრობა. მას ბევრი სირთულის გადალახვა მოუწევს, მაგრამ იმედი მაქვს შედეგი კარგი იქნება".

პრემიერა დეკემბერშია დაგეგმილი. პრემიერამდე კი კრიტიკოსებს, ჟურნალისტებსა და დაინტერესებულ მაყურებელს შეუძლიათ ახალი იდეისა და ახალი სპექტაკლის დაბადების თანამონაწილენი გახდნენ.

"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39



სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.
მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შ.ს.ს. სახელმწიფო სასაზღვრო პოლიცია აცხადებს ტენდერს რბილის ინვენტარის უნიფორმის შესასყიდად. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

ლოტი N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	მიწოდების გრაფიკი	მიწოდების ადგილი
1	ზამთრის საველე ფორმა (გოროტექსის, სიმპატექსის ან გეპლექსის ტიპის)	კომპ.	400	მოთხოვნილების შესაბამისად	ქ. თბილისი
2	ფეხსაცმელი მაღალყელიანი	წყ.	400		ქ. თბილისი

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი, სასაზღვრო პოლიცია კოდი 1512.

3. სატენდერო მოსაკრებლის წარმოდგენისთანავე პრეტენდენტი მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს დეპარტამენტის სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. 12. ტელ: 37-63-84. 37-07-59
4. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით ან ნოტარიუსით დამოწმებული, ქართულ ენაზე.
5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

იურიდიულ პირთათვის:
- მსურველი იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)* უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან), უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან), უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ- შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

ფიზიკურ პირთათვის:
- უნდა იყოს ქმედითუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან), უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან), უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ- შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან), უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ- შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

6. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი-ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს.

7. განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და ერთი დახურული პაკეტით წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 11 ოქტმბერს 14 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. 12. საქართველოს სახელმწიფო პოლიცია. სატენდერო აპარატი.
ტელ: 37-63-84. 37-07-59

8. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

9. პრეტენდენტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 11 კანდელაკის 14 საათზე.

10. დაგვიანებით შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

11. ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული, ლოტების მიხედვით. ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.
შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.
დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ზემოაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე ტელ: 37-63-84. 37-07-59

სატენდერო კომისია

გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი

გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge

(24) საათი B

© გაზეთი 24 საათი

ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

თიბისი TBC BANK · BORJOMI · GPI HOLDING · GRDC

ახალ კოსმოსურ აპარატებს "ლოკჰიდ მარტინი" დაამზადებს

B3

თანამშრომლობიდან კონკურენციამდე

წიგნის ბაზარზე აგრესიული მარკეტინგი სახელმძღვანელოების სეზონზე შეიმჩნევა

ეკა კევანიშვილი

წიგნი საქართველოში იაფია, მისი გამოცემა კი ძვირი - ქვეყანაში არსებული 100-ზე მეტი გამომცემლობის ხელმძღვანელის აზრი ამ საკითხში ერთმანეთს ემთხვევა. წიგნის საგამომცემლო ბაზარი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ვითარდება. თუმცა არც იმდენად, რომ გამომცემლებმა ერთმანეთი კონკურენტებად მოიაზრონ. დღეს მათი უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ შორის არსებული ურთიერთობა თანამშრომლობა უფროა, ვიდრე კონკურენცია. ეს მანამ, სანამ ეს სფერო ნამდვილ ბიზნესად არ იქცევა.

"მთელ მსოფლიოში წიგნი გაცილებით ძვირია, ვიდრე კინოს ბილეთი, ვიდრე ფეხსაცმელი, ვიდრე რესტორანში შესვლა და ა.შ. ჩვენთან საშუალო რომანი 5 ლარი ღირს. ამ ფასად კინოში ვერ შეხვალ. ასეთი რომანი გერმანიაში ღირს 20 ევრო. იქ წიგნი უფრო ძვირია, ვიდრე იაფფასიანი ფეხსაცმელი. ჩვენთან წიგნი რამდენჯერმე იაფია, ვიდრე ყველაზე იაფი ფეხსაცმელი. ჰამბურგერიც კი უფრო ძვირია, არადა, წიგნი ორჯერ ძვირი უნდა იყოს, ვიდრე ბიგ-მაკი."

B2

"თიბისი ბანკის" ანაბრების საშემოდგომო აქცია: +2%

ანაბრები გაზრდილი საპროცენტო განაკვეთით - ინვესტიცია თქვენს მომავალ კეთილდღეობაში

თუ გაგაჩნიათ დანაზოგი, ან აპირებთ ფულის შეგროვებას, ამისათვის ყველაზე საუკეთესო დრო 15 სექტემბრიდან 30 ნოემბრამდეა - თიბისი ბანკში სწორედ ამ პერიოდში ანაბრების საშემოდგომო აქცია მიმდინარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ აქციის პერიოდში თიბისი ბანკში გახსნილ ანაბრებზე მეანაბრეს 1% ან 2%-ით მეტი სარგებელი დაერიცხება. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები თიბისი ბანკის საშემოდგომო საჩუქარია, რომელიც დაგეხმარებათ, ზამთარს მეტი დანაზოგით შეხვდეთ.

- რას გულისხმობს თიბისი ბანკის ანაბრების საშემოდგომო აქცია?
- ვადიანი ანაბარი
- ანაბარი "ვადიანი +"
- ანაბარი "ჩემი სეიფი"

B4

Lukoil "შვილებს" აერთიანებს

კომპანია Lukoil-ი "შვილობილი" კომპანიების გაერთიანებას აპირებს. კომპანია თავისი გეგმის კონკრეტულ დეტალებზე საჯაროდ ნიუ-იორკში 2006 წლის ოქტომბერში ისაუბრებს. ანალიტოკოსები კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას ამართლებენ.

კომპანია Lukoil-ის ვიცე-პრეზიდენტ ლეონიდ ფედუნს იმედი აქვს, რომ პროცესს ხელს არაფერი შეუშლის, და რომ ზოგიერთი "შვილობილი" კომპანიის წილი 5 პროცენტზე ნაკლებია.

"ჩვენი კომპანიის კონკრეტულ დეტალებზე საუბარი ჯერ ნაადრევია. როცა გადაწყვეტილებას მივიღებთ, იმ "შვილობილ" კომპანიებასაც დავასახელებთ, რომლებზეც ამჟამად მიმდინარეობს საუბარი. ერთადერთი რისი თქმაც ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გახლავთ ის, რომ ჩვენ სხვადასხვა მექანიზმის ამუშავება, მაგალითად - აქციების გაცვლა და სხვა პროცესები, უკვე დავიწყეთ." - აცხადებს კომპანიის პრეს-სამსახური.

ანალიტიკოსების აზრით, შვილობილი კომპანიების სტრუქტურის კონსოლიდაცია Lukoil-ის სტრუქტურული სრულყოფისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. "ჩვენ დიდი ხნის წინ ვურჩიეთ კომპანიას "შვილობილების" გაერთიანება, თუმცა, ადრე Lukoil-ი ამ პროცესს არასერიოზულად აღიქვამდა. Lukoil-ის მთავარ პრეტენდენტად კომპანია Ritek-ი მოიაზრება. ის დინამიურად ვითარდება, ბაზარს კი არ უყვარს, როცა კომპანიების შვილობილი სტრუქტურები დამოუკიდებლად ვაჭრობენ" - აცხადებენ ანალიტიკოსები.

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

1	ავსტრალიური დოლარი	AUD	1,3112
1	აზერბაიჯანული მანათი	AZN	1,9834
1	არაბული დირხამი	AED	0,4743
1	აშშ დოლარი	USD	1,7420
1000	ბელორუსიული მანათი	BYR	0,8134
1	ბულგარული ლევი	BGL	1,1292
1	დანიური კრონი	DKK	0,2960
1	ეგვიპტური ბირვანქა	EGP	0,3037
1	ევრო	EUR	2,2080
10	ესტონური კრონი	EEK	1,4116
1000	თურქმენული მანათი	TMM	0,3350
1	თურქული ლირა	TRY	1,1927
10	იაპონური იენი	JPY	0,1479
1	ინგლისური ბირვანქა ს	GBP	3,2805
1000	ირანული რიალი	IRR	0,1896
10	ისლანდიური კრონი	ISK	0,2473
1	ისრაელის სეკელი	ILS	0,4004
1	კანადური დოლარი	CAD	1,5580
1	ლატვური ლატი	LVL	3,1558
10	ლიტვური ლიტი	LTL	6,4167
10	მოლდოვური ლეი	MDL	1,3083
1	ნორვეგიული კრონი	NOK	0,2673
1	პოლონური ზლოტი	PLZ	0,5601
10000	რუმინული ლეი	ROL	0,5852
1	რუსული რუბლი	RUB	0,0650
1	სინგაპურული დოლარი	SGD	1,0984
100	სომხური დრამი	AMD	0,4513
1	ტაჯიკური რუბლი	TJR	0,5150
1000	უზბეკური სუმი	UZS	1,4179
10	უკრაინული ბრივნა	UAG	3,4736
100	უნგრული ფორინტი	HUF	0,8116
1	ქუვეითური დოლარი	KWD	6,0239
10	ყაზახური ტენგე	KZT	0,1380
10	ყირგიზული სომი	KGS	0,4427
1	შვედური კრონი	SEK	0,2405
1	შვეიცარული ფრანკი	CHF	1,3899
1	ჩეხური კრონი	CZK	0,0776
1	ჩინური იუანი	CNY	0,2194
1	ჰონ-კონგური დოლარი	HKD	0,2238



ნატურალური საკვების პროდუქტების გიგანტი

Dean Foods-ის ბუდისტური ფესვები

გოჩა ქიმუცაძე

რამდენიმე წლის წინ აღმოსავლური ფილოსოფიის მიმდევარმა სტივ დემოსმა და იურისტმა გრეგ ენგლზმა თავ-თავიანთი ძალისხმევა გააერთიანეს. მათი თანამშრომლობის წყალობით კომპანია Dean Foods-მა, რომელიც ადრე დაბალშემოსავლიან რძეს უშვებდა, საფონდო ბირჟაზე ნამდვილი ფურორი მოახდინა. 2000-დან 2004 წლამდე პერიოდში კომპანიის შემოსავალი გასამმაგდა, წლიურმა ბრუნვამ 10 მილიარდ დოლარს გადააჭარბა და Dean Foods-ი თავისი სფეროს ერთ-ერთ ლიდერად იქცა.

- სააბაზანოდან დიდ ბიზნესში
- კორპორაციული იურისტი
- კეთილმოსურნე დიქტატორი

B3

საქართველოს საფინანსო სექტორში, შესაძლოა, ახალი მოთამაშე გამოჩნდეს

საქართველოს საფინანსო სექტორში, შესაძლოა, ახალი მოთამაშე გამოჩნდეს. ესტონეთის ერთ-ერთი წამყვანი ბიზნესმენი ურმას სიირუმა დაინტერესებულია, საქართველოს საფინანსო სექტორში მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელოს. ურმას სიირუმა ესტონეთში საკუთრებისა და პიროვნების დაცვის მომსახურების წამყვანი ფიგურაა. ბიზნესმენმა 2004 წელს წარმატებული ინვესტიცია განახორციელა რუსეთში, როცა დაცვის არცთუ დიდი ფირმა "ალფა-ნორდი" შეიძინა. ფირმა ორ წელიწადში მნიშვნელოვნად გაიზარდა და დღეისათვის მის სტრუქტურაში მოსკოვში, პეტერბურგსა და როსტოვში ათასი თანამშრომელი მუშაობს. სიირუმას ესტონეთსა და რუსეთში საკმაოდ მიზანდასახულ და ამბიციურ ბიზნესმენად მიიჩნევენ. ამასწინათ მან განაცხადა, რომ "ალფა-ნორდი" უახლოეს მომავალში რუსეთის ყველაზე დიდი, დაცვის ფირმა იქნება. ამ დროისათვის ბიზნესმენი და მისი გარემოცვა არ ახმაურებს საქართველოში განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობას და ფორმას. **ჯი-ეიჩ-ენი**

საქართველოს შიდა ვალი 5 წლის განმავლობაში გაორმაგდა

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2006 წლის პირველ ნახევარში საქართველოს შიდა კრედიტების მოცულობა 2 მილიარდ 878,9 მილიონი ლარით განისაზღვრა, რაც 2001 წელს დაფიქსირებულ ანალოგიურ მაჩვენებელზე ორჯერ მეტია. ხუთი წლის წინ მისი მოცულობა მხოლოდ 1 მილიარდ 307,2 მილიონი ლარით შემოიფარგლებოდა. აქედან ეროვნულ ვალუტაში სესხებმა 599,1 მილიონი ლარი, ხოლო უცხოურში კი 1 მილიარდ 735,2 მილიონი ლარი შეადგინა. კრედიტების ზრდა მთლიანად საწარმოთა მთავრობის წინაშე არსებული დავალიანების ხარჯზე მოდის. მათი მოცულობა 2001-2006 წლებში 572,3 მილიონი ლარიდან 2 მილიარდ 334,3 მილიონ ლარამდე გაიზარდა. სამაგიეროდ, შემცირდა მთავრობის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებები ეროვნული ბანკის წინაშე და მან 734,9 მილიონი ლარის ნაცვლად 544,7 მილიონი ლარი შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ საქართველოს დავალიანება 698 მილიონ 334 ათასი აშშ დოლარით შემცირდა

საქართველოს დავალიანება მიმდინარე წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 698 მილიონ 334 ათასით აშშ დოლარით შემცირდა და 1 მილიარდ 68 მილიონ 905 ათასი დოლარი შეადგინა.

როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განუცხადეს, საერთაშორისო ინსტიტუტებს შორის არიან მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაცია - 738 მილიონ 102 ათასი დოლარი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი - 227 მილიონ 795 ათასი დოლარი და ევროგაერთიანება - 93 მილიონ 036 ათასი დოლარი. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების საერთო ოდენობა 1 მლრდ. 759 მლნ. 774 ათას დოლარს შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

კომერციული ბანკების აქტივების მოცულობა 3 მილიარდ 500 მილიონ ლარს აღემატება

საქართველოს საბანკო ბაზარზე მოქმედი 19 ლიცენზირებული კომერციული ბანკიდან, აქტივების მოცულობის მიხედვით, სააქციო საზოგადოება "თი-ბი-სი" ბანკი ლიდერობს. 2006 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით, "თი-ბი-სი" ბანკის აქტივების მოცულობა 868 265 655 ლარს უდრის. "თი-ბი-სი" ბანკის შემდეგ მოდის სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი", რომლის აქტივების ოდენობა 797 796 172 ლარადაა შეფასებული. აქტივების მოცულობის მიხედვით, მესამე ადგილს იკავებს "გაერთიანებული ქართული ბანკი", 467 775 425 ლარის მოცულობის აქტივებით. ხოლო მეოთხე და მეხუთე ადგილებს "პროკრედიტბანკი" (428 583 463 ლარი) და "ბანკი ქართუ" (258 783 038 ლარი) იკავებს. საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, სულ 19 კომერციული ბანკის აქტივების საერთო რაოდენობამ 3 519 301 235 ლარი შეადგინა.

ამავე წყაროს ცნობით, ამ მაჩვენებელში წმინდა სესხები ლიდერობს. აქტივების ეს კატეგორია, 2006 წლის პირველი სექტემბრისთვის, 2 330 078 258 ლარს უდრის. წმინდა სესხების შემდეგ მოდის საბანკო ანგარიშებზე ფულადი სახსრები (586 096 590 ლარი) და ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (243 945 709 ლარი). **ჯი-ეიჩ-ენი**

პასივების მიხედვით "პროკრედიტი" ლიდერობს

საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობით, საქართველოში მოქმედი 19 კომერციული ბანკის პასივების საერთო მოცულობა 2 944 170 427 ლარს უდრის. ეს მაჩვენებელი კომერციული ბანკების 2006 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობითაა შეფასებული. პასივების მოცულობის სიდიდის მიხედვით ბანკებს შორის სააქციო საზოგადოება "პროკრედიტბანკი" ლიდერობს. ბანკის პასივები საანალიზო პერიოდში 371567744,1 ლარს უდრის. მეორე ადგილზეა "სილქ როუდ ბანკი" - 36114802,37 ლარით, ხოლო მესამეზე - "ინტელექტბანკი", 20087555,51 ლარით. პასივების გრაფაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბანკო და არასაბანკო დეპოზიტებს, ნასესხებ სახსრებსა და სხვა ვალდებულებებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

"სახალხო ბანკმა" რეგიონების ბარათიზაციის პროცესი დაიწყო

"სახალხო ბანკმა" რეგიონების ბარათიზაციის პროცესი დაიწყო. როგორც "ინტერპრესნიუსს" ბანკიდან აცნობეს, დღეს 18 ათასი ბათუმელი პენსიონერი "სახალხო ბანკის" **Visa** პლასტიკური ბარათის მფლობელი გახდება. სულ, აჭარის რეგიონში დაგეგმილია 40 ათასი პლასტიკური ბარათის გაცემა.

დღესვე ბარათიზაციის პროცესი დაიწყო რუსთავში. რუსთავის პენსიონერთათვის, აგრეთვე, დამზადებულია 18 ათასი ბარათი. უახლოეს მომავალში "სახალხო ბანკის" **Visa** პლასტიკური ბარათით ასევე ისარგებლებს 38 ათასი ქუთაისელი პენსიონერი. ბარათიზაციის პროცესი შეუფერხებლად განხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით და წლის ბოლომდე მოიცავს დევნილებს, სიღარიბის დაძლევის პროგრამაში ჩართულ ოჯახებსა და პროფესიული მომზადების პროგრამაში გამარჯვებულ კანდიდატებს. **ინტერპრესნიუსი**

ცნობილი ფირმების დამფუძნებლები თბილისში ჩამოვიდნენ

თინა შავაძე

სამშენებლო ბიზნესში ახალი შეთავაზება გაჩნდა. ქართულ სამშენებლო კომპანიებს მშენებლობისთვის საჭირო ყველანაირ აღჭურვილობას და ტექნიკას გერმანიისა და ჩეხეთის სამშენებლო ტექნიკის მწარმოებელი ცნობილი კომპანიები სთავაზობენ. თბილისში კომპანიების - WAITZINGER, MERKO, INTERMIX - დამფუძნებლები სპეციალურად ჩამოვიდნენ. ჰანს ვაიტზინგერმა (WAITZINGER), ჰანს გეორგ შტეტერმა (INTERMIX) და ლიბორ კოუდელამ (MERKO) საკუთარი საწარმოების საქმიანობა შეხვედრის მონაწილეებს თავად გააცნეს. სხვათა შორის, ქართულ რეალობაში ეს პირველი პრეცედენტია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ევროპელი ბიზნესმენები საქართველოში საქმის აწყობით სერიოზულად არიან დაინტერესებულნი.

სამშენებლო საქმეში ცნობილია, რომ ბეტონის ამრევი მოწყობილობა ჰანს შტეტერის წინაპარმა გამოიგონა, და ამ ტრადიციას ის დღესაც აგრძელებს. მან ქართველ მშენებლებს ავტობეტონამრევის ბოლო მოდელის მოწყობილობა გააცნო. ჰანს ვაიტზინგერმა კი ახალ პროდუქტზე ისაუბრა. ბეტონტურბო მანქანა ისეა მოწყობილი, რომ ყველა მიმართულებით შეუძლია გადახრა და, ამასთან, კომპიუტერი ითვლის, მანქანას რა სიმძიმის პომპეს (ბეტონის ხსნარის საქაჩი) ატანა შეუძლია. ერთი ასეთი მანქანა 280 ათასი ევრო ღირს.

ქართულ-გერმანული ერთობლივი კომპანია შ.პ.ს G.G.C. ცნობილი ფირმების - WAITZINGER, MERKO, INTERMIX - წარმომადგენელი ორი თვის წინ გახდა და სასტუმრო "თბილისი მარიოტში", წარმომადგენლობის მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით, პრეზენტაცია გამართა. "24 საათთან" საუბარში ქართულ-გერმანული ერთობლივი კომპანია შ.პ.ს G.G.C-ს გენერალური დირექტორი ვლადიმერ გურგენიძე ამბობს: "ამის გარდა, პირდაპირი ურთიერთობა გვაქვს დამყარებული ისეთ ფირმებთან, როგორებიცაა ZEPPELIN-CAT, UELZENER, FORSCHNER, DOKA, KRAHE, PLANAM. ამ ფირმების მიერ წარმოებულმა პროდუქციამ საერთაშორისო ბაზარზე სახელი თავისი მაღალი ხარისხითა და საიმედოობით გაითქვა. ვაპირებთ, დაინტერესებულ პირებს მშენებლობისთვის ყველანაირი აღჭურვილობა და ტექნიკა შევთავაზოთ როგორც ახალი, ისე მეორადი სახით. მათი ღირებულება დამოკიდებულია ტექნიკურ პარამეტრებზე და სხვა სახის მონაცემებზე. გადაწყვეტილია, რომ "სახალხო ბანკთან" ერთად ლიზინგის გამოყენებით ტექნიკის შეძენას შევთავაზებთ. ეს იქნება ლიზინგის გამარტივებული ფორმა. ბანკი გვთავაზობს 10-12-პროცენტიან კრედიტს, რომელიც ლიზინგით ტექნიკის შეძენის ბიზნესწინადადებას დააფინანსებს."

სხვათა შორის, მსგავსი შეთავაზება ქართულ ბაზარზე იტალიური კომპანია CIFA-სგან ერთი კვირის წინ გაჩნდა. "24 საათთან" საუბარში WAITZINGER-ის გაყიდვების მენეჯერი ომერ საბოვიჩი ამბობს: "იტალიური კომპანია CIFA და ჩვენ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტები ვართ. ცნობილი ევროპული სამშენებლო ტექნიკის მწარმოებელი კომპანიების მხრიდან საქართველოთი დაინტერესება იმას ნიშნავს, რომ თქვენს ქვეყანაში სამშენებლო ტექნიკის მიწოდების სფეროში კონკურენცია გაჩნდება, რომელიც თავისთავად აისახება შესყიდული პროდუქტის ხარისხსა და ფასზე. ცნობილია, რომ მთელ მსოფლიოში გერმანული ტექნიკის სავიზიტო ბარათი ხარისხია, რადგან ჩვენი მიზანია, მომხმარებელი კმაყოფილი გვყავდეს."

G.G.C-ს ფართო შეთავაზება ითვალისწინებს: WAITZINGER-ისგან (გერმანია) - როგორც მობილურ, ისე სტაციონარულ ბეტონტურბოებს და ხიმინჯების მოსაწყობ სამშენებლო ბურღებს; MERKO-სგან (ჩეხეთი) - ბეტონის ქარხნებს და ყველა სახის ინვენტარულ ყალიბებს; INTERMIX-სგან (გერმანია) - ავტობეტონამრევებს 3-15 კბ.მ; ZEPPELIN-CAT-ისგან - ბულდოზერებს, ექსკავატორებს, ჩვეულებრივ და ვიბროსატკეპნებს; UELZENER -ისგან (გერმანია) - ყველა სახის სამშენებლო ტექნიკას, FORSCHNER-ისგან - მცირე და საშუალო ტექნიკას (ბულდოზერი, ექსკავატორი, მტვირთავი და ა.შ). KOELSCH-ისგან - ქვის სამსხვრევს; DOKA-სგან - ინვენტარულ ყალიბებს; PLANAM-სგან და KRAHE -სგან - ყველა სახის სპეცტანსაცმელს.

სამშენებლო კომპანია "იბერიას" წარმომადგენელი "24 საათთან" საუბარში ამბობს, რომ ეს შეთავაზება ადგილობრივი კომპანიებისთვის მაშინ გახდება ხელმისაწვდომი, თუ ტექნიკის შეძენა ლიზინგით შესაძლებელი გახდება და ის დაბალპროცენტიანი იქნება.

საქართველოში აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ბენზინის ფასმა დაიკლო

ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირმა იმ ბენზინგასამართი სადგურების სია გამოაქვეყნა, სადაც იმპორტირებული საწვავის ფასმა სამშაბათიდან 10-15 თეთრით დაიკლო. ფასდაკლება ჯერჯერობით არ შეხებია რამდენიმე მსხვილ კომპანიას და ევროპიდან იმპორტირებულ საწვავს, რაც ივლისსა და აგვისტოში შეძენილმა მარაგმა განაპირობა, - განაცხადა სამშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა. მისი თქმით, უახლოეს მომავალში ბენზინი მსხვილ კომპანიებშიც გაიაფდება. მთვრალაშვილი პრესკონფერენციაზე საარჩევნო ბლოკის "დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი"-ს მიერ გაკეთებულ პოლიტიკურ განცხადებასაც გამოეხმაურა და წაყენებულ ბრალდებებს უსაფუძვლო უწოდა. "პრეზიდენტის ოჯახის წევრი ბენზინის არც ერთ კომპანიაში არ მუშაობს და დროა, მომპოვებელი კომპანია იმპორტიორი კომპანიისგან განვასხვაოთ," - განაცხადა მან. ბლოკი "დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი"-ს წევრებმა რამდენიმე დღის წინ, ხელისუფლება ნავთობპროდუქტებზე მაღალი ფასების ხელოვნურად შენარჩუნებაში დაადანაშაულეს და განაცხადეს, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გაიაფების მიუხედავად, პრეზიდენტ საკაშვილის ძმის, დავით სააკაშვილისა და ხელისუფლების მაღალჩინოსნების ინტერესების გამო, საქართველოში ბენზინზე მაღალი ფასები შენარჩუნდა. მათი განცხადებით, დავით სააკაშვილი საქართველოში ერთ-ერთ უმსხვილეს ნავთობმიმწოდებელს - "კანარგოს" წარმოადგენს. **პრაიმ-ნიუსი**

ქართული პროდუქცია დასავლეთის ბაზრებზე

ყირიმის გავლით მოხვდება

ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს რეგიონებს შორის ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივებზე ქართულ-უკრაინულმა მხარემ ოდესაში იმსჯელა. შეხვედრაში ყირიმის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე აზიზ აბდულაევი და საქართველოს გენერალური კონსული ზურაბ მარშანია მონაწილეობდნენ. მარშანიას განცხადებით, საქართველოდან ყირიმის გავლით ტვირთის დასავლეთ ევროპაში გადაზიდვა ძალზე პერსპექტიულია.

აბდულაევის თქმით, ყირიმი დაინტერესებულია საქართველოს რეგიონებთან ვაჭრობის განვითარებით და იმითაც, რომ თავისი განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის წყალობით ხელი შეუწყოს ქართულ პროდუქციას დასავლეთ ბაზარზე გასატანად. მხარეებმა მევენახეობის სფეროში პარტნიორობის პერსპექტივებზეც იმსჯელეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

საფონდო ბირჟაზე 445,696.12 ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდი გაიყიდა

საფონდო ბირჟაზე გამართულ რიგით 72(657)-ე სესიაზე სავაჭროდ წარმოდგენილი 15 კომპანიის აქციებიდან და 1 კომპანიის ობლიგაციებიდან, რომელთაგან გარიგება დაიდო 4 კომპანიის აქციებზე - ამალთეა, საქწყალპროექტი, საქტელეფონმშენი, საქართველოს ბანკი, საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის და საქართველოს ბანკის ობლიგაციები. გარიგებების საერთო რაოდენობა იყო 84, ჯამური მოცულობა - 64,668 ფასიანი ქაღალდი, ხოლო ჯამურმა ღირებულებამ 445,696.12 ლარი. შეადგინა.

განაცხადები ყიდვა-გაყიდვაზე იყო, აგრეთვე, შემდეგი ემიტენტების ფასიან ქაღალდებზე: ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი; გაერთიანებული ქართული ბანკი; თელასი; ნინო; ქარხანა ელექტროძრავა; სატვირთო სახმელეთო ტრანსპორტი; სატრანსპორტო მშენებლობის სააქციო საზოგადოება "ტრანსმშენი"; საქტრანსპროექტი; ყაზბეგი; ჩარხმშენებელი. **ჯი-ეიჩ-ენი**

"თიბისი ბანკის" ანაბრების საშემოდგომო აქცია: +2%

პირველი გვერდიდან

რას გულისხმობს თიბისი ბანკის ანაბრების საშემოდგომო აქცია?

აქციის პერიოდში თიბისი ბანკში ანაბრების დღემდე არსებული საპროცენტო განაკვეთები 2%-ით გაიზრდება ლარზე გახსნილი ანაბრების შემთხვევაში. დოლარსა და ევროში გახსნილ ანაბრებს კი 1%-ით მეტი თანხა დაერიცხება. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები შეეხება "ვადიან ანაბარს", აგრეთვე, ანაბრებს: "ვადიანი+" და "ჩემი სეიფი".

გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების გარდა, აქციის პერიოდში გახსნილი ვადიანი ანაბრების მფლობელებს თიბისი ბანკი საჩუქრად სთავაზობს ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტს, რომელიც ითვალისწინებს 24-საათიან სატელეფონო სამედიცინო კონსულტაციას, ოჯახის ექიმის მომსახურებას, სასწრაფო სამედიცინო, ჰოსპიტალურ და ამბულატორიულ მომსახურებას, აგრეთვე, მედიკამენტების დაფინანსებას.

სამედიცინო დაზღვევის პაკეტს ბანკი საჩუქრად გადასცემს იმ ვადიანი ანაბრის მფლობელებს, რომლის ოდენობა მინიმუმ 4000 დოლარს/ევროს შეადგენს. დაზღვევა კლიენტს გადაეცემა იმ ვადით, რა ვადითაც აქვს გახსნილი ანაბარი, არაუმეტეს ერთი წლისა. სადაზღვევო პაკეტის დეტალური პირობები განისაზღვრება ანაბრის თანხის ოდენობის მიხედვით.

გარდა ამისა, თიბისი ბანკის საშემოდგომო აქციის განმავლობაში ორჯერ გაიმართება ანაბრების კვირეული - ამ ღონისძიების ფარგლებში კლიენტებს, გარდა საჩუქრად გათვალისწინებული საბანკო პროდუქტებისა, ელით სხვა სიურპრიზებიც.

რა სახის ანაბრები გააჩნია თიბისი ბანკს, რისთვისაა გათვალისწინებული თითოეული მათგანი და როგორ შეიცვლება მათი პირობები საშემოდგომო აქციის განმავლობაში?

ვადიანი ანაბარი

"ვადიანი ანაბარი" - ეს არის საუკეთესო საშუალება მათთვის, ვისაც სურს საიმედოდ შეინახოს საკუთარი დანაზოგი წინასწარ განსაზღვრული ვადით და მაღალი საპროცენტო განაკვეთის დარიცხვით გაზარდოს თანხის ოდენობა.

"ვადიანი ანაბრის" ვადა შეგიძლიათ აირჩიოთ 2-დან 36 თვემდე. ამ ტიპის ანაბრის გახსნისთვის საჭირო მინიმალური თანხა ფიზიკურ პირებისთვის არის - 1000 ლარი/დოლარი/ევრო, ხოლო იურიდიული პირებისთვის - 5000 ლარი/დოლარი/ევრო.

გაითვალისწინეთ, რომ რაც უფრო მეტი ვადით გახსნით "ვადიან ანაბარს", მით მეტი საპროცენტო სარგებელი დაგერიცხებათ და თქვენი დანაზოგიც მეტად გაიზრდება.

"ვადიან ანაბარზე" მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი (24 თვიანი ანაბრის გახსნის შემთხვევაში) განისაზღვრება შემდეგნაირად:

ლარის ანაბარზე - 12,5%,
დოლარის ანაბარზე - 10,5%,
ევროს ანაბარზე - 9,5%.

აქციის პერიოდში დღემდე არსებული საპროცენტო განაკვეთი 2%-ით გაიზრდება ლარზე გახსნილი ანაბრების შემთხვევაში, ხოლო 1%-ით დოლარსა და ევროში გახსნილ ანაბრებზე. მაგალითად, 24 თვიან ანაბრებზე სარგებელი გახდება:

ლარის ანაბარზე - 14,5%,
დოლარის ანაბარზე - 11,5%
ევროს ანაბარზე - 10,5%.

ანაბარი "ვადიანი +"

თუ გაგაჩნიათ გარკვეული დანაზოგი და, ამავე დროს, გსურთ პერიოდულად მას თანხა დაამატოთ, თანაც ისე, რომ თქვენი დანაზოგი კარგად იყოს დაცული და მაღალი საპროცენტო სარგებელიც დაერიცხოს, მაშინ თქვენთვის ყველაზე ხელსაყრელია თიბისი ბანკის "ვადიანი +" ანაბარი.

ამ ანაბრის გახსნისათვის საჭიროა, თქვენი თავდაპირველი დანაზოგი შეადგენდეს მინიმუმ 1000 ლარს, დოლარს ან ევროს. პირველადი თანხის ბანკში შეტანის შემდეგ თქვენ ყოველთვიურად ან სხვა ნებისმიერი პერიოდულობით შეგიძლიათ დაამატოთ მინიმუმ 500 ლარი/დოლარი/ევრო. სანაცვლოდ, თიბისი ბანკი მაღალ პროცენტს დაარიცხავს თქვენს დანაზოგს და იზრუნებს თქვენი თანხის უსაფრთხოდ შენახვაზე. ანუ, "ვადიანი" ანაბრისაგან განსხვავებით, "ვადიან+" ანაბარზე შესაძლებელია თანხების დამატება.

"ვადიანი +" ანაბრის ვადაა 3-დან 36 თვემდე.

"ვადიანი ანაბრის" მსგავსად, "ვადიანი +" გამოირჩევა მაღალი წლიური საპროცენტო განაკვეთით. მაგალითად, 24 თვის ვადით "ვადიანი +" ანაბრის გახსნის შემთხვევაში განაკვეთი საშემოდგომო აქციამდე იყო:

ლარის ანაბარზე - 12%,
დოლარის ანაბარზე - 10%,
ევროს ანაბარზე - 9%.

"ვადიან +" ანაბარზე გაზრდილი პროცენტი დაერიცხება საშემოდგომო აქციის განმავლობაში გახსნილ ანაბრებს, ამავე პერიოდში შემოტანილ თანხებზე; გარდა ამისა, გაზრდილი საპროცენტო სარგებელი აქციის დაწყებამდე გახსნილ ანაბრებსაც დაერიცხება, ოღონდ მხოლოდ აქციის პერიოდში დამატებულ თანხებზე.

აქედან გამომდინარე, საშემოდგომო აქციის განმავლობაში, "ვადიანი +" ანაბარზე წლიური საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება და 2 წლიანი ანაბრების შემთხვევაში იქნება:

ლარის ანაბარზე - 14%,
დოლარის ანაბარზე - 11%,
ევროს ანაბარზე - 10%.

ანაბარი "ჩემი სეიფი"

ანაბარი "ჩემი სეიფი" - არის თიბისი ბანკის ახალი ანაბარი, მათთვის, ვისაც სურს მიიღოს მაღალი საპროცენტო სარგებელი და, ამავე დროს, თავისუფლად განკარგოს საკუთარი თანხა. ამ სახის ანაბარი, "ვადიანი" და "ვადიანი +" ანაბრებისაგან განსხვავებით, დანაზოგის გაზრდასთან ერთად, ანგარიშზე არსებული თანხის გამოყენების საშუალებასაც იძლევა.

ანაბარი "ჩემი სეიფის" მინიმალური პირველადი შენატანი 500 ლარი/დოლარი/ევროა. ანაბარს საპროცენტო სარგებელი 3 თვეში ერთხელ ერიცხება. მაღალი პროცენტი ერიცხება 3-თვიან პერიოდში ანაბარზე დაფიქსირებულ ხელუხლებელ ნაშთს, ხოლო ანაბრის დანარჩენ ნაწილს ერიცხება წლიური 1%.

"ჩემი სეიფის" "ხელუხლებელ თანხაზე" დარიცხული საპროცენტო სარგებელი შემდეგნაირად განისაზღვრება:

ლარის ანაბარზე - 6%,
დოლარის ანაბარზე - 5%,
ევროს ანაბარზე - 4%.

"ჩემი სეიფის" შემთხვევაში გაზრდილი პროცენტი იმოქმედებს აქციის განმავლობაში გახსნილ ანაბრებზე, გახსნის დღიდან 12 თვის განმავლობაში და იქნება:

ლარის ანაბარზე - 8%,
დოლარის ანაბარზე - 6%,
ევროს ანაბარზე - 5%.

თუკი დაინტერესდით ანაბრების აქციით და გაგიჩნდათ სურვილი, საიმედოდ შეინახოთ თქვენი დანაზოგი და ახალ წლამდე მნიშვნელოვნად გაზარდოთ მისი ოდენობა, ამისათვის დროულად უნდა მიმართოთ თიბისი ბანკის ნებისმიერ ფილიალს, გახდეთ თიბისი ბანკის ანაბრების საშემოდგომო აქციის მონაწილე და მიიღოთ საქართველოში ყველაზე მსხვილი კომერციული ბანკისაგან გაზრდილი საპროცენტო სარგებელი და საჩუქრების პაკეტი.

ნავთობის ფასმა ოდნავ მოიმატა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მცირე ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 63,9 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 63,75 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა. "შავი ოქროს" მცირე, მაგრამ მაინც გაძვირება ტექნიკურმა ფაქტორებმა, კერძოდ, გაიაფების შემდეგ შესყიდვებისადმი ინტერესის ზრდამ და მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მიწოდების შემცირების მოლოდინმა განაპირობა. გარდა ამისა, გავლენა მოახდინა რუსეთის მიერ ნავთობის ექსპორტზე გადასახადის გაზრდის შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ. კერძოდ, როგორც გუშინ ცნობილი გახდა, 1 ოქტომბრიდან რუსეთიდან ექსპორტირებულ 1 ტონა ნედლ ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე გადასახადი 237,6 დოლარის ოდენობით განისაზღვრა, რაც ყველა დროის მაქსიმალური მაჩვენებელია.

რუსეთში ახალი ავიაკომპანია იხსნება

რუსეთში ახალი პირველი მცირებიუჯეტიანი ე.წ. low-cost ავიაკომპანია "Sky Express" იხსნება, რომელიც მგზავრებს თავის კონკურენტებთან შედარებით 30-40-პროცენტიანი ფასდაკლებით გადაიყვანს. პირველ ეტაპზე კომპანიის ბიუჯეტი 48 მილიონი დოლარით განისაზღვრება, აქედან 20 მილიონ დოლარს "Sky Express"-ის ერთ-ერთი თანამფლობელი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი გამოყოფს. ბიზნეს-გეგმა ხუთ წელზეა გათვლილი, ამ დროსათვის მისი ავიაპარკი 44 ბოინგისაგან უნდა შედგებოდეს.

ავიაკომპანიის მეწილეთა სახელს ჯერჯერობით არ ახმაურებენ, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, ისინი შესაძლოა "კრასნოიარსკის ავიახაზების" მფლობელები და მენეჯერები იყვნენ. პირველი ფრენა ვნუკოვოს აეროპორტიდან ნელს ნოემბერში იგეგმება. ჯერჯერობით, იგი მხოლოდ შიდა რეისებს მოემსახურება და სანკტ-პეტერბურგის, როსტოვის, მურმანსკის, ეკატერინბურგის, ვოლგოგრადის, უფის, სოჭისა და მინერალური წყლების მიმართულებით იფრენს. თუმცა, შესაძლოა, ავიაკომპანიის მფლობელებს დროთა განმავლობაში უფრო ამბიციური გეგმებიც გაუჩნდეთ და საერთაშორისო ბაზარზე მოსინჯონ ბედი, რითაც კონკურენტებს სერიოზული თავსატეხი გაუჩნდებათ. **ჯი-ეიჩ-ენი**

კვირის ბოლოს ევროპული ბენზინი გაიაფდება

ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის, თავმჯდომარის ვანო მთავრალაშვილის თქმით, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების დაწევა კვირის ბოლომდე ქართველი მომხმარებლის ჯიბეზეც აისახება დედაქალაქში მდებარე 19 ავტოგასამართ სადგურზე ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ა-91 მარკის ბენზინის ფასი საცალო ქსელში საშუალოდ 10-15 თეთრით უკვე შემცირდა და 1.32-1.35 ლარს შეადგენს. "ფასები იმ ქსელური კომპანიების ავტო-გასამართ სადგურებზეც დაეცა, რომლებიც ევროპული პროდუქტების პარალელურად, არაევროპული პროდუქტების იმპორტსა და რეალიზაციას ახდენენ. მაგალითად, კომპანია "ვისოლის" ქსელში 1 ლიტრი აზერბაიჯანული დიზელი 1.35-1.40 თეთრი ღირს, ხოლო აზერბაიჯანული ბენზინი 1.45-1.50 თეთრია," - განაცხადა მთავრალაშვილმა. მისი თქმით, კვირის ბოლომდე ევროპული ბენზინიც გაიაფდება. "ევროპის ქვეყნებიდან იმპორტირებული საწვავის ფასი აზერბაიჯანულზე ყოველთვის 10-15 თეთრით ძვირია, რაც მთელი რიგი ფაქტორებით არის განპირობებული. კერძოდ, აზერბაიჯანი ჩვენს ქვეყანას საწვავს ფიქსირებულ ღირებულებაზე 48 დოლარით ნაკლებ ფასში აძლევს," - განაცხადა მან. მთავრალაშვილმა აღნიშნა, რომ აზერბაიჯანიდან საწვავის იმპორტი მცირე პარტიებით, რკინიგზის 60-120-ტონიანი ვაგონ-ცისტერნებით ხორციელდება, ევროპიდან იმპორტული საწვავის ყველაზე მცირე პარტია კი, სულ მცირე, 2000 ტონას შეადგენს. ევროპიდან შავი ოქრო საქართველოში მხოლოდ გემებით შემოდის და მის ტრანსპორტირებას დაახლოებით 2 კვირა სჭირდება. "ჩვენი ინფორმაციით, იმ კომპანიებს, რომლებიც ევროპული ნავთობპროდუქტების იმპორტს ახდენენ, ნავთობპროდუქტები ახალი ფასებით უკვე შესყიდული აქვთ. ზოგიერთი მათგანის გემი ფოთის ნავსადგურში ახლა იცლება. ისინი ევროპული წარმოშობის ნავთობპროდუქტებზე ფასების დაწევას ამ კვირაში აპირებენ," - განაცხადა მთავრალაშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ნატურალური საკვები პროდუქტების გიგანტი

ჰირველი გვერდიდან

სააგაზანოდან დიდ ბიზნესში

საყურიანმა ბუდისტმა სტივ დემოსმა, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინდოეთში გამოქვაბულში ცხოვრობდა, 70-იანი წლების ბოლოს საკუთარ აბაზანაში მუხუდოს შედედებული რძის მომზადება დაიწყო. იმ პერიოდში იგი კოლორადოს შტატის ქალაქ ბოულდერში ტაი-ჩის გაკვეთილებზე დადიოდა, სადაც ყიდდა კიდეც თავის ნაწარმს.

თანდათანობით დემოსის ოჯახური ბიზნესი კომპანია White Wave-ად იქცა, რომელიც ნატურალურ საკვებ პროდუქტებს უშვებდა. ბუდისტს სურდა დაემტკიცებინა, რომ ეკოლოგიურ სისუფთავეზე ზრუნვას დიდი მოგების მოტანა შეეძლო. ამიტომაც, ძალიან განრისხდა, როცა Dean Foods-ის გენერალურმა დირექტორმა გრეგ ენგლზმა მისი კომპანიის ხელში ჩაგდება მოინდომა. ენგლზი, რომელსაც იურიდიული განათლება იელის უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული, იმით იყო ცნობილი, რომ წვრილ კონკურენტებს უმოწყალოდ ნთქავდა და Dean Foods-ი რძის მწარმოებელ გიგანტად აქცია. ახლა კი მან ორგანული პროდუქტების სფეროს ათვისებაც ისურვა.

დემოსი შეეცადა, შთანთქმას სასამართლოს მეშვეობით წინ აღდგომოდა და ირწმუნებოდა, რომ ამგვარად მისი კომპანიის კულტურას ზიანი მიადგებოდა. თუმცა, სასამართლომ მისი სარჩელი არ დააკმაყოფილა და ყოფილი მოწინააღმდეგეები კვების მრეწველობის ერთ-ერთი ვარსკვლავური კომპანიის სათავეში ერთად აღმოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ, მსოფლიოში კვების პროდუქტების გასაღება წელიწადში მხოლოდ 3 პროცენტით იზრდება, ნატურალური, ორგანული პროდუქტების ბაზარს შეუძლია, 20-პროცენტიანი ზრდით დაიკვეხნოს დროთა განმავლობაში ერთობლივი მუშაობის შედეგად ენგლზმა ბუდისტური პრინციპები აითვისა, დემოსი კი დიდი ბიზნესის ფრონტზე ბრძოლაში გამოიწრთო.

კორპორაციული იურისტი

ბიზნესის სამყარომ ენგლზი პირველად 80-იანი წლების ბოლოს გაიცნო, როცა ყინულის მწარმოებელი 30-მდე კომპანიისაგან შემდგარი კორპორაცია შექმნა. მათთან მუშაობისას მან მშვენივრად აითვისა დანახარჯის შემცირებით მოგების გაზრდის ხელოვნება. ერთხელაც გადაწყვიტა, რომ რძის პროდუქტების წარმოებაშიც მსგავსი კონსოლიდაციის დრო დადგა და 1993 წელს 106 მილიონ დოლარად პუერტორიკოული კომპანია Suiza შეიძინა. შემდეგი რამდენიმე წლის განმავლობაში მან კიდევ 50-მდე ფირმა შეისყიდა და აშშ-ს რძის წარმოების მესამედი ხელში ჩაიგდო.

თავისი უმსხვილესი გარიგება ენგლზმა 2001 წელს განახორციელა, როცა 1,5 მილიარდ დოლარად კომპანია Dean Foods შეიძინა, რომელიც იმ პერიოდში წვრილ ფირმებს ასევე ნთქავდა, მაგრამ მის ხელმძღვანელობას ენგლზის გაქანება არ გააჩნდა. გრეგმა Dean Foods-ს სახელი შეუნარჩუნა, მისი შტაბ-ბინა კი ჩიკაგოს გარეუბნიდან დალასში გადაიტანა.

საბოლოოდ, ენგლზმა White Wave-ს, რომელშიც ადრე რამდენიმე მილიონი დოლარი ჩადო და მთლიანად შესყიდვის უფლება მოიპოვა, ხელში ჩაგდება მოინდომა. ჭკვიანი ბიზნესმენი განსაკუთრებით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც კვების პროდუქტების და ფარმაცევტული საშუალებების წარმოების ზედამხედველობის სამმართველომ დაადგინა, რომ მუხუდოს ცილა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს ამცირებს და კომპანიებს ამ განცხადების რეკლამაში გამოყენების უფლება მისცა. საკუთარი წარმოების მუხუდოს რძით ბაზრის ათვისება კი ენგლზმა იმიტომ ვერ მოახერხა, რომ მას დემოსმა კარგა ხნით დაასწრო.

კეთილმოსურნე დიქტატორი

სანამ ბიზნესში მოვიდოდა, სტივ დემოსი ფილოსოფიასა და პოლიტოლოგიას სწავლობდა, 60-იანი წლების ბოლოს ოთხი წლის განმავლობაში ევროპაში, შუა აღმოსავლეთსა და აზიაში მოგზაურობდა, სადაც აღმოსავლურმა ფილოსოფიამ დააინტერესა. მისი თქმით, ინდოეთში რამდენიმე თვის განმავლობაში გამოქვაბულში ცხოვრობდა, სადაც მედიტირებდა და იოგაში ვარჯიშობდა. დემოსი საკუთარ თავს "კეთილმოსურნე დიქტატორს" უწოდებს, რომელიც თავის ქვეშევრდომებს ყოველთვის ეუბნება: "თქვენი საქმე გააკეთეთ და შეკითხვებს ნუ სვამთ".

1996 წელს დემოსმა ბაზარზე მუხუდოს რძე Silk-ი გაიტანა. მან შესაფუთზე უცნაური რეკლამა განათავსა, რომლითაც ითხოვდა, Silk-ი მაღაზიებში სხვა რძის პროდუქტებთან ერთად დაელაგებინათ, ცხადია, გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე მისი კეთილისმყოფელი გავლენის აღნიშვნაც არ დავიწყებია. მაგრამ დემოსს დამატებითი სახსრები სჭირდებოდა, რომლის ძებნისას Coca-Cola-ს, Kraft Foods-ს და სხვა მსხვილ კომპანიებს მიმართა. საბოლოოდ, დაინტერესება Dean Foods-მა გამოიჩინა, რომელმაც 1999 წელს White Wave-ს აქციების 25 პროცენტი 5 მილიონ დოლარად შეიძინა.

White Wave-ს საქმე კარგად მიდიოდა, რადგან მომხმარებელი პესტიციდებისა და გენეტიკური ცვლილებების გარეშე მიღებული პროდუქტების მიმართ თანდათანობით სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენდა. 2001 წელს ენგლზი ბოულდერში ჩაფრინდა და დემოსს აუწყა, რომ Dean Foods-ს განზრახული ჰქონდა, White Wave-ს დარჩენილი პაკეტის შესყიდვის უფლების გამოყენებინა და 154 მილიონ დოლარს იხდიდა. თანაც, დემოსს მის საქმეში ჩაურევლობას და საწარმოო სიმძლავრეების გაზრდას დაჰპირდა. დემოსმა ზრდილობიანი უარი განაცხადა.

ორი თვის შემდეგ ენგლზმა დემოსისაგან ფაქსი მიიღო, რომლითაც შეიტყო, რომ White Wave-მ შთანთქმის აღკვეთის მიზნით სასამართლოს სარჩელით მიმართა. მაგრამ სარჩელი არ დაკმაყოფილდა და დემოსი კომპანიიდან წასასვლელად მოემზადა. როგორც წესი, ამგვარი შთანთქმის შემდეგ პატარა კომპანიის თავკაცს პოსტზე იშვიათად ტოვებენ, მაგრამ ენგლზს დემოსის წასვლა არ უნდოდა.

ენგლზი ისევ ბოულდერში გაემგზავრა, მან თანხა 40 მილიონი დოლარით გაზარდა, დემოსს Dean Foods-ის ახალი ქვეგანყოფილების თავკაცობა შესთავაზა და, თანაც, მას და მის მენეჯმენტს Silk-ის გაყიდვების ზრდის შემთხვევაში დამატებით 30 მილიონს და შტაბ-ბინის ბოულდერში დატოვებას დაჰპირდა. მალე ენგლზმა Silk-ის საწარმოო სიმძლავრის გასაზრდელად 30, სარეკლამო კამპანიისათვის კი 22 მილიონი დოლარი გამოჰყო.

შედეგად, Silk-ის გაყიდვებმა მკვეთრად იმატა და ენგლზის მიერ დასახულ მიზანსაც გადააჭარბა. ამ დროისათვის Dean Foods მუხუდოს რძის ბაზრის თითქმის 75 პროცენტს აკონტროლებს. ამიტომაც იყო, რომ დაპირებული 30 მილიონის გარდა, გასულ წელს ენგლზმა პირადად დემოსს პრემიის სახით 11 მილიონი დოლარი გადაუხადა. გარდა ამისა, ენგლზმა დემოსი Dean Foods-ის რძის პროდუქტების მწარმოებელი კიდევ ერთი, ახალი ქვეგანყოფილების White Wave Foods-ის, რომლის ბრუნვა 1,5 მილიარდ დოლარს აღწევს, პრეზიდენტად დანიშნა. ამგვარად, ბიზნესის, რომელსაც დემოსი ხელმძღვანელობს, მოცულობა ორჯერ გაიზარდა. Silk-ის გარდა, წარმოებაში ჩაუშვეს შოკოლადის რძე Hershey's, ორგანული რძე Horizon-ი და არომატიზირებული ხსნადი ყავა International Delight-ი. შედეგად, Dean Foods-ის საქმე კიდევ უფრო უკეთ წავიდა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი თავისი სფეროს ერთ-ერთ ლიდერად იქცა.

აშშ-ს ბირჟაზე კლებაა





გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა მაკროეკონომიკურმა სიახლეებმა, კერძოდ, აშშ-ს სამშენებლო სექტორის ინდექსის კლებამ და მეწარმეთა ფასების ინდექსის ზრდამ. გარდა ამისა, ინტერესი გამოიწვია რამდენიმე არადამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლემ, რომელთა შორის აღსანიშნავია General Motors-ის აქციების ვარდა, და ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის შესაძლო გაზრდის მოლოდინი.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,14 პროცენტით, 11.538,67 პუნქტამდე შემცირდა. 0,05 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.234,72 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,1 პროცენტით, 1.319,81 პუნქტამდე მოიკლო.

პალადიუმის გარდა ყველა ძვირფასი ლითონი გაძვირდა

გუშინ, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასის ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 592,8 დოლარი შეადგინა. ვერცხლის ფასმა უფრო ნაკლებად, 11,3 დოლარი/უნციამდე მოიმატა. ზედიზედ რამდენიმე დღის განმავლობაში გაიაფების შემდეგ გაძვირდა პლატინაც და მისმა ღირებულებამ 1166,9 დოლარი/უნცია შეადგინა. პალადიუმის ფასის კლება კი კვლავ გაგრძელდა და მისმა ღირებულებამ 311,55 დოლარი/უნცია შეადგინა.

ოქროს ფასის მატება კვლავინდებურად შესყიდვებისადმი ინტერესის ზრდამ და ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის შესაძლო გაზრდის მოლოდინმა განაპირობა. ოქროს გაძვირებამ და ფერადი ლითონების ბაზარზე ფასების მატებამ გავლენა მოახდინა ვერცხლის ღირებულების ზრდაზე. რაც შეეხება პლატინას, რამდენიმე დღის განმავლობაში გაიაფების შემდეგ მისი შესყიდვების მიმართ ინტერესმა საგრძნობლად იმატა, რასაც ოქროს ბაზარზე არსებული ვითარებაც დაემატა.

Motorola-მ Symbol Technologies იყიდა

მობილური ტელეფონების მსოფლიოს მეორე უმსხვილესმა მწარმოებელმა, ამერიკულმა კომპანია Motorola Inc-მა მობილური სამუშაოების კორპორაციული გადაწყვეტის მიმწოდებელი კომპანია Symbol Technologies 3,9 მილიარდ დოლარად (15 დოლარი 1 აქციის სანაცვლოდ) შეიძინა. "დარწმუნებულნი ვართ, რომ ორი კომპანიის შერწყმა მობილური ტექნოლოგიების ბაზარზე Motorola-ს პოზიციებს გაამყარებს და ჩვენს აქციონერებს ხეირს მოუტანს", - განაცხადა Motorola-ს თავკაცმა ედ ზანდერმა.

აღსანიშნავია, რომ 2006 წლის პირველ ნახევარში Motorola-ს სუფთა მოგებამ 2,07 მილიარდი დოლარი, ხოლო კომპანიის გაყიდვების მოცულობამ 20,48 მილიარდი დოლარი შეადგინა. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში Motorola-ს მოგება 48,3 პროცენტით, 1,38 მილიარდ დოლარამდე, გაყიდვების მოცულობა 29,4 პროცენტით, 10,88 მილიარდ დოლარამდე, ხოლო საოპერაციო მოგება 58,9 პროცენტით, 958 მილიონ დოლარამდე გაიზარდა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ Motorola აქტიურად ცდილობს თანმდევი მიმართულების კომპანიების შეძენას. მაგალითად, მიმდინარე წლის ივნისის დასაწყისში გავრცელდა ინფორმაცია Motorola-ს მიერ 150,5 მილიონ ევროდ 3G ქსელების პროგრამული უზრუნველყოფის ბრიტანული ოპერატორის TTP Communications-ის შეძენის შესახებ, რომელიც აღნიშნული სფეროს ლიდერი გახლავთ და რომელიც, როგორც Motorola-ს ხელმძღვანელობამ განაცხადა, კომპანიისათვის კარგი შევსება გახდა.

ახალ კოსმოსურ აპარატებს "ლოკჰიდ მარტინი" დაამზადებს

მერაბ ლორთქიფანიძე

აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსის ეროვნულმა ადმინისტრაციამ (NASA - ნეიშნლ აერონავტიკს ენდ სპეის ადმინისტრეიშნ), ახალი, მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური აპარატის დასამზადებლად, ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა ამერიკულ აეროკოსმოსურ და თავდაცვით გიგანტ "ლოკჰიდ მარტინს". კონტრაქტის ღირებულება 3.9-მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

შტატ მერილენდის ქალაქ ბეთესდაში ბაზირებული "ლოკჰიდი" პენტაგონის ნომერ პირველი პარტნიორია იარაღისა და თავდაცვითი სისტემების მიწოდების საქმეში, ახლა კი NASA-ს მეორე უმსხვილესი (ბოინგის შემდეგ) მიმწოდებელიც ხდება. სწორედ "ლოკჰიდს" მიენდო ახალი, მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური პილოტირებადი აპარატის (ორიონი) შექმნა. არადა, ამ კონტრაქტის მისაღებად ჩატარებულ კონკურსში, მისი კონკურენტები იყვნენ ისეთი ძლიერი კორპორაციები, როგორებიცაა "ნორტროპ გრუმენი" და "ბოინგი".

პილოტირებადი კაპსულის დამზადების გარდა, პროექტი ითვალისწინებს სატვირთო აპარატის და მზიდი რაკეტის შექმნასაც. სატვირთო ხომალდით კოსმოსში აპარატურის გატანა იქნება შესაძლებელი, მზიდი რაკეტა კი "ორიონს" (პილოტირებასაც და სატვირთოსაც) კოსმოსში გაიყვანს. თუ პროექტი წარმატებული იქნება, მაშინ NASA "ლოკჰიდს" კიდევ თითო პილოტირებად და სატვირთო ხომალდს შეუკვეთავს, ახალი შეკვეთის ღირებულება კი 3.5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

"ლოკჰიდის" პროექტის შემუშავებაში, თავად ამ კომპანიის ინჟინერ-კონსტრუქტორების გარდა, მონაწილეობა მიიღეს "ჰონიუელ ინტერნეიშნლ ინკორპორეიტიდმა", "ორბიტალ საიენს კორპორეიშნმა" და "ჰემილტონ სანდსტრენდმა", რომელიც კომპანია "იუნაიტიდ ტექნოლოჯიზის" ჯგუფში შედის. მათ გარდა, "ლოკჰიდის" კიდევ ერთი კონტრაქტორია "იუნაიტიდ სპეის ალიანსი", რომელიც საკუთრივ "ლოკჰიდისა" და "ბოინგის" ერთობლივი კომპანიაა. ცნობისათვის, სწორედ "იუნაიტიდ სპეის ალიანსი" ახორციელებს მრავალჯერად კოსმოსურ აპარატ "შატლის" ექსპლუატაციას და მართვას. შეგახსენებთ, რომ "შატლის" ბოლო კოსმოსური ვოიაჟი 2010 წელს განხორციელდება.

"ლოკჰიდ მარტინის" განცხადებით, კოსმოსური ხომალდის დიდი ზომის კონსტრუქციები NASA-ს იმ საწარმოში დამზადდება, რომელიც შტატ ლუიზიანას ქალაქ ნიუ ორლეანში მდებარეობს. ორიონის საბოლოო აწყობა კი ფლორიდაში, კენედის კოსმოსური ცენტრის საწარმოში განხორციელდება. კოსმოსში "ორიონის" პირველი პილოტირებული ფრენა არაუგვიანეს, 2014 წელს უნდა განხორციელდეს, 2020 წელს კი მისი მეშვეობით, ამერიკელი ასტრონავტების მთავარეზე დასმაა დაგეგმილი. "ორიონით" შესაძლებელი იქნება მთვარეზე ოთხი კაცის წაყვანა. სამაგიეროდ, საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე ეს ხომალდი 6 ასტრონავტს მიიყვანს. წინასწარ განსაზღვრულია, რომ მთვარემდე მისაღწევად, "ორიონს" 6 თვეზე მეტი არ უნდა დასჭირდეს. აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის პროგრამის მიხედვით, მთვარეზე დაბრუნების შემდეგ, ამერიკელთა მიზანი ასტრონავტების მარსზე დაჯდომა იქნება.

სხვათაშორის, აქამდე NASA-სთვის ყველა კოსმოსურ ხომალდს "ბოინგი" ან ის კომპანიები ამზადებდნენ, რომლებიც მოგვიანებით "ბოინგმა" შეისყიდა. ერთადერთი გამონაკლისი იყო ის დასაშვები ზონდი, რომლითაც 1969 წელს ამერიკელებმა პირველად მოახერხეს მთვარეზე აპარატის დასმა. ის დასაჯდომი აპარატი კომპანია "გრუმენმა" დაამზადა, რომელიც მოგვიანებით "ნორტროპმა" ჩაყლაპა.

უნდა ითქვას, რომ კონკურსის მესამე ფაზის ჩატარებამდე, კონტრაქტის მოგების რეალურ ფავორიტებად მიჩნეული იყვნენ "ნორტროპ გრუმენი" და "ბოინგი", რომლებიც აქამდე NASA-ს მიერ განხორციელებულ თითქმის ყველა პილოტირებად პროექტში ღებულობდნენ მონაწილეობას და რა თქმა უნდა, ამ საქმეში უზარმაზარი გამოცდილებაც აქვთ დაგროვილი. "ლოკჰიდიც" NASA-ს ძველი პარტნიორია, თუმცა მათი ურთიერთობა ყოველთვის წარმატებული არ ყოფილა.

"შატლის" შემცვლელი მრავალჯერადი გამოყენების აპარატის პირველი პროექტი (X-33) "ლოკჰიდმა" ადრეც მოამზადა. თუმცა რიგი სუბიექტური მიზეზების (ტექნოლოგიებთან და ფინანსებთან დაკავშირებული) გამო, ის პროექტი დაიხურა.

რაც შეეხება "ორიონს", ის უსაფრთხოების უმკაცრეს მოთხოვნებს ითვალისწინებს. მის კონსტრუქციაში გათვალისწინებულია უსაფრთხოების სისტემა, რომელიც ავარიულ სიტუაციაში, იმ კაპსულას, რომელშიც ასტრონავტები იქნებიან მოთავსებულები, რაკეტიდან გადმოაგდებს. და რამდენადაც, "ორიონი" რაკეტის წვერში განთავსდება, კატასტროფულ სიტუაციებში ეკიპაჟს ნაკლები საფრთხე შეექმნება. აღნიშნულ სისტემას დალასის ქარხანაში დაამზადებს კომპანია "ორბიტალ საიენსი", რომელიც განეულ სამუშაოში 450-500 მილიონ დოლარს მიიღებს.

NASA-სთან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, "ლოკჰიდ მარტინი" ყოველგვარ ურთიერთობას წყვეტს თავის რუს პარტნიორებთან, რომლებთან ერთადაც, კოსმოსში კომერციული თანამგზავრების გაშვების ბიზნესით იყო დაკავებული. ამერიკულმა კომპანიამ გამოაცხადა, რომ რუს პარტნიორებთან ერთობლივ საწარმოებში თავის წილს ჰყიდის. ერთადერთი სფერო, რომელშიც "ლოკჰიდი" რუსებთან თანამშრომლობას გააგრძელებს, პროექტი "ატლასია", რომელიც სარაკეტო ძრავების წარმოებას ითვალისწინებს.

პროექტ "ორიონზე" მუშაობის პარალელურად, "ლოკჰიდ მარტინი" გააგრძელებს პენტაგონის შეკვეთების შესრულებას. რუსებთან ურთიერთობას კი იმის გამო წყვეტს, რომ ეს პროექტები ნაკლებად მომგებიანია.

General Motors და Ford Motor გაერთიანებისაკენ ისწრაფვიან

ამერიკული ავტომშენებლობის ორი ფლაგმანის: General Motors Corp-ის და Ford Motor Co-ს ტოპ-მენეჯერებმა შესაძლო გაერთიანების თაობაზე დახურული მოლაპარაკებები გამართეს. ორი ავტოგიგანტის შერწყმის შესახებ საუბარი ჯერ კიდევ აგვისტოში დაიწყო, მაგრამ მაშინ შედეგი არ მოჰყოლია. თუმცა, საკითხი არ დახურულა და ალიანსის შექმნის შესახებ მოლაპარაკებები კვლავ მიმდინარეობს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროის განმავლობაში ორივე ავტოგიგანტი გვარიან წაგებას ნახულობს და პოზიციებს აზიელ კონკურენტებს უთმობს, რასაც სამუშაო ადგილების და საწარმოო მოცულობის შემცირება მოჰყვა. მაგალითად, Ford-ის რესტრუქტურიზაციის გეგმა 2008 წლამდე 14 ათასი სამუშაო ადგილის, ანუ, კომპანიის მთელი მენეჯმენტის მესამედის შემცირებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, უახლოესი წელიწადნახევრის განმავლობაში კონცერნი ჩრდილოეთ ამერიკაში არსებულ 14 ქარხანას დახურავს, რაც 75 კონტრაქტორს უმუშევარს დატოვებს. ამგვარად Ford წელიწადში 5 მილიარდი დოლარის დაზოგვას აპირებს.

General motors-ის გეგმა კი ამავე პერიოდში 35 თანამშრომლის განთავისუფლებას და 9 ქარხნის დახურვას ითვალისწინებს. კომპანიის მენეჯმენტის ჩანაფიქრით, ეს ნაბიჯები კომპანიის წლიურ დანახარჯს 8 მილიარდი დოლარით შეამცირებს.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის აპრილში GM-ის ხელმძღვანელობა ფრანგულ Renault SA-თან და იაპონურ Nissan Motor Co-სთან ალიანსს განიხილავდა. აღნიშნული თანამშრომლობის პირობების განხილვას 90 დღე დასჭირდა. შესაძლო გარიგების ინიციატორი ამერიკელი მილიარდერი, კომპანია Tracinda-ს თავკაცი, GM-ის აქციების 9,9 პროცენტის მფლობელი კირკ კერკორიანი გახლდათ. თუმცა, მის ძალისხმევას მაშინ შედეგი არ მოჰყოლია.

სიღარიბის დაძლევის პროექტმა სტარტი რუსთავშიც აიღო

ქალაქის ინფრასტრუქტურა მკვეთრად გაუმჯობესდება

ლიკა ჭობაძე

“სიღარიბის დაძლევა განვითარების გზით” - პროექტის განხორციელება ფოთიდან დაიწყო, გუშინ კი “ფონდმა - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს” (ემ-სი-ჯი) და მისმა კონტრაქტორმა ორგანიზაციამ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა (მგფ) ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მოსახლეობასთან და არასამთავრობო სექტორთან საკონსულტაციო შეხვედრა რუსთავში გამართა.

ფონდ - “ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს” რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება, რისთვისაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საქართველოს 60 მილიონი აშშ დოლარი გამოუყო.

პროექტის ფარგლებში რეგიონებში წყლისა და საკანალიზაციო მეურნეობების, ირიგაციის, გაზიფიკაციის, ადგილობრივი გზებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ფიზიკური ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდება.

“60 მილიონი დოლარი საქართველოს ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის არცთუ ისე ბევრია. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ჩვენ რეგიონების, ამ შემთხვევაში კი რუსთავის მოსახლეობასთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონსულტაციების შედეგად, ერთად შევარჩევთ იმ სექტორებს, რომელთა მშენებლობასა თუ რეაბილიტაციაში საშუალოდ 7 მილიონ დოლარს ჩავდებთ. თანადაფინანსების შემთხვევაში საგრანტო თანხა გაიზრდება, თუმცა ამ შემთხვევაშიც “ემ-სი-ჯის” წილი 35 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. რუსთავის წყალმომარაგების რეაბილიტაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. ჩვენთვის მოსახლეობის აზრი ძალიან მნიშვნელოვანია. საკონსულტაციო რაუნდის პირველ ეტაპზე ჩვენ 600-მდე საპროექტო წინადადება მივიღეთ, აქედან მხოლოდ 200 გადავარჩიეთ. ახლა კი კონსულტაციების მეორე რაუნდი დავიწყეთ, რომლის ფარგლებშიც ჩვენ უკვე კონკრეტულ განაცხადებს მივიღებთ. პროცესი წლის ბოლომდე გაგრძელდება,”- აცხადებს რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დირექტორი თენგიზ გოგელია.

პროექტის კოორდინატორის ხათუნა კუნჭულიას თქმით, ამ ეტაპზე “ემ-სი-ჯი”, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) და კიდევ სხვა დონორებთან ერთად 9 იდენტიფიცირებულ პროექტზე მუშაობს, აქედან ქალაქ ფოთისა და ქუთაისის წყალმომარაგების რეაბილიტაციის პროცესი უკვე დაწყებულია. დანარჩენ პროექტებს კი ჯერ მუნიციპალური განვითარების ფონდი, შემდგომ კი “ემ-სი-ჯი” შეისწავლის.

საგრანტო წინადადებების წარდგენა ადგილობრივ მმართველობას, ადგილობრივ თვითმმართველობას, მუნიციპალურ სანარმოს, ცენტრალურ მთავრობას შეეძლება. ეს კი იმ შემთხვევაში, თუკი მოცემული ინფრასტრუქტურა უშუალოდ მის საკუთრებაშია. პროექტის დირექტორის თქმით, საგრანტო წინადადებების შერჩევა საკმაოდ რთული პროცესია და ის მრავალი კრიტერიუმის საფუძველზე მოხდება.

“პროექტი, პირველ რიგში, რეგიონებში სიღარიბის შემცირებას და მის განვითარებას უნდა უწყობდეს ხელს. მეორე - სარეაბილიტაციო ობიექტის ეკონომიკური უკუგების მაჩვენებელი არ უნდა იყოს 15%-ზე დაბალი და მესამე გახლავთ ის, რომ საგრანტო წინადადების შემომტანი სარეაბილიტაციო ობიექტის ექსპლუატაციისა და მისი შენახვისა თუ მოვლის გარანტიას უნდა იძლეოდეს,”-აცხადებს პროექტის დირექტორი.

რუსთავის მოსახლეობისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, ქალაქისთვის ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი წყალმომარაგების პროობლემაა. რუსთავის მერი აცხადებს, რომ მათ პროექტზე მუშაობა უკვე დაწყებული აქვთ. “წყალმომარაგების რეაბილიტაციის მიზნით ჩვენ პროექტის შემუშავების პროცესში ვართ, რომლისთვისაც წინასწარი მონაცემებით 23 მილიონი დოლარია საჭირო. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას “ემ-სი-ჯის”, ევროპის მუნიციპალური განვითარების ფონდი, ცენტრალური და ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიც იღებს. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ პროექტს მოიწონებენ, სარეაბილიტაციო სამუშაოები 2007 წლის თებერვლიდან დაიწყება და წელიწადნახევარში დასრულდება,”-აცხადებს რუსთავის მერი დავით ნადაშვილი.

მუნიციპალური განვითარების ფონდმა, რომელიც აღნიშნული პროექტის სამუშაოებს გაუწევს კოორდინირებას, რუსთავის მოსახლეობას და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ე.წ “საგრანტო განაცხადის წარმოდგენის სახელმძღვანელო” გააცნო. დაინტერესებული პირებისთვის განაცხადების შეტანა 15 სექტემბერს დაიწყო და 30 დეკემბრამდე გაგრძელდება. “ემ-სი-ჯი” პროექტის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს მოინახულებს და მოსახლეობასთან კონსულტაციებს გამართავს.

ამინდი

	20/09	21/09	22/09
კიევი	22	17	18
რიგა	18	19	23
ვილნიუსი	17	18	22
მოსკოვი	20	17	16
მინსკი	22	21	25
პარიზი	22	22	18
რომი	26	27	27
ლონდონი	22	23	19
მადრიდი	26	24	23
ბონი	21	26	28
ვარშავა	17	20	21
ათენა	27	25	25
ბერნი	23	25	25
ამსტერდამი	18	20	22
ოსლო	15	17	22
ანკარა	28	26	25
ვარნა	25	22	21
დელი	47	46	42
ტოკიო	31	30	29
კოპენჰაგენი	16	19	20
ბაქო	25	25	26
ერევანი	30	30	31
ასტანა	9	13	15
ჰელსინკი	13	13	16
დუბლინი	14	13	14
ლისაბონი	27	21	22
პრაღა	21	21	21
სოფია	15	21	22
ბუდაპეშტი	22	22	24
ბუხარესტი	23	22	18

თანამშრომლობიდან კონკურენციამდე

პირველი გვერდიდან

მიუხედავად ამისა, გამომცემლობების მხოლოდ ნაწილს სურს საუბარი იმაზე, თუ ბაზრის რა პროცენტი უჭირავს მათ კონკრეტულ ბიზნესს, რამდენია მათი წლიური ბრუნვა და ა.შ. ბევრნი არიან, მაგრამ ბაზარზე მაინც ყველას თავისი ნიშა უჭირავს. “საქართველოს მაცნე”, “ინტელექტი”, “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა”, “დიოგენე”, “მერიდიანი”, “სიესტა”, “საარი”, “ლოგოს პრესი”, “კავკასიური სახლი”, “ბაკმი”, “მერანი” - ეს იმ გამომცემლობების მცირე ჩამონათვალია, რომლებიც გამომცემლებსაც და წიგნის გამავრცელებლებსაც ყველაზე პირველად ახსენდებათ. ბოლო 15 წლის მანძილზე ამ გამომცემლობებმა ბაზარზე მეტ-ნაკლებად დაიმკვიდრეს თავიანთი ადგილი. შედარებით აგრესიული ბრძოლა მათ შორის სახელმძღვანელობის სეზონზე იწყება. სხვა მხრივ კი, წიგნის საგამომცემლო ქართული ბაზარი ასე გამოიყურება:

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში წიგნის გამოცემის საქმეს სულ 113 ორგანიზაცია ეწევა. აქედან ყველაზე მსხვილ საწარმოებად მიჩნეულია გამომცემლობა “ინტელექტი”, “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა”, “განათლება”, “საბავშვო ენციკლოპედია”, “ნაკადული”, “პედაგოგიკა”, “ნეკერი”, “აჭარა”, “პირველი სტამბა”. რაც შეეხება წიგნის იმპორტიორ ორგანიზაციებს, ასეთი საქართველოში სულ 70-ია რეგისტრირებული.

ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი გამომცემლობა “ინტელექტის” დირექტორი კახა კუდავა ამბობს, რომ მისი გამომცემლობა შეიძლება მონოპოლისტად ჩაითვალოს არაქართული სკოლებისთვის ქართული სახელმძღვანელოების ბეჭდვის თვალსაზრისით. “ინტელექტი” პირველი იყო, ვინც სამცხე-ჯავახეთის არაქართულ სკოლებში ეს წიგნები შეიტანა. 15-წლიანი ისტორია, 300 დასახელების გამოცემული წიგნი ბოლო ორ წელიწადში, რაოდენობის მიხედვით - 200 წიგნი წელიწადში. კუდავა ამბობს, რომ “ინტელექტი” საგამომცემლო ბაზრის მეხუთედს ფლობს. წლიურ ბრუნვაზე საუბარს ერიდება. ყველაზე წარმატებულ პროექტად, სახელმძღვანელოებს თუ არ ჩავთვლით, ნობელის პრემიის ლაურეატების სერიის გამოცემას მიიჩნევს და თვლის, რომ ეს დაახლოებით იმ მნიშვნელობის საქმეა, რაც თავის დროზე ქართული ენციკლოპედიის გამოცემა იყო.

12 წლისაა სახელმძღვანელოების და იურიდიული ლიტერატურის ერთ-ერთი მსხვილი გამომცემელი “მერიდიანი”. ბოლო 8 წლის განმავლობაში მას 300-მდე წიგნი აქვს დაბეჭდილი. გამომცემლობის დირექტორის გია გიგინეიშვილის თქმით, სახელმძღვანელოების ბაზარზე მისი წილი 15%-ია, იურიდიული ლიტერატურის ბაზარზე კი - დაახლოებით 25%.

საკუთარ ბიზნესზე ღიად საუბრობს ბაკურ სულაკაური და ამბობს, რომ პირველი კლასის სახელმძღვანელოების ბაზარზე “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა” ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია და მისი 30% უჭირავს.

სულაკაურის გამომცემლობა სწრაფად ვითარდება პროზის გამოცემის თვალსაზრისითაც. თუმცა მათ წიგნის დასახელებები უფრო მეტი აქვთ, ვიდრე გაყიდვები. შესაძლოა, ამის მიზეზი ბევრი არაკომერციული პროექტიც იყოს, რომლებიც შედარებით მომგებიანი პროექტების ხარჯზე ხორციელდება. ბაკურ სულაკაური ამბობს, რომ მდარე ლიტერატურას, მაგალითად, გოჩა მანველიძის “მგლებს” ის არასოდეს გამოსცემს. მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნის ტირაჟი 10 000 ეგზემპლარი იყო.

აქცენტები კეთდება ბესტ სელერებზე, რომელიც ყველა პროგნოზით, მოგებას მოიტანს. მაგალითად, “ჰარი პოტერის” პირველი წიგნი 23000-იანი ტირაჟით გაიყიდა. სულაკაური მიიჩნევს, რომ საბავშვო ლიტერატურაშის მისი გამომცემლობა საქართველოში პირველია. რაც შეეხება მის წლიურ ბრუნვას, შარშანდელი მონაცემით, ამ თანხამ მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, ზრდა კი 20-30%-ია. თუმცა სულაკაური მიიჩნევს, რომ ეს ბიზნესი ჯერ კიდევ არ არის ისე მომგებიანი, როგორც, მაგალითად, ევროპაში:

“ზოგადად ეს მომგებიანი ბიზნესია, თუმცა ჩვენთან ჯერ კიდევ სათანადო დონეზე განვითარებული არ არის. მაგალითად, ჩვენთან პროზა იბეჭდება მხოლოდ 500-იანი ტირაჟით. კოელიოს მაქსიმალური ტირაჟი კი 2000 ცალი იყო. რეკლამით საქართველოში წიგნს ვერ გაყიდი, ავტორი უნდა იყოს მოდაში, წიგნი რომ წარმატებულად გაიყიდოს.

თარგმანი, მაგალითად, იმდენად წამგებიანია, რომ მუდმივად თანადამფინანსებლებს ვეძებთ. არის ფონდები, რომელსაც მთარგმნელის ჰონორარის ანაზღაურებაზე გამოყოფილი თანხები აქვს. იგივე, ფრანგული თარგმანების უმრავლესობა დიუმას ცენტრის მიერ ფინანსდება.

შედარებისთვის: გერმანიაში წიგნის ტირაჟი 5000-დან იწყება, რუსეთში - 50 000-დან. ჩვენთან არის 80 გამომცემლობა, ესტონეთში - 800, გერმანიაში კი - 80000. სტანდარტის მიხედვით, ევროპაში პატარა გამომცემლობა წელიწადში 20-მდე დასახელების წიგნს გამოსცემს, საშუალო - 20-დან 100-მდე, ხოლო დიდი - 100-ზე მეტს. ამ პარამეტრით, საქართველოს მაგალითზე, ჩვენ დიდ გამომცემლობას მივეკუთვნებით, რადგან 100 დასახელების წიგნს ვბეჭდავთ წელიწადში.

წიგნი გერმანიაში 20 ფუნტი ღირს. რომ გამოვიანგარიშოთ, მასში აღებული ჰონორარით იქ მწერალი ერთი წელი იცხოვრებს. ჩვენთან პროზაში ყველაზე დიდი ტირაჟით აკა მორჩილაძე იბეჭდება და იყიდება, მისი წიგნის საწყისი ტირაჟი 2000 იყო, მაგრამ არ გეგონოთ, რომ თავიდანვე ასე იყო. ორი წელი აკა წამგებიანი იყო და მერე გაამართლა. მაგრამ ყველა აკა არ არის. თან, მწერალს ჩვენთან შემოსავლის 15-20 პროცენტი ეკუთვნის, ანუ ხუთლარიანი წიგნიდან - 1 ლარი. თუ ტირაჟი 200 ცალია, მწერალი მიიღებს 200 ლარს წიგნში, რომელსაც თვეები წერდა," - ამბობს სულაკაური.

მისი პროგნოზით, გამორიცხული არ არის, დაახლოებით 6 წელიწადში სახელმძღვანელობის ბაზარზე დღეს არსებული 10-12 გამომცემლობიდან მხოლოდ ხუთი დარჩეს. ხოლო კონკურენცია, სულაკაურის აზრით, და მას სხვა გამომცემლებიც ეთანხმებიან, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ 10-მდე დიდი მასშტაბის გამომცემლობა მაინც იარსებებს, ისეთი, რომელიც წელიწადში 100 დასახელების წიგნს გამოუშვებს. ეს რიცხვი შესაძლოა კიდევ გაიზარდოს, რადგან სულაკაურის გამომცემლობა კიდევ ერთი სეგმენტის ათვისებას აპირებს - ის კულინარულ წიგნებს დაბეჭდავს.

“გამოცდილება და ინტუიცია - გამომცემლის წარმატებისთვის ეს ორი რამ არის საჭირო. ჩვენ დაახლოებით ვიცით, რა ეღირება და როგორ გაიყიდება ის წიგნები, რაც უკვე გამოგვიცია. მაგრამ არის შემთხვევები, თუნდაც კულინარული წიგნების შემთხვევაში, როდესაც სხვა ქვეყნების გამოცდილებას ვეყრდნობით და ვიცით, რომ გაამართლებს," - დარწმუნებულია ბაკურ სულაკაური.

გამომცემლობა “დიოგენეს” დირექტორი თამარ ლებანიძე გამომცემლობის ზრდას ბოლო წლების მანძილზე არ უარყოფს, მაგრამ ამბობს, რომ ეს ზრდა მის მატერიალურ ქონებას არ დასტყობია. შესაძლოა, იმის გამოც, რომ “ის არ აღმოჩნდა ბიზნესისთვის ზედგამოჭრილი ადამიანი.” “დიოგენეც” სახელმძღვანელოების კონკურსში გამარჯვებული გამომცემლობაა, თუმცა მისი შემდგომი განვითარება წლევანდელ სეზონზეა დამოკიდებული. “დიოგენე” ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გემოვნებიანი გამომცემლობა, მაგრამ ეს შეფასება მან ბევრი არაკომერციული, მაგრამ საინტერესო პროექტით დაიმსახურა. არაკომერციულ პროექტებს კი, როგორც წესი, მოგება არ მოაქვს.

როგორც ლებანიძე დღეს აცხადებს, დრო ათი წლით უკან რომ დაბრუნდეს, ამ საქმეს ხელს არ მოჰკიდებდა. მაშინ კი, 1995 წელს “დიოგენე” წიგნის ბაზარზე

იუნგის “ანალიზური ფსიქოლოგიით” შევიდა. მომდევნო წლებში ყველაზე წარმატებული პროექტები იყო: ყურბან საიდის “ალი და ნინო”, სკაბრეზული ფოლკლორის კრებული და საქართველოს ატლასი მოზარდთათვის.

თამარ ლებანიძე ამბობს, რომ სახელმძღვანელოების ბაზარზე ამდენი გამომცემლობა მარტივი მიზეზის გამო იბრძვის - ეს არის სტაბილური შემოსავალი. თუმცა თავის პირად მაგალითზე ამბობს, რომ მას კრედიტის აღება ძალიან გაუჭირდა - ერთი შეხედვით, პარადოქსია, მაგრამ ერთ-ერთ მიზეზად ის თავის სქესს ასახელებს:

“მე ეს კრედიტის აღებისას ვიგრძენი. ეს მარტო ბანკირების კი არა, საზოგადოების პრობლემაა, მასში გამჯდარი აზრის ბრალია - “ქალია და პოტენციურად შეიძლება სუსტი იყოს...” კრედიტის აღება იმიტომაც გამიჭირდა, რომ ჩემი ქონება არ იყო დიდი. ამას გარდა, გამიჩნდა განცდა, რომ ქართული ბანკები გასცემენ ფულს, როგორც საუკეთესო ბანკირები, მაგრამ ბიზნესს ან კონკრეტულ ბიზნეს-გეგმას, თუ გნებავთ, სათანადოდ ვერ აფასებენ."

“დიოგენეს” დირექტორი მიიჩნევს, რომ ამ საქმეში ბიზნესის აზარტია საჭირო, პირველობის დაუოკებელი სურვილი: “ეს ჟინი კარგია, მაგრამ ბევრი ენერგია მიაქვს, რაც მე უკვე მენანება, თუმცა არის გამომცემლობები, რომლებიც ამით იკვებებიან. ისინი კარგავენ ენერგიას, რათა პირველები იყვნენ და შემდეგ ამ ენერგიას პირველობით იბრუნებენ. მეორე საჭირო თვისება კი, ალბათ, თავმდაბლობაა, ოღონდ, ნამდვილი წარმატებისათვის. ეს სხვების პატივისცემაში უნდა გამოიხატოს, ადეკვატურ თვითირონიაში, თვითშეფასებაში," - ამ სიტყვების ავტორი თამარ ლებანიძე იმასაც ამბობს, რომ “დიოგენე” ინერციით არსებობაზე არასოდეს დათანხმდება. ეს კი მისი, როგორც დირექტორის, და უბრალოდ, ადამიანის მაქსიმალისტობის ბრალია.

საქართველოში არსებული გამომცემლობების ნაწილი წიგნებს საქართველოში ბეჭდავს, ნაწილი - ჩინეთში, ინდონეზიაში, თურქეთში. ფასები კი წიგნის ხარისხის მიხედვით მერყეობს.

მაშინ, როცა ეს ბიზნესი საქართველოში ფეხს იკიდებდა, 50-თეთრიანი წიგნის ფასი უცებ 3 ლარამდე გაიზარდა, შემდეგ - 5 და 7 ლარამდე. ფასი პირველად სულაკაურის გამოცემულ წიგნებზე გაიზარდა და მაშინ ამბობდნენ, რომ ეს იყო კატასტროფული ზრდა. დღეს გამომცემლები თანხმდებიან, რომ წიგნი საქართველოში იაფია და ამის დასამტკიცებლად მას ხან კინოს ბილეთს, ხან ბიგ-მაკის ფასს ადარებენ:

“მთელ მსოფლიოში წიგნი გაცილებით ძვირია, ვიდრე კინოს ბილეთი, ვიდრე ფეხსაცმელი, ვიდრე რესტორანში შესვლა და ა.შ. ჩვენთან საშუალო რომანი 5 ლარი ღირს. ამ ფასად კინოში ვერ შეხვალ. ასეთი რომანი გერმანიაში ღირს 20 ევრო. იქ წიგნი უფრო ძვირია, ვიდრე იაფფასიანი ფეხსაცმელი. ჩვენთან წიგნი რამდენჯერმე იაფია, ვიდრე ყველაზე იაფი ფეხსაცმელი. ჰამბურგერიც კი უფრო ძვირია, არადა, წიგნი ორჯერ ძვირი უნდა იყოს, ვიდრე ბიგ-მაკი," - ასე აფასებს წიგნის ფასს ბაკურ სულაკაური.

წიგნის საგამომცემლო ბაზრის პრობლემა საქართველოში გავრცელებული კიდევ ერთი, წიგნების თვითგამოცემის ტენდენციაა. დაინტერესებული პირი პოულობს სტამბას, რომელსაც უხდის ფულს და ბეჭდავს წიგნს. ინგლისში, მაგალითად, ერთ-ერთი გამომცემლობის სარდაფში 40000 დასახელების წიგნი დევს. ეს არის საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე გამოცემული წიგნების (ხელნაწერების ჩათვლით) რაოდენობა. ინგლისში წიგნის მაღაზია თვითგამოცემულ წიგნებს, უბრალოდ, არ მიიღებს, რადგან გამომცემლობისგან სრულყოფილი შეთავაზება აქვს. ჩვენთან კი დღეს წელიწადში მხოლოდ 2000 დასახელების წიგნი გამოდის, ძირითადად, სახელმძღვანელოები. ექსპერტების აზრით, 4000 მაინც უნდა გამოდიოდეს, რომ მაღაზიებში თაროები ქართული წიგნებით შეავსონ და არა იმპორტირებული ლიტერატურით.

უცხოური ლიტერატურის იმპორტი, ძირითადად, რუსეთიდან და, იშვიათად, დიდი ბრიტანეთიდან ხდება. ერთ-ერთი იმპორტიორის, “წიგნის სადისტრიბუციო კომპანიის” დირექტორი დათო გოცირიძე განმარტავს, რომ მას წელიწადში 2000 დასახელების წიგნი შემოაქვს საქართველოში. ძირითადად, ეს არის რუსული და, მცირე რაოდენობით, ინგლისური ლიტერატურა. როგორც მხატვრული ლიტერატურა, ისე საბავშვო, ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურა. მიმდინარე წელს მათ 8857 ცალი წიგნი შემოიტანეს. ეს გაყიდვადი რაოდენობაა, თუმცა ამ ბაზარზე სერიოზული კვლევა ჯერ არავის ჩაუტარებია და ყველაფრის გათვლა ისევ პირადი გამოცდილების და გათვლების საფუძველზე ხდება. დღეის მონაცემებით, რუსულ თარგმანებში კვლავ დენ ბრაუნის “და ვინჩის კოდი” და კოელიოს რომანები ლიდერობს.

რაც შეეხება ფასებს, საჰაერო გზით 5000 წიგნის შემოტანა დაახლოებით 1500 დოლარი ჯდება, ხოლო 10-15-ლარიან რუსულ საშუალო რომანზე საქართველოში ჩამოტანის შემდეგ მისი ფასი 30%-ით იზრდება.

დათო გოცირიძე ამბობს, რომ საქართველოდან წიგნის ექსპორტირება თითქმის არ ხდება:

“შარშან მოსკოვში ვიყავით ფესტივალზე, სადაც წაღებული გვქონდა მცირე რაოდენობით ქართული წიგნები და, სხვათა შორის, დაინტერესება იყო. გაგიკვირდებათ და, ქართულ-რუსული ლექსიკონი, რომელიც იქ ბევრ ქართველს სჭირდება და რაზეც მოთხოვნა არის, სომხებმა დაბეჭდეს და მშვენივრადაც გაყიდეს".

ჩვენ წიგნის ბაზრის მხოლოდ რამდენიმე მხარე მიმოვიხილეთ. ამ სფეროს ექსპერტები ამბობენ, რომ ზუსტი კვლევები არ არსებობს, მაგრამ ამ ბიზნესით დაკავებული ადამიანები ბაზარზე დღითიდღე უკეთ თამაშობენ. თუ ასე გაგრძელდა, მალე მათი თანამშრომლობა სერიოზულ კონკურენციად იქცევა.

"სარკე" ბიზნესმენთა ფედერაციაში წევრიანდება

სარეკლამო კომპანია "სარკე" ბიზნესმენთა ფედერაციაში წევრიანდება. 22 სექტემბერს ფედერაციაში გაიმართება შეხვედრა, სადაც ფედერაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გაკეთდება. შეხვედრაზე სარეკლამო კომპანია "სარკეს" ფონდი "ქართული ხარისხი" ქართული ხარისხის ნიშანს გადასცემს. შეხვედრას ბიზნესმენთა ფედერაციის წევრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრებიან. **ინტერპრესნიუსი**

ევროპელი ფარმაცევტები ამერიკას 3,1 მილიარდს გადაუხდიან

ევროპის უმსხვილესმა ფარმაცევტულმა კომპანია GlaxoSmithKlein-მ ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახადო სისტემასთან გაჩაღებული დავა სასამართლოს გარეშე მოაგვარა. შეთანხმების მიღწევა მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ევროპელი ფარმაცევტები ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ჯარიმის სახით 3,1 მილიარდი დოლარის გადახდაზე დათანხმდნენ. აღნიშნული თანხა ფედერალური და ადგილობრივი გადასახადების დაფარვას მოხმარდება. ევროპული ფარმაცევტული კომპანიის მიერ 1989-2000 წლის განმავლობაში გადასახადების დაფარვის საქმის განხილვა სასამართლოს 2007 წლის თებერვალში უნდა დაეწყო. კომპანია GlaxoSmithKleine-ში აღნიშნავენ, რომ ისინი საკუთარი პოზიციების სიმართლეში დარწმუნებულნი არიან, ერთადერთი რაც მათ აშფოთებთ ის არის, რომ გამოძიება მათგან საჭიროზე მეტ რესურსსა და პოტენციურ ზარალს მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობამ 3,1 მილიარდი დოლარის გადახდის გადაწყვეტილება მაინც მიიღო. კომპანიაში აცხადებენ, რომ გადაწყვეტილების მიღებისას აქციონერების მხრიდან წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია. კომპანია GlaxoSmithKleine-ი საერთაშორისო ფარმაცევტული ბაზრის შვიდი პროცენტის მფლობელია. კომპანიის აქციები ლონდონისა (LSE) და ამერიკის (NYSA) ბირჟებზე იყიდება.

სუსტი ეკონომიკური მაჩვენებელი ორჯერ გაიზარდა

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მსოფლიოში “მყიფე” სახელმწიფოების რიცხვმა 2006 წელს 26-ს მიაღწია, მაშინ, როცა მათი რაოდენობა 2003 წელს 17 ქვეყანას არ აღემატებოდა. მსოფლიო ბანკის დამოუკიდებელი ცენტრის (Independent Evaluation Group) აზრით, ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი “მყიფე” ქვეყანაში ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკმა 2004 წელს ასეთი ქვეყნებისთვის დახმარების სახით 4 მილიარდ დოლარზე მეტი გამოყო, მათი უმეტესობა განსაკუთრებულ სიღატაკეში ცხოვრობს. მსოფლიო ბანკის სპეციალისტების აზრით, ასეთი მკვეთრი ზრდა მსოფლიოს სტაბილურობისათვის ძალიან საშიში ფაქტორია. მსოფლიო ბანკი ე.წ “მყიფე” სახელმწიფოთა შორის ანგოლას, ტაჯიკეთსა და ცენტარლური აფრიკის რესპუბლიკებს გამოყოფს.

დიდი ბრიტანეთი "მსოფლიო ბანკს" ულტიმატუმს უყენებს

დიდი ბრიტანეთი მსოფლიო ბანკს შეუწყვეტს 50 მილიონი ფუნტის გადასახადს, მანამ სანამ ფინანსური ორგანიზაცია არ შეწყვეტს განვითარებადი ქვეყნები ბაზრების ლიბერალიზაციისა და კომუნალური მომსახურების პრივატიზაციის განხორციელება აიძულოს. ბრიტანეთის საერთაშორისო საკითხების განვითარების მინისტრის ჰილარი ბენნის თქმით, ლონდონმა თავისი პოზიცია მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს პოლ ვულფოვიცს უკვე შეუთანხმა. ბრიტანეთის მხარე მოლაპარაკებებში აშკარა პროგრესის არ არსებობის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს. მსოფლიო ბანკის სათავო ოფისი ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში მდებარეობს. ორგანიზაცია ღარიბი ქვეყნების დასახმარებლად შეიქმნა. ბანკის უმსხვილეს აქციონერთა შორის არის საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის და შეერთებული შტატების ხელისუფლება. გასულ წელს ლონდონმა მსოფლიო ბანკში 1,3 მილიარდი ფუნტი სტერლინგი (2,5 მილიარდი დოლარი) შეიტანა.